CMYK - 1

www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weakly ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი 21 იანვარი, 2009 წელი. №11 (2049) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

სტუდენტები კანონის დაცვას ითხოვენ
A2



საერთაშორისო კოალიციური ჯარები „თალიბანს" უტევენ
A7



მყინვარები უკან იხევენ
A12



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
BORJOMI ბორჯომი
GRDC group
ჯი პი აი ვენის სადაზღვევო ჯგუფი

# ნაბიჯი ევროპისკენ

## ბენიტა ფერერო-ვალდნერი: საქართველოს მხოლოდ ერთიან სახელმწიფოდ განვიხილავთ

დიმიტრი ავალიანი
ხათუნა ბაბიევი

*რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა დახმარებისთვის, ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფისა და ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის საქართველო ევროკავშირისგან მომდევნო ორი წლის განმავლობაში ხუთას მილიონ ევროს მიიღებს. შესაბამის დოკუმენტს გუშინ თბილისში, საგარეო ურთიერთობების საკითხებში ევროკომისარ ბენიტა ფერერო-ვალდნერის ვიზიტის ფარგლებში მოეწერა ხელი. გუშინვე შედგა მოლაპარაკებები საქართველოს მონაწილეობის შესახებ ევროკავშირის აღმოსავლეთევროპული პარტნიორობის პოლიტიკაში, რომელიც ქვეყნის ევროპასთან მჭიდრო ინტეგრაციას ითვალისწინებს.*

**"ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირმა საქართველოს მიმართ ყველა დაპირების შესრულება ზედმიწევნით დაიწყო,"** - განაცხადა გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბენიტა ფერერო-ვალდნერთან შეხვედრის შემდეგ. მისი თქმით, ევროკავშირი საქართველოს გაუწევს **"კონკრეტულ დახმარებას,"** რომელიც საქართველოს ხელს შეუწყობს ეკონომიკური კრიზისის თავიდან აცილებასა და ქართველი მწარმოებლებისთვის უკეთესი პირობების შექმნაში. პრეზიდენტის განცხადებით, ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის გამარტივება შესაძლოა, უკვე წელს მოხდეს, ასევე **"უახლოეს მომავალში"** საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი იქნება შემოღებული.

ბენიტა ფერერო-ვალდნერი საქართველოს სამხრეთ კავკასიის რეგიონში ვიზიტის ფარგლებში ეწვია. როგორც ევროკომისიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, ვიზიტის წინ ფერერო-ვალდნერმა განაცხადა, რომ **"საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ევროკავშირისთვის დიდი მნიშვნელობის მქონე სახელმწიფოები არიან და გვსურს, უფრო მეტად დავეხმაროთ იმ რეფორმების განხორციელებაში, რომლებიც მათ მეტ კეთილდღეობასა და სტაბილურობას მოუტანს."**

გაგრძელება A3 გვერდზე


ხათია ჯიჯეიშვილის ფოტო

ბენიტა ფერერო-ვალდნერი.

# ისტორიული ინაუგურაცია

## "ცვლილებების დროა"

ხათუნა ბაბიევი

*ვაშინგტონი, კაპიტოლიუმის ბორცვი, 4 კილომეტრზე გადაჭიმული მოლის ცენტრალური ბულვარი, კონგრესის შენობის დასავლეთ კიბის საფეხურები, სადაც შეერთებული შტატების ახალმა პრეზიდენტმა ფიცი დადო კონსტიტუციისა და ქვეყნის ერთგულებაზე. უსაფრთხოების გაძლიერებული ზომები და, დაახლოებით, 2 მლნ სტუმარი.*

შეერთებული შტატების დედაქალაქი რიგით 44-ე პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონიისთვის რუდუნებით ემზადებოდა. ქვეყნის 233-წლიან ისტორიაში პირველად მოქალაქეებმა სახელმწიფო ლიდერად აფროამერიკელი, 47 წლის ბარაკ ჰუსეინ ობამა აირჩიეს. პრეზიდენტის ინაუგურაციას "შეერთებული შტატების ნაციონალური უსაფრთხოების ღონისძიების" უმაღლესი სტატუსი ჰქონდა მინიჭებული. შეერთებული შტატების საიდუმლო სამსახურმა, რომელიც ამერიკის ლიდერის დაცვაზეა პასუხისმგებელი, ინაუგურაციისთვის უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომები მიიღო.

გაგრძელება A8 გვერდზე


AFP ' 2009

CMYK - 1

## მოსკოვმა "ხუბუტიას კარტის" გათამაშება დაიწყო

2 თებერვალს მოსკოვში "რუსეთში მცხოვრებ ქართველთა კავშირის" ყრილობა გაიმართება, რომელმაც, ამ კავშირის ხელმძღვანელ მიხეილ ხუბუტიას და მისი "კურატორების" გათვლებით, "სრულიად ქართველთა კონგრესის" სახე უნდა მიიღოს და საქართველოს შიდაპოლიტიკურ პროცესებზე დიდი გავლენა უნდა მოახდინოს.

2 თებერვალი ყრილობის თარიღად შემთხვევით არ შეურჩევიათ. 2 თებერვალს მოსკოვში რუსეთის ახალი პატრიარქის ინტრონიზაცია შედგება, რომელსაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორეც დაესწრება. ყრილობის ორგანიზატორები შეეცდებიან, ღონისძიებაზე დასასწრებად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქიც დაითანხმონ. რაც მთავარია, ყრილობას დაესწრება რუსეთის პრეზიდენტი დმიტრი მედვედევი და სიტყვითაც გამოვა. ეს უპრეცედენტო მოვლენაა, რადგან რუსეთის პრეზიდენტი სათვისტომოების ყრილობებს არ ესწრება.

მესამეც – ყრილობას დაესწრებიან ევროპის ქვეყნებში და აშშ-ში ქართული სათვისტომოების წარმომადგენლები, რომელთაც არანაირი შეხება არა აქვთ არც რუსეთში მცხოვრებ ქართველებთან და არც მათ პრობლემებთან.

ზემოხსენებული ფაქტები ადასტურებს, რომ ყრილობა პოლიტიკური ხასიათის იქნება.

წინასწარი ინფორმაციით, რუსული მედია 2 თებერვლის ყრილობასაც ფართო მასშტაბებით გააპიარებს, რუსეთის პრეზიდენტი დმიტრი მედვედევი კი, საქართველოს მოსახლეობას მესიჯებს პირადად გამოუგზავნის, რომლებიც, დაახლოებით, ასეთი შინაარსის იქნება – თუ წავა სააკაშვილის ხელისუფლება, ყველაფერზე დავილაპარაკებთ.

შესაძლოა, 2 თებერვლის ყრილობა გახდეს ამოსავალი წერტილი და სახელმძღვანელო იმისთვის, რომ რუსეთის შესაბამისმა სტრუქტურებმა საქართველოს შიდაპოლიტიკური სიტუაციის არევა სცადოს და ამასთან საქართველოს მოსახლეობას შეუქმნას ილუზია, რომ "სააკაშვილის რეჟიმის" წასვლის შემთხვევაში, რუსეთი საქართველოს ტერიტორიულ პრობლემებს მოუგვარებს. **მედიანიუსი**

## რამაზ საყვარელიძე აღმასრულებელ ხელისუფლებაში ცვლილებებს არ გამორიცხავს

"ის სურათი, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრ გრიგოლ მგალობლიშვილთან დაკავშირებით იკვეთება, ქვეყნისთვის არ არის კარგი და აღმასრულებელ ხელისუფლებაში ახალი ცვლილებების მზადებას ჰგავს. ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ პროგნოზების კეთება ნამდვილად არ მსიამოვნებს, მაგრამ, როგორც ჩანს, აღმასრულებელ ხელისუფლებაში ახლო მომავალში მორიგ ცვლილებებს უნდა ველოდოთ," - აცხადებს პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე. **პირველი**

## ნოღაიდელი ვადამდელი არჩევნების წინააღმდეგია

მოძრაობის „სამართლიანი საქართველოსთვის" ლიდერი ზურაბ ნოღაიდელი არასაპარლამენტო ოპოზიციას ვადამდელი არჩევნების უახლოეს მომავალში დანიშვნის მოთხოვნაში არ უერთდება, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ „საქართველოს ერთპარტიული მმართველობა აღარ უნდა განმეორდეს", საკუთარი პროექტების განსახილველად თანამშრომლობას აპირებს. როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას ნოღაიდელმა განაცხადა, თებერვლიდან ოპოზიციურ ძალებთან დაიწყება პერმანენტული შეხვედრები ქვეყნის მმართველობასთან დაკავშირებული გეგმების განსახილველად, რომლებიც მოძრაობამ „სამართლიანი საქართველოსათვის" მოამზადა. ნოღაიდელის თქმით, რაც შეეხება ოპოზიცის მოთხოვნას გაზაფხულზე რიგგარეშე საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის შესახებ, ეს მოთხოვნა საზოგადოებას ჯერ არა აქვს და უნდა შეიქმნას წინაპირობა, რომ საზოგადოებამ ხელისუფლებისგან ვადამდელი არჩევნების დანიშვნა მოითხოვოს. **მედიანიუსი**

## გალის ქართულ სკოლებში სეპარატისტების მიერ შექმნილ აფხაზეთის ისტორიასა და გეოგრაფიას სწავლობენ

როგორც საინფორმაციო სააგენტო „პირველს" გალის რაიონიდან აცნობეს, „სეპარატისტების მოთხოვნით, ქართულ სკოლებში დამატებით საგნად მათ მიერ შექმნილ აფხაზეთის ისტორიასა და გეოგრაფიას ასწავლიან." „აფხაზურ მხარეს სპეციალისტები არ ჰყავს და დამატებითი საგნის სწავლებას სხვა შესაბამისი საგნების მასწავლებლები ვითავსებთ. მოსწავლეებს აღნიშნული საგნების რუსულად სწავლა ძალიან უჭირთ," - განაცხადა წყარომ. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის დე ფაქტო განათლების მინისტრი ლაურ კილანავა გუშინ გალში სკოლის დირექტორებს ხელფასების გაორმაგების საკითხის გამო შეხვდა. **პირველი**

# სტუდენტები კანონის დაცვას ითხოვენ

*გუშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებმა "საზოგადოებრივი მაუწყებლის" შენობასთან საპროტესტო აქცია მოაწყვეს. მათ თავისი პოზიცია გამოხატეს განცხადებით, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ:*



"კანონი იცავს საზოგადოებრივ მაუწყებელს!

საზოგადოებრივმა მაუწყებელმაც დაიცვას კანონი!

ჩვენ, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტები კრიტიკულად ვეკიდებით პირველ არხზე განვითარებულ მოვლენებს, გვაშფოთებს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის მცდელობა და უუნარობა, მაუწყებელმა ჯეროვნად დაიცვას კანონით მინიჭებული უფლებები.

პირველი არხის სატელევიზიო პროექტი "საქართველოს დიდი ათეული" ჩაშლის პირას აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც საქართველოს საპატრიარქომ ის გააკრიტიკა და გადაცემაში არსებითი ცვლილების შეტანა ითხოვა.

საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ აცხადებს, რომ "საზოგადოებრივი მაუწყებელი, მისი თანამდებობის პირი და თანამშრომელი საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებისას დამოუკიდებელნი არიან და ემორჩილებიან მხოლოდ კანონს. მათ საქმიანობაზე უკანონო ზემოქმედება და ამ საქმიანობაში ჩარევა დაუშვებელია, ხოლო ამგვარი ზემოქმედებისა და ჩარევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება - ბათილი. იკრძალება საზოგადოებრივი მაუწყებლის სარედაქციო, მმართველობითი და ფინანსური დამოუკიდებლობის ხელყოფა ან მასზე ზეწოლის სხვაგვარად განხორციელება" (მუხლი 18). ჩვენ სოლიდარული ვართ კანონის ამ ნორმის მიმართ და მოვუწოდებთ პირველი არხის სამეურვეო საბჭოს, ადმინისტრაციასა და ჟურნალისტებს, მოიქცნენ კანონის შესაბამისად. სამეურვეო საბჭოს 16 იანვრის განცხადება მოტივირებული იყო საბჭოს წევრთა ერთი ნაწილის პიროვნული არჩევანით, რაც ეწინააღმდეგებოდა მათთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს.

საპატრიარქოს მოთხოვნა, საქართველოს დიდი ათეულის ნომინანტთა სიიდან ამოიღონ წმინდანად შერაცხილი პირები, ჩვენი აზრით, არ უპასუხებს საქართველოს მრავალი მოქალაქის – სხვა ეროვნების, აღმსარებლობისა და კონფესიათა წარმომადგენლების, აგრეთვე არაერთი მართლმადიდებლის ინტერესს, რომლებიც ზოგიერთ წმინდანში შეიძლება უწინარესად დიდ საერო მოღვაწეს ხედავდნენ.

ქართულ კულტურასა და ისტორიას ერთად ქმნიან და ქმნიდნენ სამოქალაქო და სასულიერო პირები. ჩვენ არ ვიზიარებთ აზრს, რომ მათი მნიშვნელობა, ღვაწლი თუ კვალი უნდა გაიყოს და გაიმიჯნოს მხოლოდ იმ მიზეზითა და ნიშნით, რომ გარდაცვალების შემდეგ მოღვაწეთა ნაწილი საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

საზოგადოებრივ მაუწყებელს აფინანსებენ საქართველოს მოქალაქეები. პირველმა არხმა უკვე დახარჯა საზოგადოების ფული პროექტის შესაძენად, სტუდიის მოსაწყობად, პერსონალის შრომის ასანაზღაურებლად, ტექნოლოგიური ბაზის შესაქმნელად. პროექტი აინტერესებს ათიათასობით ადამიანს. მიგვაჩნია, რომ არცერთი უწყებისა თუ ორგანიზაციის, მათ შორის ავტორიტეტული ინსტიტუციის – საქართველოს საპატრიარქოს სურვილის გამო არც ამ ადამიანებს უნდა გაუწბილდეთ მოლოდინი და არც მოქალაქეთა ფული აღმოჩნდეს ფუჭად დახარჯული.

ჩვენ მომავალი ჟურნალისტები ვართ. ჩვენს პროფესიულ ცხოვრებაში უნდა მივყვეთ სინდისის ხმას, დავემორჩილოთ სამოქალაქო კანონმდებლობასა და პროფესიული ეთიკის ნორმებს. ჩვენთვის ამთავითვე მიუღებელია ყოველგვარი ზეწოლა და ცენზურა მედიაზე, ვისგანაც უნდა მოდიოდეს ის".

# უფრო პროცესი, ვიდრე ერთჯერადი გადაწყვეტილება

### "საერთაშორისო ძალისხმევამ უნდა აიძულოს რუსეთი, დათმობაზე წავიდეს"

დათო გამისონია

გუშინ საქართველოში აკრედიტებულმა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ელჩებმა ერთობლივი განცხადება გაავრცელეს. ისინი ღრმად არიან შეშფოთებულნი ბოლო დროს ე.წ. სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრების სიახლოვეს ქართველ პოლიციელებზე თავდასხმების გამო. აგვისტოს ომის შემდეგ, კონფლიქტის ზონების მახლობლად თერთმეტი ქართველი პოლიციელია მოკლული.

საქართველოში ევროკავშირის მისიის ხელმძღვანელობა, ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეზე პასუხისმგებელი პირების გასამართლების მიზნით, ინციდენტების სრულ გამოძიებას ელის. მისია გმობს ამგვარ თავდასხმებს: **"ჩვენთვის მიუღებელია მომხდარი ინციდენტები და ისინი წარმოადგენს "მედვედევ-სარკოზის" შეთანხმებების აშკარა დარღვევას. ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებების თანახმად, ყველა მხარემ უნდა შეასრულოს თავისი ვალდებულებები. თბილისში ევროკავშირის მისიის ხელმძღვანელობა მოუწოდებს რუსეთს, უზრუნველყოს უსაფრთხოება, სეპარატისტულ რეგიონებში შეუშვას საერთაშორისო დამკვირვებლები, ასევე, უზრუნველყოს, რომ სამხრეთ ოსეთიდან და აფხაზეთიდან არასტაბილური ვითარება არ გავრცელდეს დანარჩენ საქართველოზე,"** - ნათქვამია საქართველოში ევროკავშირის მისიის განცხადებაში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2009 წლის 19 იანვარს ქარელის რაიონის სოფელ დვანთან მდებარე ქართულ საგუშაგოსთან პატრულირებისას რუსმა ოკუპანტებმა და მათი კონტროლის ქვეშ მყოფმა ბანდფორმირებებმა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს და დაცხრილეს "პიკაპის" ტიპის პოლიციის ავტომანქანა. ინტენსიური სროლის შედეგად დაიჭრა სამინისტროს ორი თანამშრომელი. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე ბოლო ორი დღის განმავლობაში საქართველოს პოლიციის თანამშრომლებზე სამი თავდასხმა განხორციელდა.

სოფელ დვანთან მომხდარი ინციდენტის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება. სამინისტრო მტკიცე პროტესტს გამოთქვამს ბოლო დღეების განმავლობაში რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიული ქმედებების გამო. გრიგოლ ვაშაძის უწყებში დარწმუნებულნი არიან, რომ საერთაშორისო საზოგადოებრიობა სათანადოდ შეაფასებს რუსეთის პროვოკაციულ ნაბიჯებს და მომხდარ ფაქტებზე შესაბამის დასკვნებს გააკეთებს. **"ნიშანდობლივია, რომ რუსული მხარის მსგავსი პროვოკაციული ქმედებები თვალნათლივ უჩვენებს საერთაშორისო თანამეგობრობას, თუ რომელი სახელმწიფო წარმოადგენს რეალურად საფრთხეს კავკასიის რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობისთვის,"** - ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენლები კი აცხადებენ, რომ არა აქვთ დაზუსტებული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა სოფელ დვანში და რა გარემოებაში დაიჭრნენ ქართველი პოლიციელები. მიუხედავად ამისა, ისინი ქართული მხარის მიმართ გამოთქვამენ ბრალდებებს. ე.წ. სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტი კოკოითის მთავრობის თავდაცვის სამინისტროზე დაყრდნობით იუწყება, რომ **"სოფელ დვანიდან შუადღის შემდეგ ხმამაღალი მუსიკა ისმოდა, ამის შემდეგ, დაახლოებით, 10-15 წუთის განმავლობაში ოსურ სოფელ მუგუთის მიმართულებით უმისამართო სროლა დაიწყო. ჩვენ ოსურ სოფელ მუგუთის მიმართულებით განხორციელებულ უმისამართო სროლას მორიგ პროვოკაციად ვაფასებთ. სამხრეთ ოსეთის მხარეს არავითარი კავშირი არა აქვს სოფელ დვანში მომხდარ ინციდენტთან."**

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი თემურ იაკობაშვილი რუსი ოკუპანტების მიერ ადმინისტრაციული საზღვრის მიმართულებით ბოლო დროს განხორციელებულ პროვოკაციებს შემდეგი მიზეზებით ხსნით. **"რუსი ოკუპანტები ცდილობენ, აგვიყოლიან პროვოკაციაში, რათა ჩვენი მხრიდანაც გაიხსნას ცეცხლი და მერე ქართული მხარე შეთანხმების დარღვევაში დაადანაშაულონ. მათ სურთ, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე კვლავ დაძაბული სიტუაცია იყოს. ოკუპანტები ცდილობენ, საერთაშორისო ორგანიზაციები როგორმე დაიყოლიონ გარიგებაზე და ამით უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე დაითანხმონ. ეს კი რუსეთს ლეგალიზების საშუალებას მისცემს. ქართული მხარე პროვოკაციებს არ აყვება და რუსეთს ჩანაფიქრის განხორციელების საშუალებას არ მისცემს,"** - განმარტა იაკობაშვილმა.

საქართველოში მყოფი ევროკომისარი საგარეო ურთიერთობებისა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ბენიტა ფერერო-ვალდნერი მიიჩნევს, რომ უნდა შეიქმნას მექანიზმი, რომელიც ინციდენტების შესახებ ინფორმაციას სწრაფად მიაწვდის ყველა მხარეს. **"ძალიან მნიშვნელოვანია ის, რასაც ამჟამად ევროკავშირის მისია აკეთებს, ისინი ცდილობენ, რომ ადმინისტრაციულ საზღვრებთან დაცული იყოს უსაფრთხოება. მშვიდი ზონის შესაქმნელად ამ მისიას დიპლომატიური მხარდაჭერა აქვს,"** - აღნიშნა ვალდნერმა.

"24 საათი" დაუკავშირდა რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ თემურ იაკობაშვილს. მან განმარტა, თუ რა ქმედითი ნაბიჯები უნდა გადაიდგას, რათა ევროკავშირის მისიას კონფლიქტის ზონებში თავისი ფუნქციების შესრულების საშუალება მიეცეს. მისი თქმით, **"ჩვენ მანამ უნდა გავაგრძელოთ კონფლიქტის ზონებში ევროკავშირის დამკვირვებლების შესვლის მოთხოვნა, სანამ არ შევლენ, რადგან საკითხი მხოლოდ საქართველოს მოთხოვნებს არ უკავშირდება, ეს არის რუსეთის მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულება. მათი ჯარები უნდა მოშორდეს აქაურობას."**

იაკობაშვილის თქმით, საქართველოში მყოფ ევროკომისიის წარმომადგენლებთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები. **"ეს უფრო პროცესია, ვიდრე ერთჯერადი გადაწყვეტილება. საქართველო მარტო ვერ შეძლებს საკითხის მოგვარებას. საერთაშორისო ძალისხმევამ უნდა აიძულოს რუსეთი, დათმობაზე წავიდეს,"** - განმარტა სახელმწიფო მინისტრმა.

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კოლასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი:** თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# ნაბიჯი ევროპისკენ

პირველი გვერდიდან

ევროკომისიაში აღნიშნეს, რომ **"საქართველოში ევროკომისარი დაადასტურებს ევროკავშირის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სრულ მხარდაჭერას და მოუწოდებს საქართველოს, გააგრძელოს ჟენევის პროცესისადმი პრაგმატული და კონსტრუქციული მიდგომა."** თავად ევროკომისარმა ყურადღება ასევე გაამახვილა ევროკავშირის მიერ საქართველოს მხარდაჭერაზე, **"რაც არა მხოლოდ დახმარების უპრეცედენტო პაკეტის გამოყოფით ვლინდება, არამედ მოლაპარაკებებით სავიზო რეჟიმის გამარტივებასა და რეადმისიის შესახებ, რომლებიც სულ მალე დაიწყება."** ამავე დროს ფერერო-ვალდნერმა აღნიშნა, რომ **"კონფლიქტმა არ უნდა დაჩრდილოს დემოკრატიული პლურალიზმისა და კანონის უზენაესობის შემდგომი განვითარების აუცილებლობა."**

ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის დახმარების სახით 500 მილიონი ევროს გამოყოფის შესახებ დოკუმენტს გუშინ ევროკომისარმა ბენიტა ფერერო-ვალდნერმა და სახელმწიფო მინისტრმა ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძემ მოაწერეს ხელი. საქართველო ევროკავშირისგან გამოყოფილ დახმარებას 2009-2010 წლებში მიიღებს. თანხა აგვისტოს მოვლენების დროს დაზარალებულთა დახმარებას, მიკრო-საფინანსო სტაბილიზაციასა და საქართველოს ინფრასტრუქტურის განვითარებას მოხმარდება.

**"ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა, გვესაუბრა ევროკავშირ-საქართველოს მომავალ ურთიერთობებზე, რომელიც დღითიდღე ღრმავდება. აქ არის კონკრეტული საკითხები: ვიზების გამარტივება, მომავალში ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების ჩამოყალიბება და, რა თქმა უნდა, იმ დიდი დახმარების გაგრძელება, რომელსაც ევროკავშირისგან დევნილების პრობლემების მოსაგვარებლად ვიღებთ,"** - განაცხადა გიორგი ბარამიძემ შეხვედრის შემდეგ.

თავის მხრივ, ბენიტა ფერერო-ვალდნერი აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორობის მომავალ სამიტს შეეხო, რომელიც, მისი თქმით, სავარაუდოდ, 7 მაისისთვის გაიმართება. საქართველოსთან ერთად სამიტში კიდევ ხუთი პოსტსაბჭოთა ქვეყანა - უკრაინა, მოლდოვა, ბელარუსი, სომხეთი და აზერბაიჯანი მიიღებენ მონაწილეობას.

ევროკომისარმა ისიც აღნიშნა, რომ იგი გამოვიდა ინიციატივით, 2010-2013 წლებში ევროკომისიამ ექვსივე ქვეყნის დასახმარებლად, დამატებით, 350 მილიონი ევრო გამოყოს.

ევროკომისარი საგარეო პოლიტიკის საკითხებში გუშინ საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელ გრიგოლ ვაშაძეს შეხვდა. **"საუბრის ძირითადი თემა იყო ოკუპირებულ ზონებში შექმნილი ვითარება. ასევე განიხილებოდა აღმოსავლეთ ქვეყნების პარტნიორობის პროგრამა, რომელიც საქართველოსა და ევროკავშირს შორის უკვე ამუშავდა. ვილაპარაკეთ იმ მდგომარეობაზეც, რაც საქართველოში რუსეთის სამხედრო აგრესიის შემდეგ შეიქმნა და იმ ეკონომიკურ დახმარებაზეც, რასაც ევროკავშირი ასე დროულად უწევს საქართველოს,"** - განაცხადა ევროკომისართან შეხვედრის შემდეგ გრიგოლ ვაშაძემ.

ევროკომისარი ოპოზიციურ პარტიებს შეხვდა და საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების საკითხზე ოპოზიციის მოსაზრებები მოისმინა. როგორც შეხვედრის შემდეგ ფერერო-ვალდნერმა ჟურნალისტებს განუცხადა, იგი მხარს უჭერს ქვეყნის სტაბილურობისთვის და განვითარებისთვის ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას.

როგორც ევროკომისართან შეხვედრის შემდეგ მოძრაობა "საქართველოს დემოკრატიული განვითარებისთვის" ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, ბენიტა ფერერო-ვალდნერი დაინტერესდა ოპოზიციის ხედვით და შეხვედრის თითოეულ მონაწილეს გულდასმით მოუსმინა. ბურჯანაძის თქმით, შეხვედრაზე მკაფიოდ აღინიშნა, რომ საქართველოსადმი ევროკავშირის მხარდაჭერისთვის აუცილებელ პირობას დემოკრატიული რეფორმები წარმოადგენს.

ევროკომისარმა ასევე საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია მოინახულა და კონფლიქტურ ზონებში შექმნილი ვითარების შესახებ ინფორმაცია ევროპელი დამკვირვებლებისგან მოისმინა.

როგორც ბენიტა ფერერო-ვალდნერმა "24 საათთან" საუბრისას აღნიშნა, ევროკავშირის "აღმოსავლეთევროპული პარტნიორობის" ახალი პოლიტიკა მეზობელ ქვეყნებთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობას ითვალისწინებს, ვიდრე მოქმედი სამეზობლო პოლიტიკა და **"უფრო კონკრეტულ საკითხებზე თანამშრომლობას გულისხმობს."**

**"ეს არის შემოთავაზება აღმოსავლეთ ევროპის ექვსი ქვეყნისთვის. ჩვენ ძალიან ბევრ საკითხზე შეგვიძლია თანამშრომლობა, იქნება ეს ეკონომიკური წინსვლა, ენერგეტიკა თუ სხვა. ენერგეტიკა მნიშვნელოვანია როგორც თქვენთვის, ასევე ჩვენთვისაც, იქნება ეს სამხრეთ დერეფანი თუ მომავალში "ნაბუკოს" გაზსადენი,"** - განაცხადა ევროკომისარმა.

მისი თქმით, აღმოსავლეთევროპული პარტნიორობის ფარგლებში მნიშვნელოვანი საკითხია ასევე სავიზო რეჟიმის გამარტივება. ამავე დროს, მისი განმარტებით, ამ პარტნიორობის ფარგლებში სხვადასხვა საკითხებზე თანამშრომლობის მიმართულებები თითოეული ქვეყნისთვის ინდივიდუალურად იქნება განსაზღვრული.

"24 საათის" შეკითხვაზე, თუ როგორ შეაფასებდა ჟენევის მოლაპარაკებების პროცესის განვითარებას, ბენიტა ფერერო-ვალდნერმა აღნიშნა, რომ **"მოლაპარაკებების დაწყებიდანვე ჩვენ საქართველოს განვიხილავთ როგორც ერთ, მთლიან სუვერენულ სახელმწიფოს, სეპარატისტული რეგიონების განცალკევების გარეშე."** მან აღნიშნა, რომ ევროკავშირის დამკვირვებელთა ჯგუფი მედვედევ-სარკოზის გეგმის ხელმოწერის შემდეგ ძალიან სწრაფად ჩამოვიდა და **"საქართველო ამ ფაქტით ძალიან ბედნიერი უნდა იყოს, რადგან აღარ არის სროლა, ძალადობა და შეწყდა შეიარაღებული კონფლიქტი."**

მან ასევე აღნიშნა, რომ ჟენევის მოლაპარაკებებს პრეზიდენტ სარკოზის ექვსპუნქტიანი გეგმის შესრულების პირობები ითვალისწინებს. **"ჩვენ გვსურს, ვიხილოთ დევნილები ნორმალურ საცხოვრებელ პირობებში, ჭეშმარიტი დემოკრატიის განვითარება და, რასაკვირველია, იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნება საკუთარ სახლებში. მოლაპარაკებათა პირველი ორი რაუნდი შეიძლება, დადებითად შეფასდეს, მაგრამ მომავალში კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი,"** - განაცხადა ევროკომისარმა.

# კლოდ ვოლებეკი: საქართველოში ეუთო-ს მისიის გაგრძელება აუცილებელია

თბილისში მყოფი ეუთო-ს უმაღლესი კომისარი ეთნიკური უმცირესობების სფეროში კლოდ ვოლებეკი რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ეუთო-ს მისიის მუშაობის გაგრძელებას აუცილებლად მიიჩნევს.

ვოლებეკი იმედს გამოთქვამს, რომ ეუთო-ს მისია კვლავ გააგრძელებს თავის საქმიანობას საქართველოში, განსაკუთრებით კი კონფლიქტურ რეგიონებში და თავის მოვალეობას პირნათლად შეასრულებს.

კომისრის თქმით, ევროპა საკმაოდ დაინტერესებულია, რომ ეუთო-ს მისიამ კვლავ გააგრძელოს მუშაობა სამხრეთ ოსეთში. **"ჩვენი მხრივ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მისიამ კონფლიქტურ რეგიონებში კვლავ გააგრძელოს ნაყოფიერი მუშაობა. სანამ გადაწყვეტილება ბოლომდე იქნება მიღებული, მე კვლავ გავაგრძელებ ეთნიკური უმცირესობების კუთხით მუშაობას და დიდი იმედი მაქვს, რომ ამ კუთხით მუშაობა კიდევ დიდხანს მომიწევს,"** - აღნიშნა ვოლებეკმა.

კლოდ ვოლებეკი გუშინ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდა. ვოლებეკის და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძის საუბრისას მთავარი აქცენტი რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ აგრესიასა და ქვეყნის ოკუპაციის შედეგად შექმნილ ვითარებაზე გაკეთდა. მხარეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ ეთნიკურ ქართველთა მდგომარეობას და მათი უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

რეინტერგაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა თემურ იაკობაშვილმა ეთნიკური უმცირესობების საკითხებში ეუთო-ს უმაღლეს კომისარს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული სიტუაცია გააცნო.

**"ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველებისა და ეთნიკური უმცირესობების უფლებები რუსი ოკუპანტების მიერ ყოველდღე ირღვევა. ნასვამი რუსი ოკუპანტები მოსახლეობისგან საკვებს ითხოვენ. გარდა ამისა, რუსი ოკუპანტები ადმინისტრაციული საზღვრის მიმართულებით ისვრიან, ცხინვალის მარიონეტული მთავრობა ეუთო-ს მისიის წარმომადგენლებს ცხინვალში შესვლის უფლებას არ აძლევს,"** – ასეთი ინფორმაცია მიაწოდა იაკობაშვილმა ვოლებეკს.

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრისას ვოლებეკმა განაცხადა, რომ იგი სოხუმში გაემგზავრება და არსებულ ვითარებას ადგილზე გაეცნობა. ვოლებეკის თქმით, მისთვის საინტერესოა, რა პირობებში იმყოფებიან ეთნიკური უმცირესობები კონფლიქტურ რეგიონებში.

**"აუცილებელია ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილი მოსახლეობის უფლებების დაცვა და მათი საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა,"** - განაცხადა კლოდ ვოლებეკმა.

კომისრის განმარტებით, სოხუმში ვიზიტის შემდეგ იგი კვლავ შეხვდება რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს და იქ არსებულ სიტუაციას გააცნობს.

*საკუთარი ინფორმაცია*

## ახალგორის რაიონში ნაღმზე ორი რუსი ოკუპანტი აფეთქდა

ახალგორის რაიონის სოფელ ახმატთან ორი რუსი სამხედრო მოსამსახურე ტანკსაწინააღმდეგო ნაღმზე აფეთქდა. როგორც ახალგორის რაიონის გამგებელმა ზურაბ ფიცხელაურმა განაცხადა, აფეთქების შედეგად დაჭრილი სამხედროები ჯერჯერობით რუსეთში არ გადაუყვანიათ და რაიონულ საავადმყოფოში მკურნალობენ.

"ამ ამბის შესახებ მწირი ინფორმაცია მაქვს. ახალგორის რაიონის ე.წ ადმინისტრაციის უფროს ანატოლი მარგიევს დავურეკე და ამ ამბის შესახებ კონკრეტული არაფერი მითხრა. უბრალოდ, ის ვიცი, რომ ორი ჯარისკაცი აფეთქდა. სოფელ ახმატთან ოკუპანტების სამხედრო ბაზაა და იქ შესვლას ვერავინ ახეხებს. როგორც ჩანს, ინფორმაციას ასაიდუმლოებენ, რადგან ადგილობრივმა მოსახლეობამაც არაფერი იცის," - განაცხადა ზურაბ ფიცხელაურმა. **მედიანიუსი**

## გეგა მგალობლიშვილი კვლავ გერმანიაში გაემგზავრება

მთავრობის კანცელარიის პრესამსახურის ინფორმაციით, 19 იანვარს ტელემედიცინის დახმარებით, გერმანელ სპეციალისტებთან ერთად კონსიულიუმი ჩატარდა და გადაწყდა, რომ პრემიერ-მინისტრი მკურნალობის პროცესის შესაფასებლად კვლავ გერმანიაში გაემგზავრება.

როგორც ცნობილია, იანვრის დასაწყისში პრემიერ-მინისტრს ჯანმრთელობის გაუარესების გამო, გერმანიაში ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევა ჩაუტარდა. გერმანელმა ექიმებმა, მას ნეფროპათიის (ინფექციის შედეგად გამოწვეული თირკმელის ანთებითი პროცესი) დიაგნოზი დაუსვეს და ოთხკვირიანი მკურნალობა დაუნიშნეს. 17 იანვარს, დილით, გეგა მგალობლიშვილი თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოათავსეს. მას არტერიული წნევის მომატება, თავის ტკივილი და ზოგადი დისკომფორტი აღენიშნებოდა. ჩატარებულ იქნა ლაბორატორიული და პარაკლინიკური გამოკვლევები ( ეკგ, ექოკარდიოგრაფია და სხვა). პრემიერ-მინისტრს აღენიშნა მცირე იშემიური მოვლენები ეკგ-ზე, რომლის კორეგირებაუმოკლეს დროში მედიკამენტოზურად მოხდა. 19 იანვარს 20:00 სთ-ზე პრემიერი კლინიკიდან გამოწერეს. ამ ეტაპზე მისი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და სტაციონარში ყოფნას აღარ საჭიროებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ორგანიზაცია „7 ნოემბრის" წევრები პრეზიდენტის გადადგომას ითხოვენ

მოძრაობა „7 ნოემბერი" პრეზიდენტ სააკაშვილის ინაუგურაციიდან ერთი წლის თავზე მის გადადგომას მოითხოვს. ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით, ორგანიზაცია „7 ნოემბრის" წევრებმა პარლამენტის შენობის წინ ბრიფინგი გამართეს. ორგანიზაციის წევრთა განცხადებით, ისინი სააკაშვილს ემიჯნებიან და მისი გადადგომის მოთხოვნით აქტიური საპროტესტო აქციების ციკლს იწყებენ. პირველი აქცია 28 იანვარს, სანდრო გირგვლიანის მკვლელობიდან მესამე წლისთავზე, პარლამენტის შენობის წინ გაიმართება. „7 ნოემბრის" წარმომადგენელ ჯაბა ჯიშკარიანის განცხადებით, 28 იანვარს იგეგმება რუსთაველის გამზირის გადაკეტვა. მოძრაობა „7 ნოემბერს" სხვადასხვა ახალგაზრდული ორგანიზაციებიც შეუერთდებიან. **მედიანიუსი**

## მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლი გადაცემა "დიდი ათეულის" გამო ხელმოწერებს აგროვებს

მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლი "პირველი არხის" გადაცემა საქართველოს დიდი ათეულის ნომინანტთა სიიდან წმინდანების ამოღებას მოითხოვს. ამ მოთხოვნით მრევლი ხელმოწერებს აგროვებს, რომელსაც რამდენიმე დღეში გადაცემაში წარადგენს.

როგორც ხელმოწერების აქციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა განაცხადა, მართლმადიდებლურად დაუშვებელია, რომ წმინდანები შეაჯიბროს საერო პირებს, რაც აღნიშნულ გადაცემაში ხორციელდება. იმ შემთხვევაში, თუ გადაცემაში ხელმოწერების წარდგენის შემდეგ ნომინანტთა სიიდან წმინდანების სახელები ამოღებული არ იქნება, მრევლი პროტესტის სხვა ზომებს მიმართავს. **მედიანიუსი**

## "პირველი არხის" ხელმძღვანელს გადაცემა "დიდი ათეულის" შესახებ მიმართვა გაუგზავნეს

საზოგადოების ერთმა ნაწილმა "პირველი არხის" სამეურვეო საბჭოსა და გენერალურ დირექტორ ლევან ყუბანეიშვილს მიმართვა გაუგზავნეს, სადაც მაუწყებლობის ხელმძღვანელობას სარედაქციო დამოუკიდებლობის დაცვასა და გადაცემა "დიდი ათეულის" ფორმატის შეცვლაზე უარის თქმას სთხოვენ. მიმართვის ავტორები საქართველოს საპატრიარქოს სარედაქციო დამოუკიდებლობის ხელყოფაში ადანაშაულებენ და აცხადებენ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია, სარედაქციო დამოუკიდებლობა უზრუნველყოს. აღნიშნული მიმართვა მას შემდეგ გავრცელდა, რაც საპატრიარქომ გადაცემა "საქართველოს დიდ ათეულში" წმინდანების სარეიტინგო შეჯიბრში მონაწილეობის გამო გადაცემის დახურვა ან ფორმატის შეცვლა მოითხოვა. მიმართვას ხელს აწერენ ჟურნალისტი ეკა კვესიტაძე, სოციოლოგი გიგა ზედანია, მსახიობი ნინო ბურდული, სოციოლოგი იაგო კაჭკაჭიშვილი და სხვები. **მედიანიუსი**

## ჯორჯ ბუში საკაშვილს ტელეფონით ესაუბრა

ამერიკის 43-ე პრეზიდენტი ჯორჯ ბუში, პრეზიდენტობის პოსტზე ბოლო სატელეფონო საუბრების ფარგლებში, საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ესაუბრა.

როგორც თეთრი სახლის პრესსამსახური იუწყება, ჯორჯ ბუშს სატელეფონო საუბრები ჰქონდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან და პრემიერ-მინისტრთან, ასევე ისრაელის, იტალიის, დიდი ბრიტანეთის, ბრაზილიის, იაპონიის, სამხრეთ კორეის, დანიის, გერმანიისა და საფრანგეთის პირველ პირებთან. **მედიანიუსი**

## "ლეიბორისტები" უფასო სამედიცინო მომსახურების პროგრამების გაუქმებას აპროტესტებენ

"ლეიბორისტული პარტია" უფასო სამედიცინო მომსახურების პროგრამების გაუქმებას აპროტესტებს. პარტიის ერთ-ერთი ლიდერი იოსებ შატბერაშვილი აცხადებს, რომ ჯანდაცვის ის პროგრამები, რომლებიც აქამდე უფასო იყო, 2009 წლიდან ფასიანი გახდა.

შატბერაშვილის განცხადებით, ფასიანი გახდა სამედიცინო მომსახურება 3 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის, ასევე 65 წელს ზევით ასაკის მოქალაქეებისთვის.

შატბერაშვილის განცხადებით, 3-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის მომსახურების საფასურის 80 პროცენტს სახელმწიფო იხდიდა, ხოლო 2009 წლიდან ეს შეღავათი გაუქმდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ჯანდაცვის წლევანდელი ბიუჯეტი პრაქტიკულად შარშანდელის იდენტურია

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროს სოფიო ლებანიძის განცხადებით, ჯანდაცვის წლევანდელი ბიუჯეტი პრაქტიკულად შარშანდელის იდენტურია.

მისი თქმით, 2008 წელს ბავშვთა სამედიცინო მომსახურებაზე სახელმწიფო პროგრამაში 13 მლნ 714 ათასი ლარი იყო გათვალისწინებული, ხოლო 2009 წელს ამავე პროგრამაზე 13 მილიონ 301 ათასი ლარის დახარჯვაა დაგეგმილი.

„რაც შეეხება მომსახურების მოცულობას, პრაქტიკულად, შარშანდელის იდენტურია. სტაციონარში 0-3 წლამდე ბავშვების სამედიცინო მომსახურების 80 პროცენტი სახელმწიფოს მხრიდან იფარება, ხოლო 20 პროცენტს პაციენტი იხდის," - განაცხადა ლებანიძემ.

„რაც შეეხება კრიტიკულ მდგომარეობას და ნეონატოლოგიურ მომსახურებას, აქაც იგივე ციფრები აისახება. 0-3 წლამდე ასაკის ბავშვთა გადაუდებელ დახმარებას სახელმწიფო ასევე სრულად აანაზღაურებს.

18 წლამდე ასაკის ბავშვთა ანტირაბიული მომსახურებაც შარშანდელის იდენტური იქნება.

გარდა ამისა, 2009 წელსაც ძალაში რჩება ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგი. 2009 წელს იდენტურია ასევე, 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკა და მკურნალობა - სახელმწიფო პროგრამა მთლიანად ფარავს და პაციენტის მხრიდან თანაგადახდა არ იგულისხმება.

რაც შეეხება 3 წლის ასაკის ზემოთ, აქ მომსახურება სხვადასხვანაირად არის.

„3-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვი, თუ იგი უმწეო ოჯახის წევრია და სიღარიბის პროგრამის ფარგლებშია დაზღვეული, მაშინ მათთვის ულიმიტო მომსახურებაა, ამ პროგრამის ფარგლებში დაფარულია როგორც ამბულატორიული, ასევე სტაციონარული მკურნალობა," - აცხადებს სოფიო ლებანიძე.

უმწეო ოჯახისთვის ამბოლატორიული მომსახურება, თუნდაც ონკოლოგიური პაციენტების მომსახურება დაფარულია სიღარიბის პროგრამის ფარგლებში, ხოლო თუ ოჯახი არ არის უმწეოთა კატეგორიიდან, მაშინ სპეციფიკურ მედიკამენტებს სახელმწიფო პროგრამიდან სახელმწიფო დაფინანსებით იღებს, რაც შეეხება ცნობის გაცემას, ის ფასიანია, მაგრამ უმწეო ოჯახისთვის ცნობა უფასოა.

60 წელს ზემოთ მოსახლეობისათვის სახელმწიფო პროგრამა ღირებულების 70 პროცენტსფარავს, ხოლო მოსახლეობის თანაგადახდა 30 პროცენტს ითვალისწინებს. **მედიანიუსი**

## "რუსეთი საქართველოსთვის იარაღის მიმწოდებელ ქვეყნებთან ურთიერთობებს გადახედავს"

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი აცხადებს, რომ თუკი რიგი ქვეყნები საქართველოსათვის იარაღის მიწოდებას გააგრძელებენ, ეს ფაქტი რუსეთისა და ამ ქვეყნების ურთიერთობებზე აუცილებლად აისახება.

"ჩვენ იმის მიხედვით ვიმოქმედებთ, თუ როგორ მოიქცევიან ესა თუ ის ქვეყნები მომავალში. იმ შემთხვევაში, თუკი სხვა ქვეყნები საქართველოსათვის იარაღისა და სხვა სახის თავდასხმითი ხასიათის საბრძოლო მასალის მიწოდებას გააგრძელებენ, ჩვენ გავაკეთებთ შესაბამის დასკვნებს, რომლებიც რუსეთის ამ ქვეყნებთან ურთიერთობებს შეეხება," - განაცხადა გუშინ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ მურატ ჯიოევთან გამართული შეხვედრის შემდეგ. **ჯი-ეიჩ-ენი**

# პოლიტიკური ბრალდებები ენგურჰესის გამო

გიორგი ასანიშვილი

*ენგურჰესის რუსულ სახელმწიფო კომპანიასთან ერთობლივი მართვის გადაწყვეტილების ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი არ წყდება. თუ აქამდე დისკუსიაში, ძირითადად, ქართული მხარის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, ახლა უკვე პოლემიკაში აფხაზი სეპარატისტებიც ჩაებნენ. სოხუმის მარიონეტული რეჟიმის ლიდერი სერგეი ბაგაფში ღიად გამოთქვამს უკმაყოფილებას საქართველოსა და "ინტერ რაო-ეეს"- ს შორის მემორანდუმის გაფორმების გამო, რომელიც ენგურჰესის ერთობლივ ექსპლუატაციას ითვალისწინებს. "ხელს არ მოვაწერთ არც ერთ დოკუმენტს, რომელიც ჩვენი რესპუბლიკისა და ხალხის ინტერესებს დააკნინებს. ამიტომ, ჩვენს ზურგს უკან გაფორმებულ არც ერთ ხელშეკრულებასა თუ მემორანდუმს, რომელიც ჩვენს ინტერესებს არ ითვალისწინებს, არავითარი ძალა არ ექნება," - რუსული და ქართული მხარეების მიერ "დამოუკიდებელი აფხაზეთის" იგნორირებით აღშფოთებულია დე ფაქტო პრეზიდენტი. სეპარატისტების ლიდერი კატეგორიულად ითხოვს, რომ ენგურჰესის აქციათა საკონტროლო პაკეტს აფხაზური მხარე ფლობდეს. ენგურჰესის მართვაში რუსული კომპანიის გამოჩენას საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური ოპონენტებიც აპროტესტებენ.*

### სოხუმში ბრაზობენ

გუშინ სოხუმში საგანგებო თათბირი ჩატარდა, რომელიც ენგურჰესის ექსპლუატაციის საკითხებს მიეძღვნა და რომელსაც აფხაზი სეპარატისტების მთელი ელიტა ესწრებოდა – ე.წ ვიცე-პრეზიდენტი რაულ ხაჯინბა, ე.წ პრემიერ-მინისტრი ალექსანდრე ანქვაბი, ე.წ ვიცე-სპიკერი ვიაჩესლავ ცუგბა, ე.წ უშიშროების საბჭოს მდივანი სტანისლავ ლაკობა, ე.წ საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა...

**"ენგურჰესის კაშხალი საქართველოს ტერიტორიაზეა, ხოლო მართვის ძირითადი ბერკეტები - აფხაზეთის ტერიტორიაზე. ენგურჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის 60 პროცენტი აქამდე საქართველოს რჩებოდა, 40 პროცენტი კი - აფხაზეთს. ოფიციალურ თბილისს შეუძლია, მომავალშიც აკეთოს განცხადებები იმის შესახებ, რომ იგი აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული კიდევ მრავალი ობიექტის მესაკუთრეა, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის. ენგურჰესი აფხაზეთის ტერიტორიაზეა და ის აფხაზეთს ეკუთვნის,"** - სეპარატისტთა თავყრილობაზე ურთიერთგამომრიცხავი განცხადებების კორიანტელი დააყენა სოხუმის მარიონეტული რეჟიმის ლიდერმა.

თავის მხრივ, ე.წ. სახელმწიფო კომპანიის "ჩერნომორენერგოს" დირექტორი რეზო ზანთარია საქართველოსა და რუსულ კომპანიას შორის გაფორმებულ მემორანდუმზე საუბრისას პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ **"ინტერ რაო საქართველოსთან აფხაზეთის ქონებას იყოფს"**. მის უკმაყოფილებას ის გარემოებაც განაპირობებს, რომ სოხუმს რუსული ენერგეტიკული კომპანიისგან აფხაზეთისთვის სასარგებლო და მომგებიანი არავითარი წინადადება არ მიუღია. მეტიც, ზანთარიასთვის გაუგებარია, რატომ მოხდა ისე, რომ "ჩერნომორენერგოსთვისაც" კი უცნობი იყო, რუსული კომპანია საქართველოსთან მემორანდუმის გაფორმებას თუ აპირებდა.

**"მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის ენერგეტიკული სფერო ინვესტიციებს უკიდურესად საჭიროებს, ამ სფეროში ყველა ხელშეკრულება მხოლოდ ურთიერთმომგებიანი წინადადებების შეთანხმების შემდეგ იქნება ხელმოწერილი,"** - მოსკოვის მიერ "დამოუკიდებელი აფხაზეთისთვის" გვერდის ავლა აღიზიანებს რეზო ზანთარიას.

აღელვებული სეპარატისტების დასაწყნარებლად გუშინ სოხუმში "ინტერ რაო-ეეს"- ის გენერალური დირექტორი ევგენი დოდი ჩავიდა.

### თბილისში დავობენ

საქართველოსა და "ინტერ რაო-ეს"-ს შორის ხელმოწერილ მემორანდუმს გუშინ თბილისშიც აკრიტიკებდნენ. "ახალი მემარჯვენეების" ლიდერ დავით გამყრელიძის თქმით, აღნიშნული დოკუმენტი საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თანამდებობის შესანარჩუნებლად გააფორმა.

**"ენგურჰესის ნაწილის რუსული კომპანიისთვის გადაცემის გამო სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას როგორც ენერგეტიკის მინისტრის, ასევე მიხელ სააკაშვილის მიმართ,"** - მიიჩნევს ოპოზიციონერი პოლიტიკოსი, რომელიც მემორანდუმის სრული ტექსტის გამოქვეყნებას ითხოვს. გამყრელიძე არ გამორიცხავს, რომ ახლო მომავალში სააკაშვილის ხელისუფლებამ საქართველოს რკინიგზა და გაზსადენიც რუსულ კომპანიებს გადასცეს. "ახალი მემარჯვენეების" ლიდერი დაბეჯითებით აცხადებს, რომ პრეზიდენტის შეცვლის შემდეგ ქვეყნის ინტერესების საზიანო ყველა ხელშეკრულება აუცილებლად გადაისინჯება.

"24 საათთან" საუბრისას დავით გამყრელიძემ აღნიშნა, რომ "ინტერ რაო-ეეს"-ის გენერალური დირექტორის სოხუმში ვიზიტით საქართველოს ხელისუფლება იმ ბოლო არგუმენტსაც კარგავს, რომლის თანახმად რუსულ კომპანიასთან გაფორმებული მემორანდუმი ადასტურებს მოსკოვის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარებას და იმას, რომ ენგურჰესი საქართველოს საკუთრებაში რჩება.

**"ეს მითიც დაიმსხვრა, რადგან ევგენი დოდის სოხუმში ჩასვლით ნათელი გახდა, რომ იგი აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებასაც მოელაპარაკება და ენგურჰესის მართვაში აღებისთვის მისგანაც მიიღებს დასტურს,"** - აცხადებს "ახლების" ლიდერი.

დავით გამყრელიძე სერგეი ბაგაფშის ზემოთ აღნიშნულ იმ განცხადებაზეც აკეთებს კომენტარს, რომლის მიხედვითაც, ის ხელს არ მოაწერს აფხაზეთის ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ არც ერთ შეთანხმებას.

**"წარმოიდგინეთ, როგორი სავალალოა ჩვენი მდგომარეობა, როდესაც იმის იმედზელა ვართ, რომ, იქნებ, ბაგაფში არ დაეთანხმოს იმას, რომ ჩვენმა დამპყრობელმა ჩვენთვის ყველაზე სტრატეგიული ობიექტი ჩვენივე ხელით არ წაიღოს,"** - განუცხადა "24 საათს" "ახლების" ლიდერმა.

დავით გამყრელიძე ხელისუფლებას კიდევ ერთ ბრალდებას უყენებს. მისი მტკიცებით, რუსეთის მხრიდან ენგურჰესის გამოყენებით დაგეგმილი პროვოკაციის შესაძლო განხორციელებაზე ქართული მხარე დეკემბერში საქართველოში ვიზიტად მყოფმა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა გააფრთხილა, თუმცა მის ვინაობას "ახლების" ლიდერი არ აკონკრეტებს.

დავით გამყრელიძის ბრალდებებს სახელისუფლებო ეშელონებში კატეგორიულად უარყოფენ.

ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელ დავით დარჩიაშვილის მტკიცებით, ენგურჰესში რუსული კომპანიის შესვლის შესახებ საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი - ამერიკის შეერთებული შტატები ინფორმირებული იყო და ამაზე ოფიციალურ ვაშინგტონს, ისევე როგორც საქართველოს მეგობარ სხვა ქვეყნებს, უარყოფითი პოზიცია არ ჰქონიათ.

**"ენგურჰესის შემთხვევაში, საუბარია არა ამ ობიექტის რუსული მხარისთვის მიყიდვაზე ან წილის გასხვისებაზე, არამედ მის მართვაში "ინტერ რაოს" მხოლოდ და მხოლოდ მონაწილეობაზე, განსხვავებით მაგისტრალური მილსადენისგან, რომლის ყიდვაზე რუსეთს მართლაც ჰქონდა პრეტენზია,"** - განმარტავს დარჩიაშვილი.

იგი დარწმუნებულია, რომ ხელისუფლება არც ერთ ისეთ ნაბიჯს არ გადადგამს, რომელიც სტრატეგიული ობიექტების გასხვისებით ქვეყანას საფრთხის წინაშე დააყენებს.

**"პირადად მე სულაც არ მანიჭებს სიამოვნებას იმის განცდა, რომ საქართველოში რუსულ სახელმწიფოსთან და მის კომპანიასთან ერთად რაღაცის მენეჯმენტი უნდა ხორციელდებოდეს, მაგრამ პოლიტიკა მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების სფეროა. ძალიან კარგი იქნებოდა, ენგურჰესის ოპერირებას საქართველო მარტო ან რომელიმე მეგობარ სახელმწიფოსთან ერთად ახორციელებდეს, მაგრამ დღეს ეს არარეალურია, ხოლო ალტერნატივა შემდეგია: ენგურჰესი ან უნდა გამოირთოს, ან უნდა იმუშაოს,"** - რუსეთთან კომპრომისის აუცილებლობაზე საუბრობს საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე.

ენგურჰესის მენეჯმენტის თაობაზე დავით გამყრელიძის განცხადებას პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ მელიქიშვილიც ეხმიანება.

**"მემორანდუმით, რომელიც რუსულ კომპანია "ინტერრაოსა" და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს შორის გაფორმდა, ჰესი, მთელი თავისი ქონებითა და აქციებით, საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებაში რჩება. გადაწყვეტილება, რომელიც ქართულმა მხარემ მიიღო, ენერგოუსაფრთხოების დამატებითი გარანტიების შექმნის მიზნით გატარებული ღონისძიებაა,"** - აცხადებს მელიქიშვილი.

რაც უფრო მოახლოვდება ენგურჰესის ერთობლივი მართვის ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი, დოკუმენტის მიზანშეწონილობის გარშემო პოლიტიკური დაპირისპირება, სავარაუდოდ, კიდევ უფრო მწვავე ხასიათს მიიღებს.

# ნოღაიდელმა მედიას გეგმა გააცნო

მოძრაობა „სამართლიანი საქართველოს" ლიდერმა ზურაბ ნოღაიდელმა საკუთარი პარტიის მიერ შექმნილი პროგრამების ფარგლებში გუშინ საქართველოს თავდაცვისუნარიანობის და კონფლიქტების მოგვარების გეგმა წარმოადგინა. როგორც ნოღაიდელმა განაცხადა, მისი მოძრაობის პროგრამის მიხედვით, საქართველოს ეყოლება პროფესიული არმია ნატო-ს სტანდარტების შესაბამისად.

„ჩვენ უზრუნველვყოფთ დემოკრატიულ კონტროლს სამხედრო შესყიდვებზე და მთლიანად ჯარის აღმშენებლობაზე. ავაშენებთ ძლიერ ქართულ არმიას. საქართველოს ეყოლება მხოლოდ პროფესიული არმია; ჩვენ უარს ვამბობთ კამპანიურ ელემენტებზე - რეზერვისტების ინსტიტუტზე; არმიის რეზერვში მხოლოდ ჯარგამოვლილი კონტრაქტორები ჩაირიცხებიან; ქართული ჯარი ღირსეულ მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო ოპერაციებში," - განაცხადა ზურაბ ნოღაიდელმა.

მისი თქმით, პარტიას ახალი ლოზუნგი აქვს: დაიბრუნოს აფხაზები და ოსები და არა აფხაზეთი და ოსეთი.

*მედიანიუსი*

# იურიდიული სამსახურის დახმარებით შეწყვეტილი საქმეები

*იუსტიციის სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის ინფორმაციით, ბოლო პერიოდში ადვოკატებს დახმარებისთვის უფრო მეტი დაკავებული მიმართავს და ხშირ შემთხვევაში მათი საქმეები წარმატებით სრულდება. 2008 წლის სტატისტიკით, იურიდიული დახმარების სამსახურს წარმოებაში ჰქონდა 8 900 საქმე, აქედან ნაკლებად მძიმე კატეგორიის 3 635 საქმე, მძიმე - 3 110, განსაკუთრებით მძიმე კი 2 650 საქმე.*
*საზოგადოებრივი ადვოკატების დახმარებით, აღკვეთის ღონისძიებად დაკავებულებს 3 652 შემთხვევაში პატიმრობა შეეფარდათ, 1032 ბრალდებული სასამართლომ გირაოთი და 92 პირადი თავდებობით გაათავისუფლა, 187 ბრალდებულს დაეკისრა ჯარიმა, განაჩენი გადაუვადდა 7 განსასჯელს, 58-ს კი კვალიფიკაცია შეუმსუბუქდა. 433 ბრალდებულს სხვა სახის აღმკვეთის ღონისძიება შეეფარდა.*

ცხინვალიდან დევნილი აკაკი ბ. სამართალდამცველებმა ქურდობის ბრალდებით დააკავეს. მას სისხლის სამართლის კოდექსიდან გამომდინარე, სამიდან ხუთ წლამდე პატიმრობა ემუქრებოდა. დაკავებულის ინტერესებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის, ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი გიორგი მდინარაძე იცავდა. მართალია, ბრალდებული თავს დამნაშავედ თვლიდა, მაგრამ სასამართლომ აკაკი ბ.-სთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებაზე მაინც იმსჯელა და განსასჯელს გირაოს სახით 3 ათასი ლარის გადახდა დააკისრა. თუმცა, ცხინვალიდან დევნილის ოჯახისთვის ამ თანხის შეგროვება შეუძლებელი აღმოჩნდა და გარდაბნის რაიონულმა სასამართლომ მას აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეუფარდა.

მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატმა გიორგი მდინარაძემ სასჯელის შემსუბუქებისთვის სასამართლოს წარუდგინა აკაკი ბ.-ს შემამსუბუქებელი გარმოებების დამადასტურებელი დოკუმენტები, მათ შორის ცნობა განსასჯელის ოჯახის სოციალურად დაუცველ ოჯახთა მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირების შესახებ და ისიც, რომ განსასჯელს, რომელიც გარდაბნის რაიონში მუშაობდა, თანასოფლელები და მეგობრები დადებითად ახასიათებდნენ, გარდაბნის რაიონულმა სასამართლომ არ გააკმაყოფილა ადვოკატის მოთხოვნა აკაკი ბ.-სთვის სასჯელის პირობითად ჩათვლის შესახებ და მას სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ადვოკატმა გიორგი მდინარაძემ პირველი ინსტაციის სასამართლოს გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. ზემდგომმა სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა დაცვის მხარის მოთხოვნა - აკაკი ბ.-ს ყოველგვარი დამატებითი სასჯელის გარეშე დანიშნული სასჯელი პირობითად ჩაუთვალა და იგი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.

მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის დიმიტრი ბებიას დაცვის ქვეშ მყოფ ყაჩაღობაში ბრალდებულ ბაჩუკი წ.-ს კი რვიდან თხუთმეტ წლამდე პატიმრობა ემუქრებოდა. განსასჯელი წარსულში ორჯერ იყო ნასამართლევი, ამჟამად კი, ბრალად მობილური ტელეფონისა და ფულადი თანხის გამოძალვა ედებოდა. სასამართლო გამოძიების დროს ადვოკატმა წარადგინა მტკიცებულებები აღნიშნული მობილურ ტელეფონში გააქტიურებული, სხვადასხვა ადამიანზე რეგისტრირებული ნომრებისა და ამ ნომრებიდან განხორციელებული ზარების ამონაწერის სახით. დიმიტრი ბებიას შუამდგომლობით, სასამართლოში მოწმის სტატუსით გამოიძახეს ის პირები, ვისი ნომრებითაც ბაჩუკი წ.-მ ისარგებლა. დაზარალებულის ჩვენებიდან გამომდინარე, მობილურ ტელეფონთან მიმართებაში ბაჩუკი წ.-ს ბრალეულობა არ დასტურდებოდა. დაცვის მხარის აქტიურობისა და დაყენებული შუამდგომლობების შედეგად სასამართლო დარბაზშივე პროკურატურამ საპროცესო შეთანხმების გაფორმების სურვილი გამოთქვა. საბოლოოდ, საპროცესო შეთანხმების თანახმად, ბაჩუკი წ.-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა ჯარიმისა და სხვა დამატებითი სასჯელის გარეშე.

იუსტიციის სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატის დახმარებით, განსასჯელი ნაწილობრივ გამართლდა და სასამართლოს სხდომათა დარბაზიდან გათავისუფლდა.

მანუჩარ ბ.-ს, რომელსაც ნარკოტიკული საშუალებების მოყვანა-კულტივირებისა და მოხმარებაში ედებოდა ბრალი, ტყიბულის რაიონულმა სასამართლომ 4 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. განსასჯელის ინტერესებს იმერეთის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი ზაქრო გვიშიანი იცავდა, რომელმაც ეს გადაწყვეტილება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

ზაქრო გვიშიანის დახმარებით, განსასჯელს ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისათვის სასჯელის ზომა ამნისტიის შესახებ კანონის თანახმად გაუნახევრდა და ჩაეთვალა მოხდილად. გარდა ამისა, დანაშაულის შემადგენლობის არ არსებობის გამო ნარკოტიკული საშუალების მოყვანა-კუტივირებაში წაყენებული ბრალდებაში მანუჩარ ბ. გამართლდა და, საბოლოოდ, იგი სასამართლოს სხდომათა დარბაზიდან გათავისუფლდა.

სამეგრელოს იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატების დახმარებით კი, ბრალდებულების მიმართ სამართლებრივი დევნა წინასწარი გამოძიების პროცესშივე შეწყდა.

ქურდობაში ბრალდებული გიორგი ბ.-ს, ლადო ბ.-ს, რუზგენ გ.-ს, თემურ ხ.-ს და ელდარ ქ.-ს ინტერესებს სამეგრელოს იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატები ლალი ჩინაშვილი და მარინე მიქავა იცავდნენ. აღნიშნულ პირებს კოტე კ.-ს სახლში უკანონოდ შეღწევასა და ერთი ტომარა სიმინდის მისაკუთრებაში ედებოდათ ბრალი. ადვოკატების აქტიური მუშაობის შედეგად გამოირკვა, რომ ერთ-ერთი ბრალდებულის მამა მერაბ ქ. კოტე კ.-ს შპს-ში მუშაობდა, კერძოდ, დაზარალებულის მიწის ნაკვეთზე სიმინდი მოჰყავდა. გარდა ამისა, მერაბ ქ.-ს აღნიშნულ შპს-ში ჰქონდა თავისი წილი და, შესაბამისად, სიმინდის გარკვეული რაოდენობის აღების საშუალება ჰქონდა. ხოლო მისი შვილი ელდარ ქ. მეგობრებთან ერთად კოტე კ.-ს სახლში მამის კუთვნილი სიმინდის წამოსაღებად მივიდა.

ამ მტკიცებულებების მოპოვების შემდეგ ადვოკატებმა ბრალდებულების მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა მოითხოვეს, რაც ზუგდიდის რაიონულმა პროკურატურამ დააკმაყოფილა და გიორგი ბ.-ს, ლადო ბ.-ს, რუზგენ გ.-ს და თემურ ხ.-ს ბრალდება მოუხსნა. გამოძიებამ ელდარ ქ.-ს დანაშაული გადააკვალიფიცირა თვითნებობად, რაც, ამნისტიის აქტის საფუძველზე შეწყდა.

სამართლებრივი დევნა შეწყდა ძარცვაში ბრალდებული ბაჩუკი მ.-ის მიმართაც, რომლის ინტერესებსაც მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი ვარდო ველიჯანაშვილი იცავდა. ბრალდებულს სხვა პირთან ერთად მობილური ტელეფონის უკანონო დაუფლებაში ედებოდა ბრალი. სასამართლოში საქმის განხილვისას არც დაზარალებულმა და არც სხვა რომელიმე მოწმემ ბაჩუკი მ.-ს დანაშაული არ დაადასტურა. ხოლო ჯგუფის მეორე წევრმა, რომელიც წინასწარ გამოძიებაში ბაჩუკი მ.-ს ამხელდა, უარი განაცხადა თავდაპირველ ჩვენებაზე. მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურა ბაჩუკი მ.-ს საპროცესო შეთანხმების გაფორმებას სთავაზობდა, ადვოკატი ვარდო ველიჯანაშვილი ამ შეთავაზებას არ დათანხმდა და, საბოლოოდ, მტკიცებულებების არარსებობის გამო ბაჩუკი მ-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა.

# სემინარი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაზე

ადვოკატებისათვის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თემაზე ორდღიანი სემინარი გაიხსნა. ღონისძიების მიზანია საზოგადოებრივი ადვოკატების ინფორმირება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მარეგულირებელი შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო ნორმების შესახებ. სემინარი ტარდება "საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის ხელშეწყობის პროექტის" ფარგლებში, რომელსაც გაერო-ს ბავშვთა ფონდი (UNICEF) ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს.

იუსტიციის სამინისტროში მიმდინარე სემინარს უძღვებიან იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტები, რომლებმაც UNICEF-ის ორგანიზებით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თემაზე ტრენერთა მოსამზადებელი კურსი გაიარეს. საზოგადოებრივი ადვოკატები განიხილავენ შემდეგ საკითხებს: არასრულწლოვანთა დაკითხვის ტექნიკები, დაკითხვის ფორმალური სისტემის ფსიქოლოგიური ზემოქმედება, ბავშვისადმი კეთილგანწყობილი მართლმსაჯულების სისტემის ჩამოყალიბება, არასრულწლოვანთა დანაშაულის რისკფაქტორები, თავისუფლების აღკვეთის ფსიქოლოგიური ზემოქმედება და სხვა.

ღონისძიება იუსტიციის მინისტრის მოადგილე მაია კოპალეიშვილმა, საქართველოში UNICEF-ის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ჯოვანა ბარბარისმა და იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რუსუდან ტაბატაძემ გახსნეს.

გუშინდელი ღონისძიებით, რომელსაც თბილისის, მცხეთა-მთიანეთის და ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროების ადვოკატები ესწრებოდნენ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თემისადმი მიძღვნილი სემინარების ციკლი გაიხსნა. დაგეგმილია კიდევ ხუთი სემინარი, რომელიც შიდა ქართლის, იმერეთის - ზესტაფონისა და ქუთაისის, სამეგრელოს – ზუგდიდისა და ფოთის და აჭარის იურიდიული დახმარების ბიუროების ადვოკატებს თებერვლის ბოლომდე ჩაუტარდება.

*საკუთარი ინფორმაცია*

## ცხინვალში მოსახლეობიდან ცეცხლსასროლი იარაღის ამოღება დაიწყო

ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობაში უკანონოდ შენახული ცეცხლსასროლი იარაღის ამოღების პროცესი დაიწყო. ე.წ. სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტი კოკოითის სეპარატისტულ შს სამინისტროზე დაყრდნობით იუწყება, რომ მოსახლეობის მიერ დაურეგისტრირებელი იარაღის ჩაბარების ფაქტები ძალიან იშვიათ შემთხვევებში ხდება.

"სამხრეთ ოსეთის მთავრობამ და სამართალდამცველმა ორგანოებმა ჯერ კიდევ აგვისტოში მოუწოდეს მოსახლეობას დაერეგისტრირებინათ ის იარაღი, რომელიც მათ ხელისუფლებამ აგვისტოს მოვლენების დროს საწყობებიდან უკონტროლოდ დაურიგა," - იუწყება კომიტეტი და აღნიშნავს, რომ ცეცხლსასროლი იარაღის რეგისტრაციისათვის განკუთვნილი ვადა უკვე გავიდა, ამიტომაც, "შს სამინისტროს თანამშრომლებმა იარაღის ამოღებისათვის რეიდების ჩატარების შესაბამისი განკარგულება უკვე მიიღეს".

მათივე ინფორმაციით, ე.წ. სამხერთ ოსეთის ხელისუფლება იარაღის ამოღების შემდეგ მათ მფლობელებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას არ აკისრებს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ბიზნემენი ლევან კაჭარავა ენგურჰესის გამო დააკავეს

“ახალი მემარჯვენეების” ლიდერ დავით გამყრელიძის განცხადებით, საქართველო-რუსეთს შორის ენგურჰესის შესახებ გაფორმებულ ხელიშეკრულების გამო, დაკავებულია კომპანია “სილქროუდის” წარმომადგენელი ბიზნესმენი ლევან კაჭარავა.

გამყრელიძის თქმით, კაჭარავა, რომელიც რუსეთიდან თურქეთში ელექტროენერგიის ტრანზიტს ახორციელებდა მოწმე გახდა, აღნიშნული გარიგების, რის გამოც ხელისუფლებამ მისი დაპატიმრება გადაწყვიტა.

"ლევან კაჭრავა, რომელიც სერიოზულ ბიზნესს აწარმოებდა ენგურჰესის ნაწილის რუსეთითვის გადაცემის ფაქტთან დაკავშირებით იყო იფორმირებული. სწორედ ამიტომ ხელსუფლებამ მისი მოშორება გადაწყვიტა და დააპატიმრა," - განაცხადა გამყრელიძემ.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## მაშველები მამაკაცის ცხედარს უშედეგოდ ეძებენ

მაშველთა ბრიგადის თანამშრომლები მესამე დღეა მდინარე მტკვარში უშედეგოდ ეძებენ 20 წლის იგორ ჟუკოვსკის.

იგორ ჟუკოვსკი და მისი ორი მეგობარი მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ბენზინგასამართ სადგურ „ლუკოილის" ტერიტორიაზე ნასვამები იყვნენ. ერთ-ერთ მათგანს მდინარეში ქურთუკი გადაუვარდა. როგორც თვითმხილველები ამბობენ, იგორ ჟუკოვსკი სწორედ ამ ქურთუკის გამო გადახტა მტკვარში.

მაშველთა ბრიგადის თანამშრომლები ამ დრომდე უშედეგოდ ეძებენ იგორ ჟუკოვსკის ცხედარს.

*მედიანიუსი*

## ავარიას სამი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა

სოფელ კაჭრეთთან მომხდარ ავტოავარიას სამი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ერთ-ერთი გარდაცვლილი საპატრულო პოლიციის თანამშრომელია და წინასწარი ინფორმაციით, ავტოავარიის მიზეზი სწორედ ის გახდა.

დაზარალებულის ოჯახის ახლობლების ინფორმაციით, პატრულის თანამშრომელი საკუთარი ავტომობილით ზაქრო ჯაფოშვილის ავტომობილს შეეჯახა, რომელშიც მისი მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილიც იყვნენ. ამასთან, შეჯახების მომენტში ჯაფოშვილის ავტომანქანა გაჩერებული იყო.

ავტოავარიის შედეგად ზაქრო ჯაფოშვილი, მისი მეუღლე და პატრულის თანამშრომელი ადგილზე გარდაიცვალნენ. ჯაფოშვილის მცირეწლოვანი ვაჟი გურჯაანის საავადმყოფოში გადაიყვანეს და სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს. ბავშვს ელენთა ამოაჭრეს. ამჟამად, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. ჯაფოშვილის მეორე შვილი - გოგონა რეანომობილით თბილისში, იაშვილის სახელობის საავადმყოფოში გადმოიყვანეს. ოჯახის ახლობლების განცხადებით, იგი მრავლობითი მოტეხილობებით კომატოზურ მდგომარეობაშია და მისი მდგომარეობა კრიტიკულია.

*პირველი*

## დიდი ოდენობით უკანონო ხე-ტყე აღმოაჩინეს

შიდა ქართლის სატყეო სამმართველოს თანამშრომლებმა ტყის მასივის მორიგი შემოწმებისას უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყე აღმოაჩინეს. დაახლოებით 80 კუბური მეტრი წიწვოვანი და ფოთლოვანი მერქანი საშეშე და სამასალე დამუშავებისთვის იყო გამზადებული.

ხაშურის რაიონში, დაბა სურამთან უკანონოდ მოჭრილი ძვირადღიღებული მერქანი რამდენიმე ადგილას აღმოაჩინეს. ყველაზე დიდი ოდენობა სოფელ იტრაში ულუმბელაშვილების ოჯახში და სოფელ წაბლოვანში ნოზაძეების ოჯახში ინახებოდა. ოჯახის წევრები ხე-ტყის მფლობელობას უარყოფენ. მათი განმარტებით, ძვირადღირებული მერქანი დასამუშავებლად მათ კუთვნილ სახერხეებში მეზობელი სოფლებიდან არის მიტანილი.

სატყეო დეპარტამენტმა მასალები შემდგომი რეაგირებისთვის გარემოს დაცვის ინსპექციას გადასცა. მოკვლევის დასრულების შემდეგ გარემოზე მიყენებული ზარალის ზუსტი ოდენობა ცნობილი გახდება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## სპეცოპერაცია გროზნოში

გროზნოში სპეცოპერაციას ორი "ბოევიკის" სიცოცხლე შეეწირა.

ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა მინისტრის რუსლან ალხანოვის განცხადებით, გარდაცვლილების ვინაობა დადგენილია და ისინი ჩინგისხან ტიმირკაევი და ალიხან ნაშაევი არიან. მისივე თქმით, გროზნოში ოპერაციის მსვლელობისას ერთი სამართალდამცველიც დაიჭრა.

"კვირას დილით მივიღეთ ოპერატიული ინფორმაცია, რომ ცხრასართულიანი სახლის ერთ-ერთ ბინაში უკანონო შეიარაღებული ფორმირების წევრები იმალებოდნენ. მილიციის თანამშრომლების ჯგუფი სასწრაფოდ ჩამოყალიბდა. პრეზიდენტ რამზან კადიროვისთვის მოხსენების გაკეთებისა და მოსახლეობის გაყვანის შემდეგ ბინის ბლოკირება მოხდა," - აღნიშნა მინისტრმა.

რუსლან ალხანოვის განცხადებით, "ბოევიკებს" იარაღის დაყრა და ჩაბარება შესთავაზეს, თუმცა მათ ცეცხლი გახსნეს, რის შედეგადაც ოპერაციის ერთი მონაწილე დაჭრეს.

*პირველი*

## რუსულ ჯარში თვითმკვლელობათა რიცხვი გაიზარდა

რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ ძალებში 2008 წელს 471 სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა (29 ადამიანით მეტი, ვიდრე 2007 წელს), ამასთან, დაღუპულთა ნახევარზე მეტმა, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, - ასეთია რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური მონაცემები. სტატისტიკური მონაცემებით, გასულ წელს 231 ჯარისკაცმა დაასრულა სიცოცხლე თვითმკვლელობით, შარშანწინ კი - 224-მა. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სამხედროთა არასამუშაო დროს დაღუპვის ძირითად მიზეზებად უბედური შემთხვევები სახელდება (121 დაღუპული), საგზაო წესების დარღვევა (50 დაღუპული), მკვლელობა და გაუფრთხილებლობით შემოკვდომა (26 შემთხვევა), სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და დადგენილი წესების დარღვევა (24), იარაღთან მოქცევის წესების დაღვევა (19).

*მედიანიუსი*

## ნიგერიელმა მეამბოხეებმა ხომალდი დააკავეს

ნიგერიელმა მეამბოხეებმა ქალაქ ბონისთან ახლოს ნავთობგადამსხმელი ხომალდი დაატყვევეს.

შტატ რივერსის პოლიციის წარმომადგენლის რიტა ების განცხადებით, ყველა გატაცებული ნიგერიელია. გატაცებული ხომალდი კი ინგლისურ-ჰოლანდიურ კომპანია "შელს" ეკუთვნის.

ბოლო რამდენიმე დღის მანძილზე ნიგერიაში ეს უკვე გემის გატაცების მეორე შემთხვევაა. 14 იანვარს კომპანია ექსონ მობაილის ტანკერიც გაიტაცეს.

*მედიანიუსი*

## თავდასხმა ციურიხის ბანკზე

ციურიხის ბანკზე თავდასხმაში 30 ადამიანი იღებდა მონაწილეობას. თავდამსხმელების მიერ მიყენებული ზიანი ბანკს რამდენიმე ათასი დოლარი დაუჯდება. გარდა იმისა, რომ თავდამსხმელებმა ბანკის კედლები დაკაწრეს და ფერადი საღებავებით შეღებეს, ახლო-მახლო გაჩერებული მანქანებსაც ცეცხლი წაუკიდეს. დანაშაულის მოტივი უცნობია. პოლიციამ ორი თავდამსხმელის დაკავება მოახერხა.

*მედიანიუსი*

## გუანტანამოს პატიმრებმა დანაშაული აღიარეს

გუანტანამოში გამართული წინასწარი მოსმენისას, 11 სექტემბერს ტერაქტის მომზადებაში ხუთი ბრალდებულიდან ორმა თავი დამნაშავედ ცნო - ხალიდ შეიხ მოჰამედმა და ბინ ალ-შიბხ-მა დანაშაული აღიარეს.

მათ დანაშაულის აღიარებისას განაცხადეს, რომ ეამაყებათ თავიანთი როლი აშშ-ზე განხორციელებული თავდასხმის საქმეში.

ცოტა ხნის წინ ხალიდ შეიხ მოჰამედმა 2001 წელს ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში განხოციელებულ ტერაქტებზე პასუხისმგებლობაც აიღო. აღნიშნული ტერაქტის შედეგად 3 ათასამდე ადამიანი დაიღუპა.

დანარჩენი სამი ბრალდებულის საქმის გამოძიებას სამხედრო ტრიბუნალი აგრძელებს. ასევე გრძელდება გამოძიება კანადის მოქალაქის საქმის ირგვლივ, რომელსაც 2002 წელს ავღანეთში ამერიკელი ჯარისკაცის მკვლელობა ედება ბრალად.

გუანტანამოს ციხეში ბოლო მონაცემებით ამჟამად 245 პატიმარი იმყოფება.

*ჯი-ეიჩ-ენი*



გაზეთ "24 საათის" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს თამარ კინწურაშვილს მამის

**ნუგზარ კინწურაშვილის**
გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი: 21 იანვარს, 16 საათზე.
გამოსვენება: 22 იანვარს 14 საათზე.

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ.№2, მე-4 სართული, ბინა 13.

# მოსკოვი - სახიფათო ქალაქი უფლებადამცველთათვის

### ადვოკატისა და ჟურნალისტის ხმაურიანი მკვლელობა კრემლთან

*რუსეთში ერთ-ერთი პრესტიჟული ადვოკატი, თითქმის ყველა გახმაურებული საქმის ადვოკატი სტანისლავ მარკელოვი მოსკოვის ცენტრში, კრემლიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით მოკლეს. უცნობმა თავდამსხმელმა მაყუჩიანი ცეცხლსასროლი იარაღიდან ჯერ ადვოკატს ესროლა, შემდეგ კი მის თანამგზავრს. თავდამსხმელი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სტანისლავ მარკელოვი ადგილზევე გარდაიცვალა. მისი დაჭრილი თანამგზავრი კი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც რამდენიმე საათში, რეანიმაციულ განყოფილებაში გარდაიცვალა. ის "ნოვაია გაზეტას" ჟურნალისტი, 25 წლის ანასტასია ბაბუროვა აღმოჩნდა.*



*სტანისლავ მარკელოვი.*



*ანასტასია ბაბუროვა.*

მკვლელობამდე ერთი საათით ადრე სტანისლავ მარკელოვმა პრესკონფერენცია ჩაატარა და რუსული მართლმსაჯულების მისამართით მკაცრი განცხადებები გააკეთა. ადვოკატმა 18 წლის ჩეჩენი გოგონას ელზა კუნგაევას გატაცება-მკვლელობისთვის გასამართლებული ყოფილი რუსი პოლკოვნიკის, იური ბუდანოვის ვადამდე ადრე გათავისუფლება გააპროტესტა და განაცხადა, რომ სასამართლომ მსჯავრდებული უკანონოდ გამოუშვა პატიმრობიდან. საქმე ისაა, რომ მძიმე ბრალდებით გასამართლებული იური ბუდანოვის ვადამდე ადრე გათავისუფლების თაობაზე სასამართლომ გადაწყვეტილება ისე მიიღო, რომ გარდაცვლილი გოგონას ოჯახის ადვოკატის სტანისლავ მარკელოვის საკასაციო სარჩელი არ განუხილავს. როგორც პრესკონფერენციაზე ადვოკატმა განაცხადა, ბუდანოვის მოულოდნელი გათავისუფლების შემდეგ, მან სასამართლოდან მიიღო მოსამართლის არაოფიციალური წერილი, რომელშიც განმარტებული იყო მსჯავრდებულის გათავისუფლების არგუმენტები.

**"წერილში მითითებული არ იყო მთავარი – რომელი კანონის საფუძველზე მოხდა ყოფილი პოლკოვნიკის გათავისუფლება საკასაციო საჩივრის განხილვამდე,"**– განაცხადა სიკვდილამდე ერთი საათით ადრე ჩატარებულ პრესკონფერენციაზე სტანისლავ მარკელოვმა. მან ყველა იმ პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დააყენა, რომლებსაც იური ბუდანოვის საქმესთან ჰქონდათ შეხება.

**"გამოვიყენებ ყველა კანონიერ საშუალებას იმისთვის, რომ ყველამ, ვინც კი ამ უკანონობაში ურევია, პასუხი აგოს. ვაპირებ, თხოვნით მივმართო რუსეთის პროკურატურასთან არსებულ ჩრდილოეთ კავკასიის საგამოძიებო კომიტეტს, რომ ჩეჩნეთში ბუდანოვის საქმიანობის შემოწმების საქმეში ჩაერთოს და მძიმე დანაშაულის აღმოჩენის შემთხვევაში მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრას,"** – ასეთი იყო ადვოკატ სტანისლავ მარკელოვის ბოლო განცხადება.

მოსკოვის ცენტრში მომხდარი თავდასხმა ოფიციალურადაც და არაოფიციალურადაც უკვე შეფასდა შეკვეთილ მკვლელობად. ცნობილი ადვოკატის მკვლელობას იმავე დღეს მოჰყვა დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი. განიხილება მკვლელობის სხვადასხვა ვერსია, თუმცა, ყველა თანხმდება იმაზე, რომ მკვლელობა ადვოკატის პროფესიულ საქმიანობასთან არის დაკავშირებული.

საქმის გამომძიებლები დარწმუნებულები არიან, რომ ცნობილი ადვოკატი კარგად მომზადებულ-დაგეგმილი თავდასხმის მსხვერპლი გახდა, ქილერმა კი წინასწარ შემუშავებული გეგმით იმოქმედა.

ადვოკატისა და ჟურნალისტის მკვლელობის საქმის გამოძიება რუსეთის ფედერაციის გენერალურმა პროკურორმა იური ჩაიკამ პირად კონტროლზე აიყვანა. მოწმეთა ჩვენებებისა და სათვალთვალო ვიდეოკამერების საშუალებით გადაღებული მასალის საფუძველზე, სამართალდამცველებს უკვე მოეპოვებათ მკვლელობის სრული სურათი და

დეტალურად სწავლობენ ვიდეოჩანაწერს. "იტარ-ტასის" ინფორმაციით, ქილერს ნიღაბი ეკეთა. მისი სავარაუდო გარეგნობის ზოგადი მონაცემები უკვე დაგზავნილია მოსკოვის მილიციის თითქმის ყველა განყოფილებაში. ამ მონაცემების მიხედვით, მკვლელი დაახლოებით 180 სანტიმეტრის სიმაღლისაა, მას შავი ფერის ქურთუკი და მუქი ჯინსის შარვალი ეცვა.

გამოძიებას უკვე დადგენილი აქვს, რომ ქილერი ადვოკატს "დამოუკიდებელი პრესცენტრის" ოფისთან უცდიდა, სადაც მან პრესკონფერენცია ჩაატარა. გამომძიებლები არ გამორიცხავენ, რომ მკვლელობამდე, პრესკონფერენციის მიმდინარეობისას, ქილერი დარბაზშიც იყო შესული. "დამოუკიდებელი პრეს-ცენტრის" ოფისიდან ადვოკატი "ნოვაია გაზეტას" ჟურნალისტთან ანასტასია ბაბუროვასთან ერთად 14 საათსა და 45 წუთზე გამოვიდა. გამოძიების ვერსიით, ქილერი მათ რამდენიმე წუთის განმავლობაში უკან მიჰყვებოდა. მკვლელმა ჯერ ადვოკატს ესროლა, შემდეგ კი ნასტასია ბაბუროვასაც, იქვე მდგომ შემთხვევით მოწმეს კი იარაღით დაემუქრა და გაიქცა.

გამოძიება მკვლელობის რამდენიმე ვერსიაზე მუშაობს. ერთ-ერთი ვერსია სწორედ მოკლული ჩეჩენი გოგონას საქმეს უკავშირდება. ძირითად ვერსიად კი ადვოკატის პროფესიული საქმიანობა განიხილება. გარდა იმისა, რომ სტანისლავ მარკელოვი უამრავი გახმაურებული საქმით იყო ცნობილი, "კანონის უზენაესობის ინსტიტუტის" დამაარსებელიც გახლდათ. გარდაცვლილის კოლეგები მიიჩნევენ, რომ მკვლელობის მოტივი ნებისმიერ იმ კონკრეტულ საქმეშია საძებნი, რომელიც სტანისლავ მარკელოვის სახელს უკავშირდება. როგორც გაირკვა, მარკელოვი სხვადასხვა დროს ჟურნალისტ ანა პოლიტკოვსკაიას იცავდა. როგორც "ნოვაია გაზეტას" რედაქტორი დიმიტრი მურატოვი აცხადებს, მარკელოვი "ნოვაია გაზეტას" ყველა იურიდიულ საქმეს მართავდა. ამავდროულად იყო გაზეთ "ხიმკინსკაია პრავდას" ჟურნალისტისა და რედაქტორის მიხაილ ბეკეტოვის ადვოკატიც. ასევე, იცავდა ანარქისტებისა და პაციფისტების ინტერესებს, გამოდიოდა ნეონაცისტური მოძრაობის წინააღმდეგ, იცავდა მილიციელების მხრიდან დაზარალებულ ადამიანებს, ხშირად აკრიტიკებდა რუსეთის ხელისუფლებას და მონაწილეობდა საპროტესტო აქციებში.

მოკლული ადვოკატის კოლეგები და ახლობლები აცხადებენ, რომ სტანისლავ მარკელოვი ბოლო დროს მისი მისამართით განხორციელებულ მუქარებზე საუბრობდა. მოკლული ელზა კუნგაევას ახლობლები დარწმუნებული არიან, რომ მათი დამცველის მკვლელობა სწორედ რამდენიმე დღის წინ გათავისუფლებული ყოფილი რუსი პოლკოვნიკის იური ბუდანოვის საქმესთან არის დაკავშირებული.

**"რამდენიმე დღის წინ, სტანისლავ მარკელოვმა მითხრა, რომ ფიზიკური განადგურებით დაემუქრნენ, თუკი ჩემი ოჯახის ინტერესების დაცვას არ შეწყვეტდა,"** - აცხადებს ელზა კუნგაევას მამა ვისა კუნგაევი.

ადვოკატის მკვლელობასთან რაიმე კავშირს კატეგორიულად უარყოფს ყოფილი მსჯავრდებული იური ბუდანოვი.

**"სასჯელი უკვე მოვიხადე კოლონიაში, როგორ ფიქრობთ, გათავისუფლებიდან რამდენიმე დღეში ახალი სასჯელის სურვილი გამიჩნდებოდა? ვერავინ ველარ დამიბრუნებს იმ წლებს, რომლებიც კოლონიაში გავატარე. ამ თავდასხმასთან საერთო არაფერი მაქვს. მეც ადამიანი ვარ და ის, რაც მოსკოვის ცენტრში მოხდა, ჩემთვისაც ტრაგედიაა,"** – განაცხადა სასჯელისგან ვადაზე ადრე გათავისუფლებულმა იური ბუდანოვმა და მოკლული ადვოკატისა და ჟურნალისტის ოჯახებს თანაგრძნობა გამოუცხადა.

მიუხედავად იმისა, რომ სამართალდამცველები და კრიმინალისტები გაძლიერებულად მუშაობენ და დეტალურად სწავლობენ შემთხვევის ადგილს, ჯერჯერობით ტყვიის გილზებიც არ არის ნაპოვნი. დეტალურად შემოწმდა მკვლელობის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ყველა საცხოვრებელი სახლი თუ ეზო, თუმცა ქილერის კვალს ვერც საგანგებოდ გაწვრთნილმა ძაღლებმა მიაგნეს.

მოსკოვის ადვოკატთა პალატის პრეზიდენტის ჰენრი რეზნიკის განცხადებით, ადვოკატთა კორპუსი მაქსიმალურად გაუწევს კონტროლს კოლეგის მკვლელობის საქმის გამოძიებას.

რაც შეეხება ადვოკატ სტანისლავ მარკელოვთან ერთად მოკლულ ჟურნალისტს. ანასტასია ბაბუროვამ „ნოვაია გაზეტაში" მუშაობა დაახლოებით ერთი წლის წინ დაიწყო და იმ საგამოძიებო მასალებზე მუშაობდა, რომლებიც ნეოფაშისტური დაჯგუფებების მიერ ჩადენილ დანაშაულებს უკავშირდება.

# საერთაშორისო კოალიციური ჯარები „თალიბანს" უტევენ

ორშაბათს, ავღანეთში კოალიციურ ჯარებთან შეტაკების შედეგად, 22 ისლამისტი ბოევიკი იქნა განადგურებული, ხოლო 11 - ტყვედ აყვანილი. ამერიკული სამხედრო წყაროების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ საბრძოლო ოპერაციები ერთდროულად ქვეყნის რამდენიმე პროვინციაში მიმდინარეობდა.

ავღანეთის სამხრეთში, ყანდაღარში საერთაშორისო კოალიციური ჯარები ბოევიკებთან საბრძოლველად ავტომატურ ცეცხლსასროლ იარაღსა და ხელყუმბარებს იყენებდნენ, ხოლო აღმოსავლურ პროვინცია კაპისაში ბოევიკების პოზიციებზე ავიადარტყმები განხორციელდა. სააგენტო "ასოშიეთიდ პრესის" ინფორმაციით, მარტო კაპისაში 19 თალიბი მებრძოლი გაანადგურეს, მათ შორის რადიკალური მოძრაობა "თალიბანის" ორი საველე მეთაური.


კოალიციური ჯარების სამხედრო ოპერაციის შედეგად 22 ისლამისტი ბოევიკი იქნა განადგურებული.
AFP ' 2009

გავრცელდა აგრეთვე ინფორმაცია სამშაბათს დილით, ქაბულში მომხდარი მძლავრი აფეთქებების შესახებ. როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, ინციდენტი ავღანეთის პარლამენტის წინაშე პრეზიდენტ ჰამიდ კარზაის გამოსვლამდე რამდენიმე ხნით ადრე მოხდა. აფეთქებებს მსხვერპლი და ნგრევა არ მოჰყოლია.

მოგვიანებით გაირკვა, რომ აფეთქებები, რომლებმაც მოსახლეობაში პანიკა გამოიწვია, არა თავად დედაქალაქში, არამედ მის აღმოსავლეთ გარეუბანში მოხდა. აშშ-ს სამხედრო ხელმძღვანელობის წარმომადგენლის განცხადებით, აფეთქებები ამერიკელმა სამხედროებმა განახორციელეს - ნაღმების გაუვნებელყოფის მიზნით. მისივე თქმით, დღის განმავლობაში კიდევ რამდენიმე დეტონაცია იყო დაგეგმილი.

აქვე აღსანიშნავია, რომ თალიბები პაკისტანის ავღანეთთან მიმდებარე რაიონებშიც გააქტიურდნენ, სადაც რადიკალებმა თავშესაფარს მიაგნეს. პუშტუნური ტომების მიერ კონტროლირებად პროვინცია ჩრდილოეთ ვაზირისტანში თალიბები ექვს ადგილობრივ მოსახლეს გაუსწორდნენ, რომლებიც, მათი აზრით, ამერიკელი ჯაშუშები იყვნენ.

ხუთი მამაკაცი დახვრიტეს, ერთი კი ჩამოახრჩეს. მირანშაჰსა და მირ-ალიში აღმოჩენილ გვამებზე დატოვებული იყო წარწერები, სადაც მათი სიკვდილით დასჯის მიზეზები იყო ახსნილი.

ეს უკვე მე-11 ინციდენტია, რომლის მსგავსი ფაქტებიც ჩრდილოეთ ვაზირისტანში უკანასკნელი სამი კვირის განმავლობაში მოხდა. გასულ კვირას ქალაქ მირ-ალიში თალიბებმა მოკლეს ორი ძმა, რომლებიც ასევე ამერიკელების სასარგებლოდ ჯაშუშობაში იქნენ ეჭვმიტანილნი.

ავღანეთში მზარდი და უწყვეტი ძალადობის ფონზე, ნატო და აშშ თავიანთ დაჯგუფებებს აძლიერებენ და კონტინგენტს ზრდიან. მიმდინარე წელს ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ავღანეთში დამატებით 10 ათასი ჯარისკაცის გაგზავნას გეგმავს, რომლებმაც საპრეზიდენტო არჩევნების უსაფრთხოება უნდა უზრუნველყონ. ამის თაობაზე განცხადება ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰოოპ სხეფერმა ორშაბათს საღამოს ბელგიის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წინაშე სიტყვით გამოსვლისას გააკეთა.

მისი თქმით, ავღანეთში დამატებითი სამხედრო კონტინგენტი ოთხი თვის ვადით უნდა გაიგზავნოს. დღეისათვის ნატო-ს ჯარების რაოდენობა 52 ათას კაცს შეადგენს. დამატებითი დროებითი კონტინგენტის ფორმირების საკითხს თებერვლის დასაწყისში კრაკოვში დაგეგმილ ნატო-ს თავდაცვის მინისტრთა შეხვედრაზე განიხილავენ.

გარდა ამისა, სხეფერმა აღნიშნა, რომ აშშ ავღანეთში თავისი კოალიციის მნიშვნელოვნად გაძლიერებას აპირებს და გეგმავს, რომ დამატებით 20-დან 30 ათას სამხედრო მოსამსახურემდე გააგზავნოს. მოცემულ მომენტში ამერიკული სამხედრო კოალიციის რაოდენობა 32 ათას კაცს შეადგენს.

ამდენად, ავღანეთის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში დასავლური სამხედრო კონტინგენტის საერთო რაოდენობამ, შესაძლოა, 120 ათასს მიაღწიოს.

# ისრაელი ღაზას სექტორს ტოვებს

ისრაელი ღაზას სექტორიდან ჯარების გამოყვანას განაგრძობს. რეგიონიდან უკვე გამოყვანილია რეზერვისტების ყველა ქვედანაყოფი. "ჰაარეცის" ინფორმაციით, რეგულარული ჯარების გამოყვანის პროცესის დასრულება მომავალი კვირის ორშაბათისთვის არის დაგეგმილი.

როგორც ისრაელის სამხედრო პრესსამსახური იუწყება, დღე-ღამის განმავლობაში ზავის დარღვევის არც ერთი ფაქტი არ დაიფქსირებულა. მოკლე დროში რეზერვისტების დემობილიზაციაა მოსალოდნელი, რეგულარული ჯარები კი ღაზას საზღვართან სიახლოევს მდებარე ბაზებზე იქნებიან დისლოცირებულნი და სრულ საბრძოლო მზადყოფნაში დარჩებიან.


ისრაელს ღაზადან ჯარები გამოჰყავს.
AFP ' 2009

იმავდროულად იზრდება საერთაშორისო ძალისხმევა ღაზას სექტორის მოსახლეობისთვის ჰუმანიტარული დახმარების გასაწევად. მარტო ორშაბათს ანკლავში თითქმის 5 ათასი ტონა ტვირთი და 500 ტონა საწვავი შეიტანეს. სასაზღვრო ტერმინალ "ქერემ-შალომზე", სიტუაციის გასაცნობად, იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანკო ფრატინი ჩავიდა. ვარაუდობენ, რომ ღაზას სექტორში ჰუმანიტარული ვითარება გაერო-ს გენერალურ მდივან ბან კი მუნის ყურადღების ცენტრში მოექცევა, რომელიც ისრაელის ქალაქ სდეროთსა და, სავარაუდოდ, ღაზას სექტორს მოინახულებს.

ისრაელმა ღაზაში საბრძოლო მოქმედებები 17 იანვარს, ცალმხრივ რეჟიმში შეწყვიტა, დაასრულა რა პალესტინელი ბოევიკების წინააღმდეგ მიმართული სამკვირიანი ოპერაცია "მდნარი ტყვია", რომელმაც, ზოგიერთი მონაცემებით, 1300 პალესტინელისა და 13 ებრაელის სიცოცხლე შეიწირა.

მეორე დღეს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ განცხადება, სხვა პალესტინურ დაჯგუფებებთან ერთად, "ჰამასმაც" გააკეთა. თუმცა, მიუხედავად ამისა, ისრაელის ჯარი ნაწილობრივ დარჩა პალესტინური ანკლავის ტერიტორიაზე. იმავდროულად, ებრაული სამხედრო შენაერთები იტოვებდნენ უფლებას, პასუხი გაეცათ პალესტინელთა მხრიდან მომდინარე ნებისმიერ პროვოკაციაზე. აღსანიშნავია, რომ ისრაელის ტერიტორიის მიმართულებით სროლები "ჰამასის" მიერ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ განცხადების შემდეგაც გრძელდებოდა.

რამდენ ხანს გაგრძელდება ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი, ჯერჯერობით უცნობია. "ჰამასმა" ისრაელს ღაზადან ჯარების გაყვანისთვის ერთი კვირის ვადა მისცა. ისრაელის ხელისუფლება ცალმხრივ რეჟიმში მოქმედებს და გარკვევით მიანიშნებს, რომ ნებისმიერ მომენტში მზადაა, ტერორისტების წინააღმდეგ ახალი დარტყმები განახორციელოს. ეგვიპტელი შუამავლები, როგორც ჩანს, ცდილობენ, რომ ექვსი თვის ვადით ხელახლა იქნას მიღწეული შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

## რობერტ მუგაბეს მეუღლეს ფოტოგრაფის ცემაში ადანაშაულებენ

ჰონკონგელი ფოტოგრაფი რიჩარდ ჯონსი რობერტ მუგაბეს მეუღლეს, გრეისს ფიზიკურ ძალადობაში სდებს ბრალს და ამტკიცებს, რომ ქალბატონმა იგი გალახა. ამ ეტაპზე ზიმბაბვეს პირველი ლედისთის ბრალის წაყენების საკითხი განხილვის სტადიაშია.

ინციდენტი ჰონკონგის ერთ-ერთ სასტუმროში მოხდა; ჯონსონი, რომელიც იმხანად "სანდეი თაიმზისთვის" მუშაობდა, ამტკიცებს, რომ გრეისი მას "გიჟივით დაეძგერა". მან მცველებს უბრძანა, ფოტოგრაფი ძირს დაეგდოთ და თავში დაიწყო ცემა.

ჰონკონგის პოლიცია თავდასხმის ფაქტსა და ჯონსის სხეულზე ტრავმების არსებობას ადასტურებს. ამჟამად ინციდენტის გარემოებების გამოძიება მიმდინარეობს.

ამავდროულად, ჰონკონგში ზიმბაბვეს საელჩო არ ადასტურებს ქვეყნის პირველი ლედის საქმეზე გამოძიებას.

*მედიანიუსი*

## თალიბებმა ჯაშუშობაში ეჭვმიტანილი ექვსი ადამიანი ჩამოახრჩეს

პაკისტანის ტომთა ზონაში, ავღანეთის საზღვართან ახლოს, თალიბებმა ხუთი ადამიანი დაცხრილეს და ექვსი ჩამოახრჩეს; მათ აშშ-ს სასარგებლოდ ჯაშუშობაში დაედოთ ბრალი.

ორი მამაკაცის ცხედარი ჩრდილოეთ ვაზირისტანის დედაქალაქ მირანშაჰის ახლოს, გზის პირას იპოვეს, ოთხი მამაკაცის ცხედარი კი ქალაქ მირ ალისთან ახლოს, აღმოსავლეთის მიმართულებით 25 კილომეტრში აღმოაჩინეს.

სიკვდილით დასჯილებთან ბარათებიც იყო დაყრილი, სადაც წერია, რომ ეს ადამიანები მეზობელ ავღანეთში განლაგებული აშშ-ს ჯარების სასარგებლოდ ჯაშუშობისთვის დაისაჯნენ.

*მედიანიუსი*

## სახლის რეკონსტრუქციის წინააღმდეგ გამართულ აქციაზე ხუთი ადამიანი დაიღუპა

სამხრეთ კორეის დედაქალაქში ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციაზე ხუთი ადამიანი დაიღუპა.

19 იანვარს სახლის 35 მობინადრე საკუთარი სახლის სახურავზე განლაგდა, ამგვარად კი, სახლის მოსალოდნელი რეკონსტრუქცია გააპროტესტა. მათ ხელთ აალებადი სითხით სავსე ბოთლები ჰქონდათ; სატვირთო კონტეინერების მეშვეობით კი სათვალთვალო კოშკებიც მოიწყეს.

როდესაც 20 იანვრის დილას პოლიციამ ამწეკრანის საშუალებით სახურავამდე აღწევა სცადა, მობინადრეებმა სამართალდამცველებს აალებადი სითხითა და გამხსნელით სავსე ბოთლები დაუშინეს. სახურავზე მალე ხანძარი გაჩნდა, რომლის ჩაქრობასაც ნახევარი საათი დასჭირდა.

შეტაკებისას სახლის ოთხი მობინადრე და ერთი პოლიციელი დაიღუპა. ერთი ადამიანი კომაშია.

*მედიანიუსი*

## რუსეთმა ევროპას გაზის მიწოდება აღუდგინა

რუსული "გაზპრომის" განცხადებით, უკრაინის გავლით ევროპას გაზის მიწოდება უმოკლეს დროში აღუდგება. ეს განცხადება კომპანიის წარმომადგენელმა სერგეი კუპრიანოვმა გაავრცელა.

უკრაინის პრემიერ-მინისტრ იულია ტიმოშჩეკოს თქმით, ის თავად გახდა მოწმე, როგორ დაიწყო გაზის მილებში გაშვება.

ცნობისთვის, "გაზპრომსა" და "ნეფტოგაზს" შორის 1 იანვარს დაწყებული კონფლიქტის გამო მილიონობით ევროპელი გათბობის გარეშეა დარჩენილი.

ევროკავშირი მოხმარებული აირის მეოთხედს რუსეთიდან იღებს - აქედან 80 პროცენტს უკრაინის ტერიტორიის გავლით. ევროპის ოცამდე ქვეყანაში აირის მიწოდება მესამე კვირაა, შეწყვეტილია.

*მედიანიუსი*

## ლა-მანშის ევროგვირაბში რემონტი მიმდინარეობს

ხანძრის შედეგად დაზიანებული ნაწილი ლა-მანშის სრუტეში გამავალ ევროგვირაბში 10 თებერვლამდე შეკეთდება, 23 თებერვალს კი მაგისტრალი ჩვეულებრივი რეჟიმით გააგრძელებს მუშაობას.

ამგვარად, ხანძრის შემდეგ გვირაბის აღგდენითი სამუშაოების საერთო ხანგრძლიობამ ხუთი თვე შეადგინა. ხანძარი ევროგვირაბში 2008 წლის 11 სექტემბერს მოხდა. ინციდენტის შედეგად 14 ადამიანი დაშავდა. ცეცხლის ჩასაქრობად მეხანძრეებს 20 საათი დასჭირდათ.

*მედიანიუსი*

## თვითნაკეთი ალკოჰოლური სასმელით 14 ადამიანი გარდაიცვალა

20-დან 30 წლამდე ასაკის 14 ინდონეზიელი თვითნაკეთი ალკოჰოლური სასმელით გარდაიცვალა. პოლიციის მონაცემებით, მათ კოქტეილი დალიეს, რომელიც სპირტის, ვანილის, ჟენშენისა და თაფლისგან იყო დამზადებული.

სამართალდამცველების ინფორმაციით, ახალგაზრდა მამაკაცებმა იაფფასიანი კოქტეილი 16 იანვარს შეიძინეს, მეორე დღეს ყველა გარდაიცვალა. პოლიცია მამაკაცების დაღუპვის ზუსტი მიზეზის დადგენას ცდილობს.

ინდონეზიის მოსახლეობის დიდ ნაწილს ალკოჰოლური სასმელის მაღალი ფასების გამო ლეგალურად შეძენის საშუალება არა აქვს, ამიტომ ბევრი მათგანი იატაკქვეშ ამჯობინებს ყიდვას.

*მედიანიუსი*

# ისტორიული ინაუგურაცია

პირველი გვერდიდან

მასმედიის ცნობებით, ობამასა და ღონისძიების უსაფრთხოებაზე შეერთებული შტატების 58 ძალოვანი სტრუქტურა ზრუნავდა. პენსილვანიის ავენიუს გაყოლებაზე, სადაც აღლუმი გაიმართა, შენობების სახურავებზე, დაახლოებით, 100 სნაიპერი იყო განთავსებული. სპეცსამსახურები დედაქალაქში უსაფრთხოების დაცვას 5 264 ვიდეოკამერისა და ჰაერში ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და რადიაქტიული ნივთიერებების აღმოსაჩენად საჭირო ავტომატური სენსორული აპარატების საშუალებით ადევნებდნენ თვალს.

სპეციალურად ცერემონიისთვის "კადილაკის" ბაზაზე დამზადდა თანამედროვე დაცვის ყველა საშუალებით აღჭურვილი ახალი, დაჯავშნული საპრეზიდენტო ლიმუზინი. ლიმუზინის სახელმწიფო ნომერია "44". გარდა ამისა, უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის შეძენილ იქნა 5 ტონა ოთხფენიანი ტყვიაგაუმტარი მინა. გავლენიანი ამერიკული გამოცემა “ვაშინგტონ პოსტის” თანახმად, დაჯავშნული მინა, რომელსაც შეეძლო ახალი პრეზიდენტის დაცვა ქიმიური ნივთიერებებისა და ცეცხლისგან, დამონტაჟებული იყო კონგრესის შენობის დასავლეთ საფეხურებზე, სადაც ფიცის დადების ცერემონია გაიმართა და თეთრი სახლის წინ აღმართულ ტრიბუნაზე, საიდანაც ახალი პრეზიდენტი საინაუგურაციო აღლუმს უცქერდა.

ოფიციალური მონაცემებით კი, ინაუგურაციის დროს ვაშინგტონს პოლიციის 23 ათასი ოფიცერი, ნაციონალური გვარდიის სამხედრო მოსამსახურეები, სანაპირო დაცვის ხომალდები და სამხედრო-საჰაერო ძალების მოიერიშეები იცავდნენ. მთლიანობაში, ინაუგურაციის უსაფრთხოებას 42 500 ადამიანი უზრუნველყოფდა. ბრიტანული გამოცემა "ტაიმსის" თანახმად, ინაუგურაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფა შეერთებული შტატების სპეცსამსახურებს 75 მლნ აშშ დოლარი დაუჯდა.

ბულვარისა და პენსილვანია-ავენიუს გასწვრივ განთავსებული იყო 5 ათასი ბიოტუალეტი. მოლსა და პენსილვანია-ავენიუზე, უსაფრთხოების გამკარცებული ზომებიდან გამომდინარე, მოქალაქეებს აეკრძალათ არა მარტო ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის, არამედ გასაშლელი სკამების, ზურგჩანთებისა და თერმოსების თან ქონაც. აკრძალული იყო ასევე საბავშვო ეტლების გამოჩენაც.

ბარაკ ობამას ინაუგურაციაზე დასწრების მსურველთა რაოდენობა - 2 მილიონი ადამიანი - მართლაც რეკორდული იყო შეერთებული შტატების სხვა პრეზიდენტების ინაუგურაციებთან შედარებით. დღემდე რეკორდულ მაჩვენებლად ითვლებოდა 1965 წელს, ლინდონ ჯონსონის ინაუგურაციაზე მყოფი სტუმრების ოდენობა - 1 200 000 ადამიანი.

ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციაზე, ტრადიციულად, არ იყვნენ მიწვეულნი უცხოური დელეგაციები, ცერემონიაზე თავიანთი ქვეყნების სახელმწიფო ლიდერებსა და მთავრობებს, როგორც წესი, შეერთებულ შტატებში აკრედიტებული ელჩები წარმოადგენენ. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იქ არ იყვნენ უცხოელი მაღალჩინოსნები, რომლებიც ამერიკელი კანონმდებლებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების კერძო მიწვევით იმყოფებოდნენ.


AFP ' 2009

## ინაუგურაციის ცერემონია

ინაუგურაციის ცერემონია გრინვიჩის დროით 16:30 საათზე დაიწყო. ინაუგურაციამდე ბარაკ ობამა და მისი მეუღლე მიშელი წმინდა იოანეს სახელობის ეკლესიაში მივიდნენ. 15:45 საათზე საპრეზიდენტო კორტეჟმა თეთრი სახლიდან გეზი კაპიტოლიუმის ბორცვისკენ აიღო. საინაუგურაციო პლატფორმაზე ბარაკ ობამა და ჯო ბაიდენი სენატისა და წარმომადგენელთა პალატის ხელმძღვანელების თანხლებით ავიდნენ.

ცერემონია ორი მუსიკალური ნომრით გაიხსნა - შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითთა კორპუსის ორკესტრისა და სან-ფრანცისკოს გოგონებისა და ბიჭების საბავშვო გუნდის შესრულებით. შემდეგ საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით კონგრესის საინაუგურაციო დღესასწაულების ორგანიზების კომიტეტის თავმჯდომარემ, სენატორმა დაიენ ფაინსტაინმა მიმართა. ლოცვა აღავლინა ეპისკოპალური ეკლესიის წინამძღვარმა რიკ უორენმა. შემდეგ კი საპრეზიდენტო სადღესასწაულო ღონისძიებას "სოულის დედოფალმა" არეტა ფრანკლინმა მიუძღვნა სიმღერა.

გრინვიჩის დროით 16:45 წუთზე ვიცე-პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა დადო ფიცი, რის შემდეგაც ბიბლიაზე მარცხენა ხელის დადებით, ხოლო მარჯვენას აღმართვით კონსტიტუციისა და ქვეყნის ერთგულებაზე უკვე ბარაკ ჰუსეინ ობამამ დაიფიცა. შეერთებული შტატების ახალმა ლიდერმა ფიცის დასადებად ის ბიბლია შეარჩია, რომელზეც ქვეყანას ერთგულება 1861 წელს აბრაამ ლინკოლნმა შეჰფიცა.

**"საზეიმოდ ვფიცავ და ვადასტურებ, რომ პატიოსნად შევასრულებ შეერთებული შტატების პრეზიდენტის მოვალეობას. მთელი ძალებით დავიცავ და გავუფრთხილდები შეერთებული შტატების კონსტიტუციას. ღმერთი იყოს ჩემი მფარველი,"** - ასეთია საპრეზიდენტო ფიცის ტექსტი, რომლის წარმოთქმასაც სახელმწიფო ლიდერს უმაღლესი თანამდებობის დაკავების დროს, კონსტიტუციის მეორე მუხლი ავალდებულებს.

ცერემონიის ამ ორი უმთავრეს მომენტს შორის კვარტეტმა "იოიო-მამ" თანამედროვე ამერიკელ კომპოზიტორ ჯონ უილიამსის ნაწარმოები შეასრულა

საინაუგურაციო ღონისძიება ობამას პირველი საპრეზიდენტო მიმართვითა და სახელმწიფო ჰიმნით დასრულდა.

**"დღეს აქ შევიკრიბეთ იმისთვის, რათა წერტილი დავუსვათ წვრილმან წყენას, ცრუ დაპირებებს და დრომოჭმულ დოგმებს, რაც ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ახრჩობდა ჩვენს პოლიტიკას. ჩვენ უარი უნდა ვთქვათ იმ სიყალბეზე, რასაც ჩვენს უსაფრთხოებასა და იდეალებს შორის არჩევანი ჰქვია. ამ დღეს გეუბნებით მე, რომ ჩვენ წინაშეა რეალური ამოცანები, ძალიან სერიოზული და თან არცთუ ისე მცირეოდენი. მათთან გამკლავება იოლი არ იქნება, მაგრამ ჩვენ მათ აუცილებლად დავძლევთ!"** - ამ სიტყვებით და აპლოდისმენტების თანხლებით დაიწყო ბარაკ ობამამ გამოსვლა, რომლის დროსაც ისაუბრა სერიოზულ გამოწვევებზე, საფრთხეების წინაშე უშიშარ ერზე, ნდობის აღდგენაზე, მშვიდობის ეპოქაზე, მოვალეობებზე, თავისუფლებაზე, როგორც უზენაეს საჩუქარზე და თავისი სიტყვა ტრადიციული ფრაზით დაასრულა - **"გმადლობთ. ღმერთი გფარავდეთ თქვენ და ამერიკას!"**

შემდგომ უკვე ღონისძიების მეორე ნაწილი დაიწყო - აღლუმი კაპიტოლიუმიდან, პენსილვანია-ავენიუს გავლით, თეთრ სახლამდე. სადღესასწაულო კოლონას წინ საპრეზიდენტო ლიმუზინი გაუძღვა. თეთრ სახლში მისვლის შემდეგ ბარაკ ობამა, მეუღლესთან ერთად, საგანგებოდ აღმართულ ტრიბუნაზე ავიდა, საიდანაც აღლუმის მონაწილეებს ესალმებოდა. ვაშინგტონის დროით საღამოს 07:00 საათზე, პრეზიდენტი თეთრი სახლიდან, მეუღლესთან ერთად, საინაუგურაციო მეჯლისზე წავიდა.

რაც შეეხება ყოფილ პრეზიდენტს, მან ვაშინგტონი, ტრადიციისამებრ, ახალი პრეზიდენტის საინაუგურაციო სიტყვის შემდეგ დატოვა. გასასვლელამდე იგი ბარაკ ობამამ მიაცილა, ხოლო კონგრესის შენობის აღმოსავლეთ კიბის საფეხურებზე საპატიო ყარაული მოეწყო. ეტიკეტის თანახმად, პრეზიდენტებამდე ცოტა ხნით ადრე გასასვლელისკენ ყოფილი და ახალი ვიცე-პრეზიდენტები გაემართნენ.

ჯორჯ ბუში, მეუღლესთან ერთად, ვაშინგტონის გარეუბანში, ენდრიუსის ავიაბაზაზე მიიყვანეს, სადაც ბუშმა უახლოეს მეგობრებს, თანაშემწეებსა და თეთრი სახლის თანამშრომლებს გამოსათხოვარი სიტყვით მიმართა. პრესის წარმომადგენლებს დასწრების უფლება არ ჰქონდათ.

ვაშინგტონში შეკრებილ ათასობით ადამიანსა და საგანგებოდ მიწვეულ სტუმრებს შორის ბარაკ ობამას ნათესავებიც იყვნენ. შეერთებული შტატების ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი ინაუგურაციას ხერხემლის კუნთის დაჭიმვის გამო, ინვალიდის სავარძლით დაესწრო. ცერემონიას ასევე ესწრებოდნენ შეერთებული შტატების სამი ექს-პრეზიდენტი: ჯიმი კარტერი, ჯორჯ ბუში უფროსი და ბილ კლინტონი.

## საერთაშორისო ლიდერების გამოხმაურება

შეერთებული შტატების ხელისუფლებაში ახალი პრეზიდენტისა და ადმინისტრაციის მოსვლას ოპტიმიზმით მიესალმა დიდი ბრიტანეთის საგარეო უწყების მეთაური დევიდ მილიბენდი, რომელიც დარწმუნებულია, რომ შეერთებული შტატებთან "განსაკუთრებული ურთიერთობები" შენარჩუნდება.

მილიბენდი დარწმუნებულია, რომ ობამა, წინამორბედთან შედარებით, კიდევ უფრო აქტიური იქნება ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის რეგულირების საკითხში.

**"ის სიგნალი, რომელიც ობამას ადმინისტრაციიდან მოდის და რომლის დასტურიცაა გასულ კვირას, ახალი სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის გამოსვლა, მანიშნებელია იმისა, რომ ახლო აღმოსავლეთში პრობლემების მოგვარება შეუძლებელია საერთაშორისო საზოგადოების და, პირველ რიგში, შეერთებული შტატების მონაწილეობის გარეშე,"** - განაცხადა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

ბარაკ ობამასთან ახლო აღმოსავლეთის, ერაყისა და ავღანეთის საკითხებში მჭიდრო თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა ასევე დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა გორდონ ბრაუნმა. მისი თქმით, ობამასთვის ასევე მნიშვნელოვანია ეკოლოგიისა და გლობალური დათბობის პრობლემები.

ამერიკის ახალი ადმინისტრაციის მმართველობის პერიოდში ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების იმედი გამოთქვა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ეჰუდ ოლმერტმაც.

საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ ობამას მისალოცი ტელეგრამა გაუგზავნა, სადაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მოუთმენლად ელის პრეზიდენტის რანგში ობამასთან ერთობლივი მუშაობის დაწყებას.

**"გვიხარია, რომ იგი მუშაობას იწყებს და ასევე გვახარებს ისიც, რომ მასთან ერთად შეგვიძლია, მსოფლიო შევცვალოთ,"** - აღნიშნა სარკოზიმ ბარაკ ობამას ინაუგურაციამდე.

შეერთებული შტატების ხელისუფლებაში ახალი პრეზიდენტის მოსვლის შესახებ კომენტარი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმაც გააკეთა. იგი იმედოვნებს, რომ ხელისუფლებაში ობამას მოსვლისთანავე ორი ქვეყნის ურთიერთობები "სერიოზულად წაიწევს წინ".

**"იმედი მაქვს, ჩვენს ურთიერთობებში სადავო პრობლემები, როგორიცაა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა, ნატო-ს მიზანმიმართული გაფართოება, ჩვენ წინაშე სტრატეგიული სტაბილურობის სფეროში მდგარი ამოცანები გადაწყდება პრაგმატიზმის საფუძველზე, იდეოლოგიზაციის გარეშე, რაც ესოდენ ახასიათებდა ძველ ადმინისტრაციას,"** - განაცხადა სერგეი ლავროვმა.

სამაგიეროდ, ისტორიული მოვლენისადმი ინტერესი არ გამოუჩენია ირანის ისლამურ რესპუბლიკას - სახელმწიფო ტელეარხები საინფორმაციო გამოშვებებს პალესტინელთა მხარდასაჭერი დემონსტრაციების კადრებით ხსნიდნენ. ეს საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ ბარაკ ობამას არაერთხელ გაუცხადებია მზადყოფნა ირანთან დიპლომატიური კავშირების განვითარებისთვის. თუმცა, აქ კიდევ ერთი “მაგრამ” არსებობს - შეერთებული შტატების ახალი სახელმწიფო მდივანი მოვალეობის შესრულების დაწყებამდე იმეორებდა ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის პოზიციას იმის შესახებ, რომ ამერიკის ხელმძღვანელობა "განიხილავს ყველა შესაძლებლობას", მათ შორის, ძალის გამოყენებას იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც ბირთვულ პროგრამას არ წყვეტს.

## საზეიმო ღონისძიებები ინდონეზიასა და კენიაში

ბარაკ ობამას ინაუგურაციის მიზეზით, დღესასწაული მოეწყო ინდონეზიაში. ჯაკარტას ქუჩები, სადაც ოდესღაც ამერიკის ახალი პრეზიდენტი ცხოვრობდა, სავსე იყო ხალხით, რომელიც ობამას "ერთ-ერთ ჩვენგანს" უწოდებდა.

ამერიკაში ცერემონიის დაწყებამდე ზეიმობდა კენიაც. **"დღეს დიდი დღეა, რადგან აფრიკის შვილი პრეზიდენტის უფლება-მოვალეობის შესრულებას იწყებს, ბუშის ადმინისტრაცია კი უფლებამოსილებას ტოვებს,"** – განაცხადა "ბი-ბი-სი”-სთან საუბარში ნაირობის ერთ-ერთმა მცხოვრებმა.

CMYK - 9

HP გირჩევთ Windows Vista® Business-ს.

AMD Business Class

# ჩვენ არ ვცდით თქვენს მოთმინებას. ჩვენ საკუთარ თავს ვცდით,



# 95000 საათის განმავლობაში.

HP Compaq 6735b, HP DuraFinish და HP 3D DriveGuard-სთან ერთად.

მან 95000 საათიანი მკაცრი შემოწმება გაიარა, შექმნილია იმისთვის რომ გაძლოს, მაგრამ ეს ყველაფერი როდია HP 3D DriveGuard აღიქვამს ნებისმიერ უეცარ მოქმედებას და ინახავს მნიშვნელოვან მონაცემებს, რომ არაფერი დაზიანდეს. მაგნიუმის შენადნობის შემცველი სტრუქტურა უზრუნველყოფს დიდ სიმტკიცესა და სტაბილურობას. HP DuraFinish გარედან დაფარულია გარსით, რომელიც არ იკაწრება. ყოველივე ეს სრულად უზრუნველყოფს თქვენი ბიზნესის დაცვას საუკეთესო მობილურობისთვის. HP Compaq 6735b აღჭურვილია AMD Turion™ X2 Ultra Dual-Care Mobile Processor ორმაგბირთვიანი პროცესორით.

- AMD Turion™ X2 Ultra Dual-Care Mobile Processor
- Genuine Windwa Vista® business
- ნაწილების გამძლეობისა და მუშაობის 1-წლიანი გარანტია

HP TOTAL CARE

დაიცავით თქვენი ბიზნესი გაზარდეთ გარანტია კიდევ 3 წლით.
HP Care Pack მომსახურების პაკეტის გამოყენებით

სერთიფიცირებულია

hp.com/ge

კომპიუტერი კვლავ პერსონალურია

© 2008 Hewlett-Packard Development Company, L.P. Microsoft and Windows are U.S. registered trademarks of Microsoft Corporation. Windows Vista is either a registered trademark or trademark of Microsoft Corporation in the United States and/or other countries. AMD, the AMD Arrow logo, AMD Turion and combinations thereof, are trademarks of Advanced Micro Devices, Inc. The information contained herein is subject to change without notice.

CMYK - 9



## აფიშა

21 იანვარი

### თეატრი

**შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი**
ექსპერიმენტული სცენა
პრემიერა
"გედის სიმღერა"
რეჟისორი ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკი
დასაწყისი: 19.00

**კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი**
"პიგმალიონი"
რეჟისორი თემურ ჩხეიძე
დასაწყისი: 19.00

**თეატრი სხვენში**
"სასიყვარულო ბარათები"
რეჟისორი თემურ ჩხეიძე
დასაწყისი: 20.00

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრი**
"მწყემსი გოგონა და ბუხრის მწმენდავი"
დასაწყისი: 17.00

**"თეატრალური სარდაფი"**
"თეთრი ბაირაღები"
რეჟისორი გოგი ქავთარაძე
დასაწყისი: 20.00

**თეატრი ვერიკო**
პრემიერა
"აგარაკი"
დასაწყისი: 18.00

**სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრი**
"ეწერში მდგარი ხმელა"
დასაწყისი: 18.00

**"სამეფო უბნის თეატრი"**
"ნუგზარი და მეფისტოფელი"
რეჟისორი გოგა თავაძე
დასაწყისი: 19.00

### კინო

**"ამირანი"**
რაც ყველაზე ძალიან გიყვარს"
დასაწყისი: 12.30; 15.15; 17.30; 19.30; 20.00; 22.15
"დღეს, როცა დედამიწა გაჩერდა"
დასაწყისი: 19.45; 22.0
"ნადირობის სეზონი 2"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00; 18.00;

**"რუსთაველი"**
"რაც ყველაზე ძალიან გიყვარს"
დასაწყისი: 12.15; 15.00; 17.15; 19.30; 22.00
"ნადირობის სეზონი 2"
დასაწყისი: 13.00; 15.00; 17.00 ; 19.00 ; 21.00
"დღეს, როცა დედამიწა გაჩერდა"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.15; 19.15; 21.30
"ტრანსპორტერი III"
დასაწყისი: 13.45; 15.45; 17.45; 19.45; 21.45
"არწივის თვალი"
დასაწყისი: 12.45; 15.15; 17.30; 20.00; 22.15

### გალერეა

**"ქარვასლა"**
ჰორსტ იანსენის გრავიურები

**"ორნამენტი"**
ტიხრული მინანქრის მუდმივი გამოფენა

**"შარდენი"**
ლევან მარგიანის ნამუშევრების გამოფენა

**"ვერნისაჟი"**
ფელიქს ვარლამიშვილის (1903-1986) გამოფენა
ფერწერა და გრაფიკა კერძო კოლექციებიდან

**N გალერეა**
სანდრო ანთაძის პერსონალური გამოფენა

**"არსი"**
ლადო ფოჩხუას პერსონალური გამოფენა

# ჰიტლერი უნდა მოკვდეს

## "ვალკირიას" ვარსკვლავს ფიურერი მიზანში ჰყავს ამოღებული



"მძულს ეს ადამიანი და სინამდვილეშიც სიამოვნებით მოვკლავდი მას", - ასეთი სიტყვებით დაიწყო თავისი ახალი ფილმისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია ტომ კრუზმა. მსახიობის აგრესიის ადრესატი თვით ადოლფ ჰიტლერია, რომლის "მოკვლის" მისიაც კრუზმა ბრაიან სინგერის ფილმში "ვალკირია" უნდა შეასრულოს. ფილმის პრემიერა ამერიკაში უკვე გაიმართა, ზემოთ აღნიშნული სიტყვები კი კრუზმა სამხრეთ კორეაში დაგეგმილი ჩვენების დაწყებამდე წარმოთქვა.

"ვალკირია" დაახლოებით ორი წლის განმავლობაში იმ პროექტთა შორის იყო, რომელთა გარშემოც არასდროს წყდება მიმოთქმა, ხოლო მაყურებელი მოუთმენლად ელის. ამ მოლოდინის მიზეზი არა მხოლოდ ვარსკვლავი ტომ კრუზია, არამედ ის ისტორიაც, რომელიც ფილმშია მოთხრობილი. "ვალკლირია" ისტორიულ ფაქტებზე დაფუძნებული დრამაა და მეორე მსოფლიო ომის დროს ჰიტლერის წინააღმდეგ დაგეგმილი შეთქმულების პერიპეტიებს ასახავს. ტომ კრუზი გერმანელ პოლკოვნიკ კლაუს ფონ შტრაუფენბერგს თამაშობს – ჰიტლერის მოკვლა სწორედ მას ევალება.

ოპერაცია "ვალკირია" 1944 წლის 20 ივლისს დაიგეგმა. ვერმახტის ოფიცრების რამდენიმე კაციანმა დაჯგუფებამ ადოლფ ჰიტლერის მოკვლა ჯერ კიდევ 1943 წელს გადაწყვიტა, როდესაც მოკავშირეები გაერთიანდნენ და გამოიკვეთა იმის საშიშროება, რომ გერმანია ომს წააგებდა. შეთქმულები ჰიტლერის სიკვდილის შემდეგ მოკავშირეებთან მშვიდობიან მოლაპარაკებებს და ზავის დადებას აპირებდნენ. მათი აზრით, ამ გზით შესაძლებელი იქნებოდა საბჭოთა არმიის გერმანიაში შეჭრის თავიდან აცილება. შეთქმულთა დაჯგუფებას შტაუფენბერგი სწორედ ამ პერიოდიდან შეუერთდა, რომელიც აფრიკის ფრონტიდან ახალი დაბრუნებული და ნაციზმისადმი საგრძნობლად იმედგაცრუებული იყო. იგი გულწრფელად მიჩნევდა, რომ ჰიტლერი გერმანიას კატასტროფამდე მიიყვანდა. მისი დამოკიდებულება სტალინგრადის ბრძოლის შემდეგ უფრო გამყარდა – იგი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ჰიტლერი უნდა მომკვდარიყო.

იმის გამო, რომ შტაუფენბერგს საკმაოდ მაღალი პოსტი ეკავა, ხშირად უწევდა ჰიტლერის ხელმძღვანელობით ჩატარებულ თათბირებზე დასწრება. ფიურერზე თავდასხმა სწორედ ასეთი შეხვედრისას უნდა მომხდარიყო. ჰიტლერთან ერთად კი გერინგისა და ჰიმლერის სიკვდილიც იგეგმებოდა. მალე თავდასხმისთვის საუკეთესო დროც შეირჩა – 1944 წლის 20 ივლისი.

დღის 1 საათზე ჰიტლერმა თათბირი დანიშნა, თუმცა მუსოლინის ვიზიტის გამო ცოტა ადრე გადმოიტანა, რამაც შეთქმულთა გეგმები ოდნავ შეცვალა. თათბირი არა ბუნკერში, არამედ ხის ბარაკში ჩატარდა. შტაუფენბერგი თათბირზე ასაფეთქებელი ნივთიერებით სავსე დიპლომატით მივიდა და რამდენიმე წუთში სატელეფონო საუბრის მიზეზით ოთახიდან გავიდა. ზუსტად 12 საათზა და 42 წუთზე აფეთქება მოხდა. ბარაკს მაშინვე უპრეცედენტო კორდონი გაუკეთდა, რომლის გარღვევაც შტაუფენბერგმა უპრობლემოდ შეძლო, რადგან მარალჩინოსნის საბუთი ჰქონდა.

აფეთქების შედეგად ოთხი ადამიანი გარდაიცვალა, ჰიტლერი გადარჩა, რაც თათბირის ბუნკერში ჩატარების შემთხვევაში გამორიცხული იყო – ბეტონის ნაგებობის ნანგრევებში ვერავინ გადარჩებოდა. შტაუფენბერგი და მისი მეგობრები დარწმუნებულები იყვნენ, რომ ფიურერი მოკვდა, თუმცა რამდენიმე წუთში მიიღეს შეტყობინება: "საშინელება მოხდა – ის ცოცხალია!"

"ვალკირიას" სცენარის ავტორები კრისტოფერ მაკუარნი და ნათან ალექსანდერი ისტორიულ ფაქტებს მრავალი წლის განმავლობაში აგროვებდნენ და შედეგად მეტად საინტერესო სცენარი მიიღეს. ბრაიან სინგერი იხსენებს, რომ სცენარით იმდენად აღფრთოვანდა, მაშინვე გადაწყვიტა, მისგან ფილმი გაეკეთებინა. ხოლო შტაუფენბერგის როლზე ტომ კრუზის მოწვევაზე ბევრი არც უფიქრია – მსახიობი ძალიან ჰგავს პროტოტიპს.

# მწერალი ტაილანდში გაასამართლეს

ავსტრალიელ მწერალს – გარი ნიკოლაიდისს სამი წლით თავისუფლების აღკვეთა ტაილანდის მონარქიის შეურაცყოფისათვის მიუსაჯეს.

თავდაპირველად, მწერალს ბანგკოკის სისხლის სამართლის სასამართლომ ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, თუმცა სასჯელის ვადა მას შემდეგ შეამცირა, როდესაც მსჯავრდებულმა დანაშაული აღიარა.

ნიკოლაიდისი ტაილანდში მასწავლებლად მუშაობდა. ის გასული წლის აგვისტოში იმ დროს აიყვანეს, როდესაც ის ქვეყნის დატოვებას ცდილობდა.

მას ბრალდება მისი რომანის - "ალბათობა" ფრაგმენტებთან დაკავშირებით წაუყენეს. ეს ნაწარმოები ავტორმა ოთხი წლის წინ დაწერა. მასში საუბარია დაუსახელებელი ტაილანდის ტახტის მემკვიდრეზე. დატუსაღებული მწერალი ტაილანდის პატიმართა სტანდარტულ ფორმაში – ნარინჯისფერ პიჟამოშია "გამოწყობილი" და ბორკილები ადევს. თვალცრემლიანმა გარი ნიკოლაიდისმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ მას მომხდარი საშინელ სიზმრად ეჩვენება.

"ეს მე მაგონებს "ალისას მოჩვენებათა სამყაროში", - ასე მწერალმა სასამართლო განაჩენის გამოცხადების წინ განაცხადა.

სასამართლოზე ნიკოლაიდისმა თავი დამნაშავედ სცნო, თუმცა ის ყოველთვის ხაზს უსვამდა, რომ არ სურდა საკუთარი რომანის რამდენიმე აბზაცში, სადაც ის ტაილანდის ტახტის ერთ-ერთი მემკვიდრის სკანდალურ დროსტარებაზე ყვება, ვინმესთვის შეურაცყოფა მიეყენებინა. მიუხედავად ამისა, სასამართლო საკუთარ გადაწყვეტილებაში უდრეკი აღმოჩნდა. "თავის წიგნში მან ცილი დასწამა მეფეს, მემკვიდრე უფლისწულს, ტაილანდსა და მონარქიას", - განაცხადა მოსამართლემ.

როგორც თავად მწერალმა აღიარა, მან ამ წიგნის მხოლოდ შვიდი ეგზემპლარი გაყიდა. ამჟამად დანამდვილებით მხოლოდ ერთი ეგზემპლარის ადგილმდებარეობაა ცნობილი – ის ტაილანდური ნაციონალური ბიბლიოთეკის თაროზე დევს და დღემდე ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის.

"ბი-ბი-სი"-ს ბანგკოკელი კორესპონდენტის – ჯონათან ჰედას თქმით, გაუგებარია ტაილანდის ხელისუფლება ასე მკაცრად რატომ მოექცა ავსტრალიელ მწერალს .

გარი ნიკოლაიდისს თავდებით გათავისუფლებაზეც კი უარი ოთხჯერ განუცხადეს. მისი სიტყვებით, ციხეში გატარებული ხუთი თვის განმავლობაში მან "გამოუთქმელი ტანჯვა" გადაიტანა. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ უცხოელები ძალიან იშვიათად იძებნებიან ტაილანდში მონარქიის შეურაცყოფის ბრალდებით.

თუმცა, უკანასკნელი წლების განმავლობაში, ტაილანდელთა შორის დაპატიმრებები უფრო მეტად იმასთან არის დაკავშირებული, რომ მხედართმთავრებმა მონარქიის ხატების დაცვის გაძლიერების განკარგულება გასცეს.

"ბი-ბი-სი"-ს კორესპონდენტი გადმოსცემს, რომ კრიტიკა მონარქიის მისამართით გაძლიერდა, რამდენადაც სამეფო ოჯახის წევრები გვერდით არ აღმოჩნდნენ იმ პოლიტიკური კონფლიქტებთან , რომლებმაც სულ ცოტა ხნის წინათ ქვეყანა შეარყია.

ტაილანდში სამხედრო ხელმძღვანელობა ასავე შეშფოთებულია იმით, თუ ვინ შეცვლის მეფე პუმიპონ ადულიადეტსშ და ხალხის მიერ, თითქმის, ღვთაებად არის მიჩნეული.

# რაზას ნამუშევრები გააყალბეს

## ეს მან მხოლოდ გამოფენის გახსნისას აღმოაჩინა

ცნობილმა ინდოელმა მხატვარმა – საიედ ხადარ რაზამ, გამოფენის გახსნისას აღმოაჩინა, რომ მისი ნამუშევრების უმრავლესობა ყალბია.

გალერეის, სახელწოდებით - "დხუმიმალ", მფლობელებმა, როგორც კი შეიტყვეს მომხდარის შესახებ, გამოფენა მაშინვე დახურეს.

ამ გალერეის ერთ-ერთმა მეპატრონემ, "ბი-ბი-სი"-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მათ ეს ნამუშევრები მხატვრის ნათესავმა გაუგზავნა, ამიტომაც ნახატების სიყალბეში ეჭვი არავის შეუტანია.





"ჩემს ასაკში, საკუთარი ნამუშევრების გამოფენაზე ყალბი ნახატებით თავის მოწონებაღა მაკლდა... აქამდე გონზე ვერ მოვსულვარ", - დაწერა 86 წლის ფერმწერმა გაზეთში "Mail Today".

მხატვრის ერთ-ერთი მეგობარი, მწერალი აშოკ ვადჯპაი, რომელიც გამოფენის გახსნას ესწრებოდა, ირწმუნება, რომ ექსპონირებული ნახატები მხატვრის სტილსაც კი არ შეესაბამებოდა.

"როდესაც ასლს ამზადებენ, უკიდურეს შემთხვევაშიც კი, ის მხატვრის სტილსა და ხელწერას ასახავს. მაგრამ, როდესაც დამთვალიერებელს ისეთ ნამუშევარს სთავაზობენ, რომელიც სრულიად არ ჰგავს ავტორისას და ამასთან ერთად, ნახატზე მხატვრის ხელმოწერაცაა დართული, - ის ნამდვილად ყალბია", - აღშფოთებას ვერ მალავს ვადჯპაი.

საიედ ხადარ რაზა 1950 წლიდან პარიზში ცხოვრობს, მაგრამ ხშირად იმყოფება ინდოეთში, სადაც ახალგაზრდა მხატვრების დასახმარებლად სპეციალური ფონდი დააფუძნა. მისი ნახატები მთელი მსოფლიოს მასშტაბით იფინება და წამყვან გალერეებში ძვირად იყიდება.

მან აღნიშნა, რომ მეგობრებმა მას სასამართლოში ჩივილი ურჩიეს. მართალია მხატვარმა მათი რჩევა არ გაითვალისწინა და სასამართლოს თავი აარიდა, მაგრამ სურს ეს საქმე ასე არ დატოვოს და რა მოხდა სინამდვილეში, გამოიკვლიოს.

"ეს ისტორია ინდოეთის კულტურას ჩრდილს აყენებს და ჩვენ უნდა შევეცადოთ გავერკვიოთ იმაში, თუ როგორ მოხდა ეს ყველაფერი", - აღნიშნავს რაზა.

# ობამას პორტრეტი ვაშინგტონის მუზეუმში

მხატვარ შეპარდ ფეირის (Shepard Fairey) მიერ შესრულებული ბარაკ ობამას პორტრეტი ვაშინგტონის ნაციონალური პორტრეტების გალერეაში საყოველთაო განხილვის ცერემონიას გახსნის. აღნიშნული ნამუშევარი სპეციალურად ობამას წინასაარჩევნო კამპანიისთვის მომზადდა.

ბოსტონის თანამედროვე ხელოვნების ინსტიტუტის მტკიცებით, შეპარდ ფეირი ქუჩის მხატვრებს შორის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ და ცნობად სახეს წარმოადგენს. ობამას პორტრეტი, შეპარდ ფეირმა Reuters-ის კორესპონდენტის ჯიმ იანგის მიერ გადაღებული ფოტოსურათის დახმარებით შექმნა. სტილიზებული ნამუშევარი სპეციალურად პრეზიდენტის წინასაარჩევნო კამპანიისთვის მრავალ ეგზემპლარად დაიბეჭდა და გავრცელდა. სურათს თან დაერთო ლოზუნგი, რომელიც სამი სიტყვისგან შედგებოდა - Hope ("იმედი"), Change ("ცვლილებები") და Progress ("პროგრესი"). ფეირის ნამუშევარი ობამას საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთ სიმბოლოდ იქცა.




აღსანიშნავია, რომ მანჰეტენზე მდებარე ახალ თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში ცოტა ხნის წინ, საზოგადოების წინაშე წარადგინეს ნახატი, სადაც ამერიკის ახალი პრეზიდენტის ბარაკ ობამას ცოლ-შვილია გამოსახული. ზეთის საღებავებში შესრულებული პორტრეტი, სახელწოდებით "მიშელი და საშა ობამა დემოკრატიული პარტიის კონგრესზე ბარაკ ობამას გამოსვლას უსმენენ", მხატვარ ელიზაბეტ პეიტონის (Elizabeth Peyton) მიერ არის შესრულებული. ელიზაბეტ პეიტონმა, რომელიც თავისი ინდივიდუალური პორტრეტებითაა ცნობილი, კონგრესზე გადაღებული ფოტოს მიხედვით ნახატი აგვისტოში შექმნა. მუზეუმში ნახატი მხოლოდ მას შემდეგ აღმოჩნდა, როცა ობამას გაპრეზიდენტების შესახებ გახდა ცნობილი. მუზეუმის კურატორის ლაურა ჰოპმანის (Laura Hopman) განცხადებით, უკვე გახსნილ გამოფენაზე სურათის დამატება პრაქტიკაში არ არსებობს, თუმცა ობამას გაპრეზიდენტებასტან დაკავშირებული ისტორიული ფაქტის გამო, გამონაკლისის დაშვება მოუხდათ. ნახატი, რომელზეც ამერიკის შეერთებული შტატების პირველი ლედი და მისი ქალიშვილი არიან გამოსახულნი, უკვე გაიყიდა, თუმცა გაყიდული ნამუშევრის ფასი არ სახელდება.

### ენდრიუ უაიეტი გარდაიცვალა

16 იანვარს, პენსილვანიაში, 91 წლის ასაკში, ამერიკელი მხატვარი – ენდრიუ უაიეტი (Andrew Wyeth) გარდაიცვალა. ამის შესახებ ინფორმაცია AFP-მა გაავრცელა.

უაიეტი საკუთარ სახლში გარდაიცვალა, რომელიც მის მშობლიურ ქალაქში ჩედ-ფორდში მდებარეობს. ამ დროისთვის, მისი სიკვდილის ზუსტი მიზეზი უცნობია.

ენდრიუ უაიეტი 1917 მხატვარ-ილუსტრატორის – ნიუველ უაიეტის (Newell Wyeth) ოჯახში დაიბადა. ენდრიუს ხატვა და ფერწერა მამამ ასწავლა. მისი პირველი პერსონალური გამოფენა ნიუ იორკში შედგა, მაშინ მხატვარი 20 წლის გახლდათ.

უკვე 1945 წელს კრიტიკამ დაინახა მისი ჩამოყალიბებული, ინდივიდუალური, რეალისტური მანერა. მისთვის ყველაზე საყვარელი ჟანრი პეიზაჟი გახლდათ და თემა – რიგითი ადამიანების ყოფა ამ გარემოში. მისი ყველაზე ცნობილი ნამუშევარი გახდა "ქრისტინეს სამყარო", რომელშიც მეზობელ ამერიკელ ქალს ხატავს.

1963 წელს მხატვარი ჯონ კენედიმ ამერიკელებისთვის ყველაზე საპატიო ჯილდოთი "თავისუფლების მედლით" დააჯილდოვა. 1970 წელს კი უაიეტი გახდა ერთადერთი მხატვარი, რომელიც სიცოცხლეში მოესწრო საკუთარ გამოფენას თეთრ სახლში.

### კომპანია Lego mp-3 პლეიერებს გამოუშვებს

საბავშვო სათამაშოების მწარმოებელი კომპანია Lego, ფირმა Digital Blue-სთან ერთად mp-3 პლეიერების გამოშვებას დაიწყებს. ციფრული აუდიოსაკრავი, Lego-ს კლასიკური კონსტრუქტორის ნიმუშის შესაბამისად იქნება შექმნილი. წამოწყების წარმომადგენლის თქმით, ახალი პროდუქტის გამოშვება Lego-ს თაყვანისმცემლების თვალში კომპანიის იმიჯს გააცოცხლებს. როგორც წინასწარ არის განსაზღვრული, Lego-ს მიერ გამოშვებული mp-3 პლეერებით 7-დან 11 წლამდე ასაკის ბავშვები ისარგებლებენ. გარდა ბავშვებისა, ახალი პროდუქცია ზრდასრულ ადამიანებშიც დიდ დაინტერესებას გამოიწვევს. Digital Blue-ს წარმომადგენლის განცხადებით, მათი ფირმა Lego-სთან თანამშრომლობის შესაძლებლობას ძალიან უფრთხილდება. "ჩვენ მოხარულები ვართ, რომ მთელს მსოფლიოში ცნობილ ბრენდთან მუშაობის საშუალება მოგვეცა. ეს ის ბრენდია, რომლის პროდუქცია როგორც ბავშვებისთვის, ისე ზრდასრული ადამიანებისთვის ძალიან საყვარელია", - აღნიშნეს Digital Blue-ში.

პლეერების გარდა, ციფრული ხაზით გამოშვებული ახალ პროდუქციაში წარმოდგენილი იქნება ფოტოაპარატები, რაციები და მაღვიძარები. მათი ფასი დაახლოებით 20-დან 59 დოლარამდე იმერყევებს. აღსანიშნავია, რომ 2008 წლის სექტენბერში, კომპანია Lego-მ სათამაშოების სპეციალური სერია გამოუშვა, რომლებიც მსოფლიოში ცნობილ მუსიკოსებს ასახავენ.

### მაიკლ ნაიმენი რეჟისორის ხარისხში

ბრიტანელი კომპოზიტორი მაიკლ ნაიმენი 2009 წლის 24 იანვარს გამოფენას, სახელწოდებით Videofile გახსნის, სადაც მისი ფილმები და ფოტოსურათები იქნება წარმოდგენილი. როგორც The Times-ის მიმომხილველი აღნიშნავს, ნაიმენი, რომელმაც სახელი კინოფილმებისთვის დაწერილი მუსიკით გაითქვა, რეჟისორის სახით არასდროს გამოსულა, უფრო ზუსტად ამ ენთუზიაზმის აფიშირებას არ ახდენდა.

გამოფენა Videofile ლონდონთან ახლოს მდებარე საკურორტო ქალაქ ბექსჰილლ-ონ-სი-ში მდებარე მოდერნისტულ შენობა De La Warr Pavilion-ში გაიმართება.

მაიკლ ნაიმენის ვიდეონამუშევრები ხელის კამერითაა გადაღებული. გამოფენის პრეს-რელიზში აღნიშნულია, რომ ისინი ნაიმენის "გამჭრიახი გონების დღიურს" წარმოადგენენ. კადრები კომპოზიტორის გასტროლების პერიოდშია გადაღებული.

2008 წელს მაიკლ ნაიმენმა წიგნი, სახელწოდებით Sublime ("დიადი") გამოსცა, სადაც მისი დაახლოებით ორი ათასამდე ფოტოსურათია შესული. მათ შორის საუკეთესოები Videofile-ს ექსპოზიციაზე მოხვდნენ.

მაიკლ ნაიმენს დაწერილი აქვს მუსიკები ისეთი ფილმებისთვის, როგორებიცაა "მხატვრის კონტრაქტი", "მზარეული, ქურდი, მისი ცოლი და მისი საყვარელი", "პიანინო" და სხვა მრავალი. ამას გარდა, მას შექმნილი აქვს შვიდი ოპერა, რომელთაგანაც ბოლო ინგლისის სამამულო ომს მიეძღვნა. მისი დადგმა სიცილიაში 2009 წლის დეკემბერშია დაგეგმილი.

### ჯორჯო არმანი დოლჩესა და გაბანას რამდენიმე შარვლის გამო დაუპირისპირდა

მილანში მაღალი მოდის კვირეულზე ცნობილ იტალიელი დიზაინერები, ჯორჯო არმანი და ფირმა Dolce&Gabbana (D&G)-ს მფლობელები, დომენიკო დოლჩე და სტეფანო გაბანა აბრეშუმის რამდენიმე შარვლის გამო ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. სკანდალი შაბათს 17 იანვარს დაიწყო, როცა დოლჩე და გაბანამ საზოგადოებას რამდენიმე აბრეშუმის შარვალი წარმოუდგინა, იუწყება BBC.

18 იანვარს, 74 წლის არმანის კოლექციის ჩვენება გაიმართა, რომლზეც ანალოგიური ტექნიკით შესრულებული შარვლები იყო წარმოდგენილი. ჩვენების დასრულების შემდეგ მაღალი მოდის "პატრიარქმა" ჟურნალისტებს D&G-ზე საუბრისას განუცხადა, რომ "ახლა ისინი ბაძავენ, ხოლო შემდეგ დამოუკიდებლად მუშაობას ისწავლიან".

დოლჩე და გაბანამ კი განაცხადეს, რომ "ეჭვგარეშეა, რომ ჩვენ ბევრი უნდა ვისწავლოთ, მაგრამ რა თქმა უნდა მისგან არა". მათი თქმით არმანი მათი შთაგონების წყარო არასდროს ყოფილა და "ჩვენ მისი ჩვენებების ყურება დიდი ხანია შევწყვით".

მილანში მაღალი მოდის ტრადიციული კვირეული 17 იანვარს დაიწყო და დღეს, 21 იანვარს დასრულდება. **ჯიეიჩ-ენი**

# მყინვარები უკან იხევენ

ბელა ჩეკურიშვილი



მაშინ როცა მსოფლიოს მეცნიერები დედამიწაზე მოსალოდნელ გლობალურ დათბობაზე საუბრობენ, ერთ-ერთ მთავარ პრობლემად აღნიშნავენ მსოფლიო ოკეანის აუზში წყლის მომატებას, რასაც სანაპირო ზოლის დატბორვა მოჰყვება. არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მსოფლიოს უდიდესი ქალაქები წყლის ქვეშ აღმოჩნდეს.

თუ რა იწვევს ჩვენს პლანეტაზე ტემპერატურის მატებას, ამჯერად ამაზე საუბარს გვერდს ავუვლით და პირდაპირ იმას გეტყვით, თუ რა მოსდევს მას. საქმე ამ შემთხვევაში მყინვარებს ეხება. ის ფაქტი, რომ ტემპერატურამ უკანასკნელ ხანებში 1,5 გრადუსით მოიმატა, მყინვარებმა ადამიანებზე მალე იგრძნეს და როგორც მეცნიერები ამბობენ, უკანდახევა დაიწყეს. ეს ეხება როგორც მსოფლიოს უდიდეს მყინვარებს: ტიანშანის, პამირის, ტიბეტის, შპიცბერგენის, კამჩატკისა და ალტაის მყინვარებს, ასევე კავკასიონს.

1820 წლიდან კავკასიონის ხეობის ტიპის მყინვარებმა უკან დაიხიეს 1,5-2 კილომეტრით, ხოლო მაღლა მდებარე კარული ტიპის მყინვარებმა 400-600 მეტრით. როგორც გეოგრაფმა რამინ გობეჯიშვილმა გვითხრა, საერთო უკანდახევის ფონზე შეინიშნება მყინვარების ენების მოკლევადიანი წინ წამოწევები, რაც მზის აქტივობის 20-25 წლიან პერიოდს უკავშირდება.

მყინვარებზე ვერტიკალური გადაადგილება განიცადეს ყინულისა და თოვლის ხაზმა. ამავე დროს ტყის ზონის ზედა საზღვარი 100-150 მეტრით გადაადგილდა.

კავკასიონის მყინვარების კვლევა მე-19 საუკუნის 50-იანი წლებიდან დაიწყო უცხოელი მეცნიერების მიერ, ხოლო 1933 წელს, მას შემდეგ, რაც საქართველოში გეოგრაფიის ინსტიტუტი შეიქმნა, ამ კვლევაში ქართველი მეცნიერებიც ჩაერთვნენ. 1958 წლიდან კი მიმდინარეობს ნახევრადსტაციონარული დაკვირვებები სვანეთის, რაჭის, კოდორის ხეობისა და ხევის მყინვარებზე. კავკასიონის მყინვარების პირველი აგეგმვა 1890 წელს განხორციელდა, განმეორებით ეს 1950 წელს მოხდა, ბოლო ხანებში კი მყინვარების კვლევაში ფართოდ იყენებენ აერო-კოსმოსურ მეთოდებსა და ფოტოთეოდოლიტურ გადაღებებს, რომლის მეშვეობითაც მყინვარების მოძრაობის ხასიათი დგინდება.

ევროპული ორგანიზაცია "ინტასის" დაფინანსებით გეოგრაფიის ინსტიტუტში გასული წლიდან ხორციელდება პროექტი კლიმატური ცვალებადობის, მყინვარების დინამიკის და ჩამონადენის მოდულირების შესახებ. წელს კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე, კერძოდ კი რაჭაში, მყინვარ ზოფხიტოზე გამოკვლევები მიმდინარეობდა კლიმატის ელემენტებზე - აბლაციაზე, რადიაციაზე, სინოტივესა და ტემპერატურაზე.

**რამინ გობეჯიშვილი**: მყინვარი 15-20 მეტრის სიღრმეზე ჩაიბურღა და ხდებოდა დაკვირვება მყინვარის დნობაზე, რასაც აბლაცია ეწოდება. დამონტაჟდა ლიმნოგრაფი, რომლის მეშვეობითაც ხარჯი იზომებოდა. ზოფხიტოზე დაკვირვება 15 მაისიდან 15 სექტემბრამდე წარმოებდა ავტომატური მეტეოსადგურის მეშვეობით. ამჟამად მიმდინარეობს მასალების დამუშავება და უახლოეს ხანში შედეგები ცნობილი იქნება, თუმცა, აბლაციის და მყინვარის უკანდახევის სიჩქარეების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მყინვარის ენა საკმაოდ სწრაფად იხევს უკან. 2007-08 წლებში მყინვარ ზოფხიტოს ენამ 11 სანტიმეტრით დაიხია, რაც უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში ამ მყინვარის საშუალო მაჩვენებლს წარმოადგენს.

თუ მყინვარების დნობის ტემპი აჩქარდება, და ასეთი ვარაუდიც არსებობს, მოიმატებს მსოფლიო ოკეანის დონე და ეს სანაპირო ზოლის დატბორვას გამოიწვევს, ხოლო საქართველოს შემთხვევაში შეიძლება მდინარე რიონის ხეობაში წყალმა სამტრედიამდეც მოაღწიოს. და ეს საფრთხე რეალურია, თუკი ატმოსფეროს დაბინძურებაში ადამიანის ჩარევა არ შეჩერდა. ამგვარი ტემპით კი 50-100 წლის განმავლობაში შესაძლებელია გლობალური დათბობა მოხდეს. მაგრამ თუ დათბობას ბუნებრივი მსვლელობა ექნება, ამ პროცესს კიდევ 500 წელი დასჭირდება. უკანასკნელი 10 000 წლის განმავლობაში ასეთი დათბობა 6-ჯერ მაინც მოხდა, რაც ძალიან ბუნებრივი პროცესია დედამიწისთვის. დათბობას აცივება მოსდევს, აცივებას ისევ დათბობა და ა.შ."

## მწვერვალთა თეთრი ქუდები თანდათან შავდება

მყინვარების უკანდახევის პროცესი იმდენად თვალნათლივ ჩანს უკვე, რომ შეუიარაღებელი თვალიც კი ხედავს, როგორ გაიყო მწვერვალები, გაქრა მწვერვალებზე თეთრი ქუდები, გაჩნდა ნაპრალები და ა.შ. განსაკუთრებით გრძნობენ ამ პროცესს ალპინისტები, რადგან ამის გამო მთაში სიარული სახიფათო ხდება.

როგორც საქართველოს ალპინისტთა ფედერაციის პრეზიდენტმა ზურა კუჭავამ გვითხრა, კავკასიონზე, ლეღზირის მყინვარის უკანა მხარეს, ულუტაუზე მე-4 კატეგორიის სირთულის მთელი მარშრუტია გამქრალი. იგი მთაში 1982 წლიდან დადის და ეს მარშრუტი პირადად აქვს გავლილი. ზოგ ადგილას კი, იმის გამო, რომ ყინული ტყდება და ცვივა, ალპინისტებს გავლა უჭირთ. ასეთი პრობლემები გაჩნდა მაგალითად, მყინვარწვერზე. და თუ ამ მყინვარის დნობა ამ ტემპით გაგრძელდა, მალე ყაზბეგის მთას თეთრი ქუდი საერთოდ გაუქრება და იმ სილამაზეს დაკარგავს, რაც დღეს აქვს. მის ნაცვლად კი შავი კრატერი იქნება, როგორც ეს კილიმანჯაროზეა.

**ზურა კუჭავა**: "გაფუჭდა ორწვერის მესამე კატეგორიის მარშრუტის შესასვლელი. ასევე შესამჩნევად შემცირდა ყინული საფარი ჭაუხის კლდოვან მასივში, სადაც ზაფხულში სავარჯიშოდ ავდივართ.

ჭალაადის მყინვარი ისეა შეცვლილი, რომ თუ ადრე ჩათინამდე მშვიდად ადიოდი, ახლა 2-3-ჯერ უნდა გადახვიდე გვერდზე და კლედეებით იარო. ჩრდილოეთ უშბის თავი რომ სულ თეთრი გვახსოვდა, ამ 5 წლის წინ რომ შევხედე გული გამისკდა – ერთიანად შავი იყო. აქედან გამომდინარე, სახიფათო ხდება გავლა. ყინულის დნობის შედეგად გაჩნდა ნაშალი და მთაზე რომ წყალი მოდის ღარებად, ეს ნაშალი თან მოაქვს. ადრე თუ უშბის თავზე მშვიდად გამოდიოდი, ეხლა როგორ უნდა ვიაროთ, არ ვიცი. ამ ზაფხულს უშბაზე ბალტიისპირელი ალპინისტები რომ დაიღუპნენ, შესაძლოა, ამ ნაშალმა ქვამ ჩაიტანა. ჯერჯერობით ვერ იპოვეს. მათ მოსაძებნად ახლაც წასულები არიან ქართველი ალპინისტები.

მას შემდეგ, რაც ე.წ ბურები გაჩნდა, ყინული უხიფათო რელიეფი გახდა. თითო ბური დარტყმაზე ტონანახევარს უძლებს, რაც ძალიან მაგარ დაცვას ნიშნავს. ამიტომ ყინულზე მოძრაობა უხიფათო იყო 50-60-იან წლებთან შედარებით, როცა ჩვენი ალპინისტები ყინულს გვერდს უქცევდნენ და კლდით მიდიოდნენ. ახლა შეიძლება ყინულმა ისევ დაკარგოს ეს ფუნქცია."

## მყინვარები - სასმელი წყლის ავზები

როგორც მეცნიერები ამბობენ, გარდა ხმელეთის დიდი ნაწილის დატბორვისა, მყინვარების სწრაფი დადნობა დედამიწის მოსახლეობას სასმელი წყლის გარეშე დარჩენასაც უქადის.

მსოფლიო მყინვარები მტკნარი წყლის უდიდეს მარაგს შეიცავენ. მყინვარებში იმდენი წყალია, რაც 700 წლის განმავლობაში ჩაქვთ მსოფლიო მდინარეებს ოკეანეებში. დღეს მყინვარულ წყლებს განსაკუთრებით ფართო გამოყენება აქვს არიდულ ზონებში – მაგალითად ცენტრალურ და შუა აზიაში, სადაც უდაბნოებისპირა მოსახლეობა სასმელ და საირიგაციო საშუალებად მყინვარულ წყლებს იყენებს, რომელიც უხვად მოედინება ზაფხულის პერიოდში. მეცნიერთა თქმით ეს სწორედ იმაზე მიგვანიშნებს, რომ მყინვარები აქტიურად დნებიან.

მსოფლიო მეცნიერებს ყურადღება აქვთ მიპყრობილი სამხრეთ კონტინენტისაკენ და სხვადასხვა პროექტებს ამუშავებენ, რომლებიც აისბერგების დრეიფს ითვალისწინებს არაბეთისკენ, მტკნარ წყალს მოკლებული ქვეყნებისათვის. ერთი აისბერგი 50-100-150 კმ-ია, შესაბამისად, სასმელი წყლის უზარმაზარი ავზია. ერთი პრობლემაა გადასაჭრელი, როგორ შეფუთონ ისინი ისე, რომ ეკვატორის გადაცურვისას არ გადნეს.

კავკასიონის მყინვარების დნობით მარაგდება დასავლეთ საქართველო და თერგის აუზის მდინარეები. ენგური, თერგი, რიონი, კოდორი, ცხენისწყალი ზაფხულში წყალუხვია. ქართველი მეცნიერები ამუშავებენ პროექტებს მყინვარული აუზებიდან აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეებში წყლის გადმონაწილებაზე. არსებობს მოსაზრება, რომ შესაძლებელია თერგის ჩამონადენის გადმოშვება არაგვში, რითაც ჟინვალჰესი და შესაბამისად, თბილისი სასმელი წყლით მომარაგდება. რამინ გობეჯიშვილის თქმით, დაფინანსების შემთხვევაში ამ პროექტის განხორციელება სავსებით შესაძლებელია.

# მომავალი ათი წლის ყველაზე ძვირფასი მხატვრები

სააგენტო ArtTactic Ltd-მა 46 თანამედროვე მხატვრის სია შეადგინა, რომელთა ნამუშევრებიც უახლოესი ათი წლის განმავლობაში ყველაზე ძვირადღირებულ ნამუშევრებს წარმოადგენენ. რეიტინგში პირველი ადგილი გერჰარდ რიხტერმა დაიკავა, შემდეგ მოჰყვებიან ჯეფ კუნსი, სინდი შერმანი, რობერტ გობერი, ბილ ვიოლა და რიჩარდ პრინსი. დემიენ ჰერსტმა მხოლოდ 21-ე ადგილის დაკავება შეძლო. ძმებმა ჯეიკ და დინოს ჩეპმენებმა, ფრანც აკერმანმა და დევიდ სალემ, ყველაზე ძვირადღირებული ნამუშევრების მქონე მხატვრების სია დახურეს. "ჩვენ შევეცადეთ გაგვეგო, ვინ გაუწევს წინააღმდეგობას მომავალში დამკვიდრებულ მტვერს", - აღნიშნა სააგენტო Bloomberg-თან საუბარში, ArtTactic Ltd-ს დამაარსებელმა ანდერს პეტერსონმა.

აღსანიშნავია, რომ ჟურნალ Art Review-ს ვერსიის თანახმად, 2008 წელს დემიენ ჰერსტი, თანამედროვე მოქმედ მხატვრებს შორის არა მარტო ყველაზე მდიდარი, არამედ ყველაზე გავლენიანი ადამიანი აღმოჩნდა. ჯერ კიდევ შემოდგომის დასასრულს, როცა ფინანსურმა კრიზისმა არტ-ბაზარზე დიდი ზემოქმედება იქონია, ჰერსტის ნამუშევრებმა შეწყვიტეს აჟიოტაჟური მოთხოვნილებით სარგებლობა, ხოლო თავად მხატვარი საკუთარ ნამუშევრებზე ფასის დაკლებას შეჰპირდა საზოგადოებას. ამავდროულად ჯეფ კუნსმა და გერჰარდ რიხტერმა ArtTactic Ltd-ს რეიტინგში, რომელიც მართალია მხატვრების გარდა კოლექციონერებსა და გალერისტებსაც აერთიანებს, მე-11 და მე-18 ადგილები დაიკავეს.

სააგენტო ArtTactic Ltd-მა მომავალში ყველაზე მოთხოვნადი მხატვრების რეიტინგის შესადგენად, არტ-ბაზრის პერსპექტივების თაობაზე ექსპერტები - აუქციონისტები და გალერეის მფლობელები გამოკითხა. ექსპერტების ნახევარზე მეტი ფიქრობს, რომ ამ სექტორის კრიზისიდან ამოსვლას დაახლოებით სამიდან ხუთ წელი დასჭირდება. არტ-ბაზრის მონაწილეები ასევე ვარაუდობენ, რომ ფასების ვარდნა ჯერ არ დამთავრებულა.

# სპორტი

## კალაძეს ოპერაცია არ დასჭირდება

"მილანისა" და საქართველოს ნაკრების მცველმა კახა კალაძემ თავისი გუნდის ბოლო ორი შეხვედრა ტრავმის გამო გამოტოვა. მას არ უთამაშია "რომასა" და "ფიორენტინას" წინააღმდეგ, რამაც იტალიაში გარკვეული მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ზოგიერთ გაზეთში ისიც კი დაიწერა, რომ ქართველი მცველი კლუბის ხემლმძღვანელობაზეა განაწყენებული. არადა, კალაძის ტრავმის შესახებ ყველამ იცოდა. ისიც კი ითქვა, რომ შესაძლოა მისთვის მუხლზე ოპერაცია გაეკეთებინათ.

გუშინ სააგენტო channel4-ის ჟურნალისტთან საუბარში კალაძემ საკუთარ ჯანმრთელობაზე ისაუბრა.

"ექიმებმა გამოიკვლიეს და გაირკვა, რომ მუხლზე ორთვიანი თერაპიის კურსი მჭირდება. ვნახოთ, რა შედეგს გამოიღებს მკურნალობა, თუმცა ახლავე შემიძლია გითხრათ, რომ ვარჯიშს ოთხშაბათიდან ვიწყებ. როგორც ექიმები ამბობენ, ვარჯიში და თამაში თერაპიას ხელს არ შეუშლის. საბედნიეროდ, ოპერაცია საჭირო არ გახდა. ეს იმას ნიშნავს, რომ "მილანის" შემდეგი მატჩისთვის სრულ მზადყოფნაში ვიქნები. გუნდის სამედიცინო შტაბისთვის ცნობილი იყო, რომ მუხლზე პრობლემები მქონდა, თუმცა არჩევანი თავად გავაკეთე და ვთამაშობდი. დუბაიში ყოფნისას ვარჯიშზე ტრავმა გამიღიზიანდა. ეს მწვრთნელმაც იცოდა და ექიმებმაც. სწორედ ამის გამო ვერ ვითამაშე "რომასთან" და "ფიორენტინასთან". არ მესმის, საიდან მოიტანეს, რომ ვინმეზე ნაწყენი ვარ. ტრავმირებული მინდორზე ვერ გავიდოდი, მუხლზე გამოკვლევის ჩატარება აუცილებელი იყო", - განაცხადა კახა კალაძემ.



კალაძე მომავალი ტურისთვის ემზადება.

ასე რომ, იტალიური გრანდის ქართველი მცველი დღეიდან დაიწყებს ვარჯიშს და მომავალ ტურში, როდესაც "მილანი" "ბოლონიას" დაუპირისპირდება (ეს მატჩი 25 იანვარს უნდა გაიმართოს), სავარაუდოდ, კახა კალაძე თავისი გუნდის ძირითად შემადგენლობაშიც გამოჩნდება.

## კაკა "მილანში" დარჩა

გადავა თუ არა კაკა "მანჩესტერ სიტიში"? დახარბდება თუ არა ბრაზილიელი სუპერვარსკვლავი ფულს? შეელევა თუ არა "მილანი" თავის მეგავარსკვლავს დიდი ფულის სანაცვლოდ? ამ კითხვებზე პასუხის მიღება უკვე ერთი თვეა სწადია საფეხბურთო სამყაროს და გუშინ ყველაფერი ცხადი გახდა. თითქოს ტრანსფერი უკვე შეთანხმებული იყო და კაკა "სიტიში" გადადიოდა, მაგრამ ბოლო წამს სილვიო ბერლუსკონიმ დარეკა მანჩესტერში და "სიტის" მესვეურებს განუცხადა, რომ კაკა არ იყიდება.

"მე ბედნიერი ვარ. კაკა არა მხოლოდ უდიდესი ფეხბურთელია, არამედ ბრწყინვალე პიროვნებაც. ცხოვრებაში ფული ყველაფერს არ ნიშნავს და ეს კაკამ დაამტკიცა. ის მილანში თავს ბედნიერად გრძნობს და თავის მეგობრებთან ერთად დარჩება. მას ჩვენთვის ხელფასის მომატებაც კი არ უთხოვია დარჩენის სანაცვლოდ. როდესაც "სიტის" წინადადება მივიღეთ, იძულებული ვიყავით ეს კაკასთვის გვეთქვა. ზუსტად ასე მოვიქეცით მაშინაც, როდესაც "ჩელსისგან" "შევას" შეძენის თაობაზე მივიღეთ შეთავაზება. გადაწყვეტილება თავად ფეხბურთელს უნდა მიეღო. "სიტის" მიერ შემოთავაზებული თანხა ძალიან დიდი იყო. კლუბს ხელ-ფეხი შეკრული ჰქონდა. თუ კაკა მანჩესტერულ გუნდში გადასვლაზე დათანხმდებოდა, იძულებული ვიქნებოდით, ტრანსფერი დაგვეკმაყოფილებინა. თუმცა "რიკიმ" დაამტკიცა, რომ თანამედროვე ფეხბურთში ფულით ყველაფერს ვერ იყიდი. საოცარი ადამიანია. როგორც ფეხბურთის გულშემატკივარი, ბედნიერი ვარ, რომ კაკამ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო", - განაცხადა ბერლუსკონიმ.


კაკა ფულზე არ გაიყიდა.

მართლაც სწორედ კაკაზე იყო დამოკიდებული ამ ტრანსფერის განხორციელება. "სიტი" "მილანს" კაკას სანაცვლოდ დაახლოებით 130 მილიონ დოლარს სათვაზობდა. ეს სწორედ ის თანხაა, რომლის გადახდის შემთხვევაში "მილანი" ტრანსფერს წინ ველარ აღუდგებოდა, რადგან ფეხბუთელის კონტრაქტში ჩაწერილია, რომ 150%) მილიონის გადახდის შემთხვევაში კლუბი ვალდებულია გაუშვას კაკა.

თავად კაკას კი "სიტის" ხელმძღვანელები, რომლებსაც, როგორც ჩანს, ფინანსური კრიზისი საერთოდ არ აღელვებთ, კვირაში 500 ათას გირვანქა სტერლინგს სთავაზობდნენ. ეს ოთხჯერ აღემატება იმ ხელფასს, რომელსაც ბრაზილიელი "მილანში" იღებს.

ასე რომ, "სიტიში" კაკას გადასვლის ამბავი მხოლოდ ფეხბურთელზე იყო დამოკიდებული და თუ ბოლო დღეებში გავრცელებულ ინფორმაციებს დავუჯერებთ, დღე-დღეზე კაკა კონტრაქტის ქვეშ თავის ხელმოწერასაც დასვამდა.

ვინც იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩს უყურა "მილანსა" და "ფიორენტინას" შორის, იმასაც ნახავდა, რომ შეხვედრის შემდეგ "მილანის" ფეხბურთელები მიდიოდნენ ბრაზილიელთან და ემშვიდობებოდნენ მას. მოკლედ, თითქმის ყველა დარწმუნებული იყო, რომ კაკა წავიდოდა.

გუშინწინ საღამოს აქამდე მდუმარედ მყოფმა ბრაზილიელმა ხმა ამოიღო და "მილანის" ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში თქვა:

"მთელი ამ ხნის განმავლობაში თვალყურს ვადევნებდი ჩემს გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს. გუნდის დატოვება ერთი წამითაც არ მიფიქრია. ფული ჩემთვის არასდროს არ ყოფილა პრიორიტეტული. მე მშვენივრად ვგრძნობ თავს იქ, სადაც ხალხს ვუყვარვარ. გადაწყვეტილებას გულით ვიღებ და არა ეკონომიკური მოსაზრებით. მილანში ფანტასტიკური ხალხი ცხოვრობს. აქ თავს ბედნიერად ვგრძნობ და, მერწმუნეთ, ხელფასის მომატების თხოვნით არასდროს არ მივმართავ კლუბის ხელმძღვანელობას. მე მორწმუნე ვარ. სწორედ უფალი აკეთებს ჩვენთვის ამ არჩევანს. კლუბის დატოვება არ მინდა. ადრეც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ: "მილანში" კარიერის ბოლომდე მინდა თამაში. თუ კლუბის მესვეურებმა "სიტის" წინადადება მიიღეს და ჩემი გაყიდვა გადაწყვიტეს, ეს ჩემთვის დიდი დარტყმა იქნება", - თქვა კაკამ.

ცხადია, ფეხბურთელის ამ სიტყვების შემდეგ ბერლუსკონი "სიტის" წინადადებას ველარ მიიღებდა - კაკა "მილანში" დარჩა.

### ციმაკურიძე თურქეთში "ზესტაფონს" შეხვდება

გიორგი ციმაკურიძე ლუგანსკის "ზარიასთან" ერთად შეკრებაზე გაემგზავრა თურქულ ბელეკში. რამდენიმე დღის წინ საბოლოოდ მოგვარდა პრობლემა, რომელიც არსებობდა ქართველ ლეგიონერსა და უკრაინულ კლუბს შორის. როგორც გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ანატოლი ვოლობუევმა განაცხადა, ფეხბურთელი დათანხმდა უკრაინის მოქალაქეობა მიეღო. "ზარია" თურქულ შეკრებაზე 24 იანვარს პირველ მოსამზადებელ მატჩს გამართავს "ზესტაფონთან", 28 იანვარს შეხვდება რუსულ "სატურნს", 31 იანვარს ლუგანსკელთა მეტოქე იქნება ასევე რუსული "ურალი", ხოლო 3 თებერვალს - რუსეთის პრემიერლიგის "ხიმკი". სხვა მეტოქეების ვინაობა ადგილზე გაირკვევა.

### რობინიო გაიქცა

რობინიომ "მანჩესტერ სიტი" დატოვა - ბრაზილიელმა ფორვარდმა და გუნდის მთავარმა მწვრთნელმა მარკ ჰიუზმა იჩხუბეს, რის გამოც ფეხბურთელი სამშობლოში გაიქცა. ეს ამბავი ესპანურ ტენერიფეში მოხდა, სადაც "სიტი" შეკრებას გადის. კლუბის პრესსამსახურმა დაადასტურა, რომ რობინიომ, რომელსაც 25 იანვარს 25 წელი უსრულდება, გუნდი მოულოდნელად მიატოვა.

### ჩიტე "ევერტონში" გააგრძელებს კარიერას

ესპანეთის პრიმერადივიზიონში მოასპარეზე სანტანდერის "რასინგის" კონგოელი თავდამსხმელი მოჰამედ ჩიტე, სავარაუდოდ, ინგლისის "ევერტონში" გააგრძელებს კარიერას. "რასინგის" პრეზიდენტმა ფრანსისკო პერნიამ "ევერტონის" წარმომადგენლებთან მოლაპარაკება უკვე დაიწყო. მხარეები ჩიტეს ტრანსფერის საკითხზე მსჯელობას ორშაბათს გააგრძელებენ. ინგლისელებს სურთ კონგოელი იჯარით წაიყვანონ ამა წლის 30 ივნისამდე, რის შემდეგაც ისინი ჩიტეს სატრანსფერო უფლებებს გამოისყიდიან. თავის მხრივ, ესპანელები მზად არიან, ფორვარდს 12 მილიონი ევროს საფასურად ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის დროს შეელიონ. სერბი ფორვარდის ნიკოლა ჟიგიჩის "ვალენსიადან" "რასინგში" დაბრუნების შემდეგ განვლილი ორი სეზონის გუნდის საუკეთესო ბომბარდირი ჩიტე სანტანდერელებმა, ფაქტობრივად, ტრანსფერზე ოფიციალურად დააყენეს.

### ფაულერმა ავსტრალიისკენ აიღო გეზი

ინგლისელმა ფეხბურთელმა რობი ფაულერმა, შესაძლოა, ავსტრალიის კლუბ "ნორს ქვინსლენდ ფიურიში" გააგრძელოს კარიერა.

ერთ დროს "ლივერპულის" ლეგენდამ "ბლექბერნ როვერსში" დაიწყო სეზონი, თუმცა, პოლ ინსის გათავისუფლების შემდეგ ახალმა მწვრთნელმა სემ ელერდაისმა რობის სამსახურზე უარი განაცხადა.

ამჟამად პრემიერლიგის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი ფორვარდი თავისუფალი აგენტის სტატუსს ატარებს. ფაულერის შეძენა ქვედალიგელ "გრიმსბი თაუნსაც" სურდა, ახლა კი ჰორიზონტზე ავსტრალიური კლუბიც გამოჩნდა.

### ერთობლივი განაცხადი

ესპანეთმა და პორტუგალიამ მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის თანახმად, ქვეყნები 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობაზე ერთობლივ განაცხადს შეიტანენ.

შესაბამის დოკუმენტს ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ანხელ მარია ვილიარმა და მისმა პორტუგალიელმა კოლეგამ ჟილბერტო მადაილმა მოაწერეს ხელი.

2018 წლის მუნდიალის მიღების მსურველებმა განაცხადები უნდა შეიტანონ 2 თებერვლამდე, რის შემდეგაც მათ ფიფას სპეციალური კომიტეტი განიხილავს.

ამ დრომდე ჩემპიონატის მასპინძლობაზე პრეტენზიას აცხადებენ ავსტრალია, ინგლისი, ყატარი, აშშ, რუსეთი და ბელგია-ჰოლანდია.

### იტალიამ ზლატანი აღიარა

მილანში გამართულ საფეხბურთო "ოსკარების" გადაცემის ცერემონიალზე სერია A-ს 2007-08 წლების საუკეთესო უცხოელ ფეხბურთელად მილანის "ინტერის" შვედი ფორვარდი ზლატან იბრაჰიმოვიჩი დასახელდა.

ტურინის "იუვენტუსის" თავდამსხმელი ალესანდრო დელ პიერო საუკეთესო იტალიელ ფეხბურთელად აღიარეს, ხოლო საუკეთესო მწვრთნელის ტიტული კი ფლორენციის "ფიორენტინას" თავკაცს ჩეზარე პრანდელის ერგო.

"ოსკარი" კიდევ ორმა პიროვნებამ მიიღო - საუკეთესო მცველად მიიჩნიეს "იუვეს" უკანახაზელი ჯორჯო კიელინი, რობერტო როზეტი კი წლის საუკეთესო იტალიელი არბიტრი გახდა.

### ბუფონი საუკეთესოა

საფეხბურთო ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა საუკეთესო მეკარეთა რეიტინგი, რომელშიც პირველი ადგილი ერგო იტალიის ნაკრებისა და ტურინის "იუვენტუსის" კარის დარაჯს ჯანლუიჯი ბუფონს.

იტალიელმა მეკარემ 78 ქულა მოაგროვა და უკან მოიტოვა დანიელი პეტერ შმაიხელი და ესპანელი იკერ კასილასი. გოლკიპერთა პირველი ხუთეული ასე გამოიყურება:

1.ჯანლუიჯი ბუფონი (იტალია) - 78 ქულა
2.პეტერ შმაიხელი (დანია) - 69
3.იკერ კასილასი (ესპანეთი) - 63
4.ოლივერ კანი (გერმანია) - 62
5.ხოსე-ლუის ჩილავერტი (პარაგვაი) - 58

### ბელამი "ქალაქელია"

ლონდონური "ვესტ ჰემის" ფორვარდი კრეიგ ბელამი "მანჩესტერ სიტის" წევრი გახდა. ტრანსფერის თანხა არ სახელდება, თუმცა, ინგლისური პრესის ცნობით, მანჩესტერელებმა უელსელი თავდამსხმელის სანაცვლოდ 14 მილიონი გირვანქა გადაიხადეს.

### დე იონგის პასუხის მოლოდინში

"ჰამბურგი" და "მანჩესტერ სიტი" 24 წლის ჰოლანდიელი ნახევარმცველის ნაიჯელ დე იონგის ტრანსფერის დეტალებზე შეთანხმდნენ. ამის შესახებ ჰანზური კლუბის პრესმდივანმა იორნ ვოლფმა განაცხადა.

"ახლა დე იონგი და "სიტი" უნდა მოურიგდნენ ერთმანეთს", - დასძინა ვოლფმა.

ინგლისური კლუბის მფლობელი, აბუდაბელი შეიხი მანსურ ბინ ზაიედ ალ ნაჰიანი თითქოს მზად არის, "ჰამბურგს" ჰოლანდიელი ფეხბურთელის სანაცვლოდ 20 მილიონი ევრო გადაუხადოს.

ტრანსფერის განსახორციელებლად მხოლოდ დე იონგსა და კლუბს შორის კონტრაქტის დეტალებიღა დარჩა შესათანხმებელი.

წინა დღეებში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომლის მიხედვით "სიტი" დე იონგს ყოველწლიურად დაუბეგრავი 4 მილიონი ევროს გადახდას ჰპირდებოდა.

### სოსა "ესპანიოლში" სეზონის ბოლომდე ითამაშებს

ესპანური მედიის ცნობით, მიუნხენის "ბაიერნმა" შეიძლება არგენტინელი ნახევარმცველი ხოსე ერნესტო სოსა ბარსელონას "ესპანიოლს" მიაქირავოს. ამის შემდეგ ესპანელებს 23 წლის მოთამაშის შეძენის უფლებაც ექნებათ.

სოსათი "პალერმოც" დაინტერესდა.

### დიეგო პოლიციაში მოხვდა

ბრემენის "ვერდერის" 23 წლის ბრაზილიელი ნახევარმცველი დიეგო ორშაბათს, შუაღამისას, მანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვის გამო დააკავეს.

ინციდენტი ბრემენის ცენტრალურ ნაწილში მოხდა. დიეგომ, რომელმაც ერთ-ერთ რესტორანში, მისივე სიტყვით, "ორი ჭიქა ღვინო დალია", მანქანა წითელ შუქზე არ გააჩერა, რითაც პოლიციის ყურადღება მიიპყრო. პოლიცია მას სამი მანქანით დაედევნა.

დიეგო პოლიციის ახლომდებარე განყოფილებაში მიიყვანეს და სისხლში ალკოჰოლის შემცველობის დასადგენად ტესტი ჩაუტარეს.

ტესტმა აჩვენა 0,8 პრომილე, რაც, მართალია, დანაშაული არ არის - ასეთი კვალიფიკაცია საჭესთან არაფხიზელ მდგომარეობაში ჯდომას 1,1 პრომილედან ეძლევა! - მაგრამ საკმარისია იმისთვის, რომ ბრაზილიელ გამთამაშებელს ფულადი ჯარიმა დაეკისროს და მართვის მოწმობა 4 კვირით ჩამოერთვას.

"მიხარია, რომ ვცხოვრობ ისეთ უსაფრთხო ქალაქში, როგორიც ბრემენია. პოლიციელებმა ჩინებული სამუშაო გასწიეს. ისინი მე ისევე მეპყრობოდნენ, როგორც ყველა სხვას", - თქვა დიეგომ ინციდენტის შემდეგ.

# ფაჩულიამ "რეპტორზთან" დაპირისპირება უქულოდ დაასრულა

NBA-ს რეგულარული სეზონის მორიგ სათამაშო დღეს ზაზა ფაჩულიას "ატლანტა ჰოუქსმა" კანადურ "ტორონტო რეპტორზთან" მძიმე ბრძოლა გადაიტანა და მეტოქეს ბოლო წამებზე 87:84 სძლია.

კრის ბოშის ჩინებული თამაშის წყალობით, კანადელთა ლიდერმა მატჩი 22 ქულითა და 14 მოხსნით დაასრულა. ტორონტოელები დიდ შესვენებაზე 9-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ, თუმცა, მე-2 ნახევარში მასპინძელთა შეტევები ველარ შეაჩერეს.

ზაზა ფაჩულია ჯორჯიელთა ძირითად ხუთეულში მუდმივად გამოდის. ტრავმირებული ალ ჰორფორდის არყოფნაში "ჰოუქსის" ძირითადი ცენტრის ფუნქცია სწორედ ქართველს ეკისრება, თუმცა ამ მატჩში ზაზამ ბევრით ვერაფრით გამოიჩინა თავი და გუნდის გამარჯვებაში დიდი წვლილი არ შეუტანია. მან 10 წუთი დაჰყო მოედანზე და 4 პერსონალური ფოლი მიიღო, რის გამოც მე-3 მეოთხედის პირველი წუთების შემდეგ სათადარიგოთა სკამიდან აღარ წამომდგარა.



ფაჩულია კრის ბოშის წინააღმდეგ.

ფაჩულიამ ორივე ტყორცნა გააცუდა და ბურთი ორჯერ დაკარგა, აქტივში კი მხოლოდ თითო მოხსნა და ჩაჭრა მიითვალა.

ატლანტელთა რიგებში 20-ქულიან ზღვარს სამმა კალათბურთელმა გადააბიჯა - ჯოშ სმითმა 22 ქულითა და 14 მოხსნით ორმაგი დუბლი შეასრულა, ჯო ჯონსონმა 28 ქულა დააგროვა, ხოლო მაიკ ბიბიმ - 23.

24 მოგებითა და 16 მარცხით "ჰოუქსმა" სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონში მე-2, ხოლო მთელ აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-4 ადგილი შეინარჩუნა.

21 იანვრის დილას ფაჩულიას კლუბი ჩიკაგოში ადგილობრივ "ბულზს" (18 მოგება, 23 მარცხი) გაეჯიბრება.

#### აღმოსავლეთ კონფერენცია

**ატლანტიკის დივიზიონი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოსტონი | 34 | 9 | .791 |
| ფილადელფია | 20 | 21 | .488 |
| ნიუ ჯერსი | 19 | 22 | .463 |
| ნიუ იორკი | 16 | 24 | .400 |
| ტორონტო | 16 | 27 | .372 |

**ცენტრალური დივიზიონი**

| | | | |
|---|---|---|---|
| კლივლენდი | 31 | 8 | .795 |
| დეტროიტი | 23 | 17 | .575 |
| მილუოკი | 20 | 24 | .455 |
| ჩიკაგო | 18 | 24 | .429 |
| ინდიანა | 15 | 26 | .366 |

**სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ორლანდო | 33 | 8 | .805 |
| ატლანტა | 24 | 16 | .600 |
| მაიამი | 22 | 18 | .550 |
| შარლოტი | 16 | 25 | .390 |
| ვაშინგტონი | 8 | 32 | .200 |

#### დასავლეთ კონფერენცია

**სამხრეთ-დასავლეთ დივიზიონი**

| | | | |
|---|---|---|---|
| სან ანტონიო | 27 | 13 | .675 |
| ნიუ ორლეანი | 25 | 13 | .658 |
| ჰიუსტონი | 26 | 16 | .619 |
| დალასი | 24 | 17 | .585 |
| მემფისი | 11 | 29 | .275 |

**ჩრდილო-დასავლეთ დივიზიონი**

| | | | |
|---|---|---|---|
| დენვერი | 27 | 15 | .643 |
| პორტლანდი | 25 | 16 | .610 |
| იუტა | 24 | 17 | .585 |
| მინესოტა | 13 | 26 | .333 |
| ოკლაჰომა | 8 | 34 | .190 |

**წყნარი ოკეანის დივიზიონი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ლეიკერსი | 32 | 8 | .800 |
| ფინიქსი | 23 | 16 | .590 |
| გოლდენ სტეიტი | 13 | 29 | .310 |
| საკრამენტო | 10 | 31 | .244 |
| კლიპერსი | 9 | 31 | .225 |

# ბაშოზე ლიდერი გამოიკვეთა

ტოკიოში მიმდინარე იანვრის ბაშოზე გუშინ მნიშვნელოვანი მოვლენები განვითარდა. სანამ ქართველების წარუმატებულ ასპარეზობაზე გეტყოდეთ რამეს, ორიოდე სიტყვა თავად ბაშოს მსვლელობაზე.

9 დღის განმავლობაში იოკოძუნა ასოშორიუ და იოკოძუნა ჰაკუჰო ზედიზედ იგებდნენ ბრძოლებს და ბაშოსაც ორი ლიდერი ჰყავდა. გუშინ ჰაკუჰომ წაიფორხილა - აღმოსავლეთის ოძეკ ჰარუმაფურისთან იორიკირის ილეთით დამარცხდა, რითაც მყისვე ისარგებლა ვეტერანმა ასოშორიუმ და ასევე ოძეკ კოტომისუკის დამარცხებით და საერთო ჯამში ათი გამარჯვებით ბაშოს ვირტუალურ სატურნირო ცხრილს ერთპიროვნულად ჩაუდგა სათავეში. მართალია, ასოშორიუმ ჰაკუჰო უკან ჩამოიტოვა, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ სუპერტურნირის გამარჯვებულის ვინაობას საბოლოოდ მაინც ამ ორი იოკოძუნას დაპირისპირება გამოავლენს. თუ ასოშორიუმ ჰაკუჰო დაამარცხა, მას იმპერატორის თასის მოგებაში ველარავინ შეეცილება, ხოლო თუ პირადი დაპირისპირება ჰაკუჰოს გამარჯვებით დასრულდა, სავარაუდოდ, დამატებითი ბრძოლის გამართვა გახდება საჭირო. შეგახსენებთ, რომ ტურნირის დაწყებამდე ექიმებმა ასოშორიუს ურჩიეს, ეს ბაშო გამოეტოვებინა, რადგან ტრავმა ბოლომდე არ ჰქონდა მოშუშებული. დიდმა ჩემპიონმა კი ექიმების რჩევა არად ჩააგდო და, როგორც ჩანს, სწორადაც მოიქცა.



კოკაიმ მეექვსე ბრძოლა წააგო.

ახლა კი - ქართველებზე. სამწუხაროდ, კოკაი და ტოჩინოშინი წარმატებებით ვერ დაიკვეხნიან. ლევან გორგაძეს გუშინდლამდე მხოლოდ სამი გამარჯვება ჰქონდა. ტოჩინოშინმა, როგორც იქნა, წაგებათა სერია შეწყვიტა და ასასეკირუს დამარცხებით ბაშოს დადებითი ბალანსით დასრულების შანსი შეინარჩუნა. კოკაი კი დამარცხდა. ლევან ცაგურიამ მიაბიამასთან წააგო. ახლა ორივე ქართველს ოთხ-ოთხი გამარჯვება და ექვს-ექვსი მარცხი აქვთ. ბაშოს დადებითი ბალანსით დასრულებისთვის დარჩენილ ხუთ დღეში ოთხი ბრძოლა უნდა მოიგონ.

დღეს ტოჩინოშინი ხვდება დასავლეთის მეთოთხმეტე მაეგაშირა მაცაცუკასას, რომელსაც რვა ბრძოლა აქვს წაგებული. კოკაის მეტოქე კი იქნება დასავლეთის მეორე მაეგაშირა იოშიკაზე, რომელმაც ათიდან სამი ბრძოლა მოიგო.

# ჭაბუკებმა ბაქოს შვიდეულში მერვე ადგილი დაიკავეს

*როგორც ყოველთვის საერთაშორისო სარბიელიდან პირველ მედლებს მოჭიდავეები დაეუფლნენ. სეზონი რიგიანად არც დაწყებულა და თავისუფალის სტილით მოჭიდავეთა ჭაბუკთა ნაკრებმა ბაქოდან მედლები ჩამოხვეტა.*



ჭაბუკთა საუკეთესო შვიდეულმა ბაქოს საერთაშორისო ტურნირის ფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვა. აქედან ღვთისო იორამაშვილმა (42 კგ.), ზურაბ იაკობაშვილმა (54 კგ.) და ლევან ქელეხსაშვილმა (58 კგ.) ჩემპიონობა მოიპოვეს, ხოლო რაუფ შაკულოღლის (46 კგ.), გიორგი ტალახაძეს (50 კგ.), ალექსანდრე ჯაჭვაძესა (69 კგ.) და ომარ გუსოშვილს (100 კგ.) ვერცხლის მედლები დარჩათ.

ნაკრების მთავარი მწვრთნელის, თამაზ ბენდიანიშვილის თქმით, ბაქოს ხალიჩაზე ნაკრების 12 წარმომადგენელს უნდა ესასპარეზა, მაგრამ რაკი მასპინძლებმა შემადგენლობაზე შეზღუდვა არ დააწესეს გუნდის ხელმძრვანელობამ რაოდენობა 22-მდე გაზარდეს. ეგაა, მათ შორის ათი ბაქოში საკუთარი ხარჯებით გაემგზავრა.

ნაკრების თავკაცი შეგირდების აზერბაიჯანული ასპარეზობით კმაყოფილია, თუმცა საბოლოო დასკვნის გაკეთებას არ ჩქარობს:

“ეს მხოლოდ პირველი საერთაშორისო ტურნირი იყო. ყველამ ვერ შეძლო საკუთარი შესაძლებლობის ბოლომდე გამოვლენა. ბევრს გამოუცდელობამაც შეუშალა ხელი. მათ შანსი კიდევ მიეცემათ. მჯერა მომავალში უკეთ წარმოაჩენენს საკუთარ შესაძლებლობებს”.

ბაქოს საერთაშორისო ტურნირში შვიდი ქვეყნის ნაკრებმა იასპარეზა. მათ შორის საქართველომ მეორე გუნდური ადგილი დაიკავა. ტურნირის გამარჯვებული მასპინძლები გახდნენ, რაც გასაკვირი სულაც არაა - თითო წონით კატეგორიაში 7-8 მოჭიდავე გამოიყვანეს.

ჭაბუკებს უმთავრესი ტურნირი ზაფხულში ელით – სერბეთი ივლისში ევროპის ჩემპიონატს მასპინძლობს. მასზე წამსვლელთა ვინაობა კი აპრილში, საქართველოს ჩემპიონატის შედეგებით გაცხადდება.

# უმაღლესი ლიგის გუნდებს დუბლშემადგენლობებიც ეყოლებათ

მომავალი საქართველოს ჩემპიონატი რაგბიში, რომელიც აპრილში აიღებს სტარტს, გამორჩეული იქნება იმით, რომ უმაღლესი ლიგის პარალელურად ჩატარდება დუბლშემადგენლობის ჩემპიონატიც. გადაწყვეტილია, რომ ჯერჯერობით მხოლოდ ოთხი კლუბი გამოიყვანს თავის რეზერვს. ეს გუნდებია: "ლელო", "ლოკომოტივი", "ყოჩები" და ბათუმის "ელიტა". ასპარეზობა ოთხ წრედ გაიმართება. 2010 წლიდან იგეგმება უმაღლესი ლიგის დანარჩენი გუნდების მონაწილეობა დუბლშემადგენლობის პირველობაზე. ამისთვის აქედანვე დაიჭირეს თადარიგი "უნივერსიტეტმა", "აკადემიამ", ქუთაისის "აიამ" და რუსთავის "ხარებმა". ეს ნაბიჯი უდავოდ შეუწყობს ხელს მორაგბეთა პროფესიული ლიგის ჩამოყალიბების საქმესაც. გაფართოვდა პირველი ლიგის სარაგბო გეოგრაფია. ქართული რაგბის განვითარების იმპულსები უპირველესად რეგიონებშია. სასიხარულოა, რომ, წინა წლებისგან განსხვავებით, როცა მხოლოდ სამი რეგიონული გუნდი ასპარეზობდა (ქუთაისის "აია", ბათუმის "ელიტა" და რუსთავის "ხარები"), საგრძნობლად გაფართოვდა მომავალი ჩემპიონატის გეოგრაფია. მნიშვნელოვანი ცვლილებებია პირველ ლიგაში, სადაც სამი გუნდი იასპარეზებს რეგიონებიდან: ოზურგეთის, ფოთის და ქუთაისის კიდევ ერთი გუნდი - "ბაგრატი". დანარჩენ ხუთ ადგილს კი თბილისური გუნდები შეავსებენ. ესენია არიან: "არმაზი", "დინამო", "ხულიგანა", "დევები" და "თბს". ასე რომ, 2009 წლის ჩემპიონატზე უმაღლეს და პირველ ლიგაში რეგიონები სამ-სამ გუნდით იქნებიან წარმოდგენილნი.

# ფიფამ სიმბოლური ნაკრები გამოფინა

ფეხბურთის ხელმძღვანელი ორგანოს, ფიფას ვებ-გვერდმა 2008 წლის სიმბოლური ნაკრების შესარჩევად, მსოფლიო გულშემატკივართა შორის გამოკითხვა მოაწყო, რომლის შედეგებიც გუშინ საყოველთაოდ გახდა ცნობილი.

მეკარის პოზიციაზე ყველაზე მეტი ხმა ესპანეთის ნაკრებისა და მადრიდის "რეალის" კარის დარაჯმა იკერ კასილიასმა მიიღო.

ესპანელები დაცვის ხაზშიც მოხვდნენ - "ბარსელონას" კაპიტანი კარლეს პუიოლი და "რეალის" მარჯვენა მცველი სერხიო რამოსი. მათ გარდა, ფეხბურთის გულშემატკივრებმა უკანახაზელებიდან ინგლისის ნაკრებისა და "ჩელსის" ლიდერი ჯონ ტერი, აგრეთვე მიუნხენის "ბაიერნის" განაპირა მცველი ფილიპ ლამი გამოარჩიეს.



*მესის სიმბოლურ ნაკრებში არ ყოფნა წარმოუდგენელი იქნებოდა.*

შუახაზელთა სიას სათავეში ბოლო კვირის გმირი, "მილანის" ბრაზილიელი ვარსკვლავი რიკარდო კაკა უდგას. სიმბოლურში მისი თანაამპლუელები "ლივერპულის" ლიდერი სტივენ ჯერარდი, ესპანეთის ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონი, "ბარსელონას" კაპიტანი ხავი და "ბაიერნის" ფრანგი ლეგიონერი ფრანკ რიბერი არიან.

ფიფას თავდასხმა ცოტა არ იყოს, უცნაურად გამოიყურება. უპირველესად, აქ "მანჩესტერის" ლიდერის, წლის საუკეთესო ფეხბურთელის, კრიშტიანუ რონალდუს მოხვედრაა გასაკვირი. რა თქმა უნდა, პორტუგალიელის ოსტატობაში ეჭვი არავის შეპარვია, მაგრამ საკითხავი ისაა, რამდენადაა პორტუგალიელი თავდამსხმელი. გულშემატკივრებმა მანჩესტერელს კიდევ ერთი "საეჭვო" ფორვარდი, "ბარსელონას" არგენტინელი ვარსკვლავი ლიონელ მესი შეუწყვილეს.

ერთი რამ აშკარაა, გამოკითხვის შედეგად, მსოფლიოს სიმბოლური ნაკრები ყველაზე მეტად ესპანეთის ნაკრების (4 ფეხბურთელი) მოთამაშეებითაა წარმოდგენლი. აი, კლუბების მხრივ კი მოწინავე "ბარსელონაა" (3 ფეხბურთელი).

## "მილანმა" ლუსიოს დაადგა თვალი

"მილანი" ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის დროს მიუნხენის "ბაიერნის" 30 წლის ბრაზილიელი მცველის ლუსიოს გადაბირებას შეეცდება. ლუსიოს "ბაიერნთან" კონტრაქტის ვადა 2010 წლის ზაფხულში ეწურება, მაგრამ კლუბი მასთან ხელშეკრულების გაგრძელებაზე საუბრის დაწყებას არ ჩქარობს. თავის მხრივ, თავად მანაც უკვე არაერთხელ გამოთქვა იმის სურვილი, რომ სადმე სხვაგან, გერმანიაზე უფრო თბილ ქვეყანაში გააგრძელოს კარიერა.

## მოულოდნელობა ინგლისის სანაკრებო განაცხადში

ინგლისის სარაგბო ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მარტინ ჯონსონმა "ექვსი ერის" მომავალი გათამაშებისთვის გუნდის შემადგენლობა დაასახელა. BBC-ს ცნობით, ყველაზე დიდ მოულოდნელობად განაცხადში "ნორთჰემპტონის" წევრ ბენ ფოდენის გამოჩენა იქცა. ფორვარდები: ტიპ პეინი ("უოსფსი"), ენდრიუ შერიდანი ("სეილ შარქსი"), მეტ სტივენსი ("ბათი"), ფილ ვიკერი ("უოსფსი"), ჯორჯ ჩატერი ("ლესტერი"), დილან ჰარტლი ("ნორსჰემპტონი"), ლი მირსი ("ბათი"), სტივ ბორსუიკი ("სარაცინი"), ნიკ კენედი ("ლონდონ აირიში"), ტომ პალმერი ("უოსფსი"), საიმონ შოუ ("უოსფსი"), ტომ კროფტი ("ლესტერი"), ჯეიმს ჰასკელი ("უოსფსი"), ლუის მუდი ("ლესტერი"), ტომ რისი ("უოსფსი"), ნიკ ისტერი ("ჰარლიქსვინსი"), ლუკ ნერევეი ("გლოსტერი"). მცველები: დელონ ერმიტეიჯი ("ლონდონ აირიში"), ოლი მორგანი ("გლოსტერი"), მეტიუ ტეიტი ("სეილ შარქსი"), მარკ კუეტო ("სეილ შარქსი"), პოლ სეკი ("უოსფსი"), უგო მონიე ("ჰარლიქვინსი"), ჯეიმი ნუნი ("ნიუკასლი"), მაიკ ტინდოლი ("გლოსტერი"), რიკი ფლუტი ("უოსფსი"), შეინ გერაგტი ("ლონდონ აირიში"), დენი სიპრიანი ("უოსფსი"), ტობი ფლადი ("ლესტერი"), დენი კერი ("ჰარლიქვინსი"), ჰარი ელისი ("ლესტერი"), ბენ ფოდენი ("ნორსჰემპტონი").

## ინგლისელებმა ხელფასის შემცირება გააპროტესტეს

ინგლისის მორაგბეთა უმაღლესი ლიგის ჩემპიონატ "გინესის პრემიერლიგის" კლუბების ხელმძღვანელებმა მოთამაშეთა ხელფასის მაქსიმალური ზღვარის 4 მილიონიდან 3,5 მილიონამდე შემცირებაზე უარი თქვეს. BBC-ის ინფორმაციით, 4-მილიონიანი ზღვარი, სულ მცირე, ორი სეზონით შენარჩუნდება. ვარაუდობდნენ, რომ ხელფასის 500 ათასით შეკვეცა კლუბებს ფინანსური კრიზისის დაძლევაში დაეხმარებოდა.

ხელფასის ზედა ზღვარი "გინესის პრემიერლიგის" კლუბებში 90-იანი წლების ბოლოს შემოიღეს და თავდაპირველად ის 2,2 მილიონი ფუნტი იყო, დროთა განმავლობაში კი დღევანდელ ნიშნულამდე გაიზარდა. ვარაუდობენ, რომ მიმდინარე სეზონის ბოლოსთვის ინგლისური კლუბების ზარალი 12-დან 20 მილიონ ფუნტამდე იქნება. გასულ სეზონში ინგლისის პრემიერლიგის 12 კლუბიდან ფინანსური მოგება მხოლოდ "გლოსტერმა", "ლესტერმა" და "ნორთჰემპტონმა" ნახეს, დანარჩენმა კლუბებმა კი იზარალეს.

კლუბის ხელმძღვანელები ფიქრობენ, რომ ფინანსური პრობლემა ჩემპიონატის მატჩების რაოდენობის გაზრდით მოაგვარონ, მაგრამ ამას ინგლისის რაგბის კავშირი (RFU) ეწინააღმდეგება. ისინი ფიქრობენ, რომ ამით EDF Energy Cup-ის გათამაშება დაზარლდება. უახლოეს პერიოდში ამ საკითხს კიდევ ერთხელ გადახედავენ.

## ევროლიგაზე წილი იყარა

ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში გაიმართა საკალათბურთო ევროლიგის მე-2 ჯგუფურ ეტაპზე გასული იმ გუნდების კენჭისყრა, რომლებიც 28 იანვრიდან 12 მარტამდე ტოპ-16-ის გათამაშებაში იასპარეზებენ. წილისყრის შედეგად, ნიკა მეტრეველის "სიენა მონტეპასკი" H ჯგუფში რუსულ ცსკა-სთან, თურქულ "ფენერბაჰჩესთანა" და ხორვატიულ "ციბონასთან" ერთად მოხვდა, გიორგი შერმადინის "პანათინაიკოსი" კი ესპანური "უნიკახას", იტალიური "ლოტომატიკასა" და სერბული "პარტიზანის" მხარდამხარ ითამაშებს.

**E ჯგუფი**
ტაუ (ესპანეთი)
ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)
მილანი (იტალია)
სოპოტი (პოლონეთი)

**F ჯგუფი**
ბარსელონა (ესპანეთი)
რეალი (ესპანეთი)
მაკაბი (ისრაელი)
ალბა (გერმანია)

**G ჯგუფი**
უნიკახა (ესპანეთი)
ლოტომატიკა (იტალია)
პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
პარტიზანი (სერბეთი)

**H ჯგუფი**
ცსკა (რუსეთი)
სიენა (იტალია)
ფენერბაჰჩე (თურქეთი)
ციბონა (ხორვატია)

# The New York Times offers a "window" to the world




- Every Tuesday, from 20st of January, the leader of the world press New York Times with 24 Saati.
- New York Times selects the articles each week specialy for Georgian Reader.
- The best from The New York Times.

ნიუ-იორკ თაიმსის საერთაშორისო ყოველკვირეული გამოცემა - International Weekly, წარმოადგენს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო სამსახურის მიერ კვირის განმავლობაში გამოქვეყნებული მასალებიდან შერჩეული საუკეთესო სტატიების, ფოტების, გრაფიკის ნაკრებს; იგი მზადდება ნიუ-იორკ თაიმსის რედაქტორებისა და დიზაინერების მიერ, კაბადონდება ნიუ-იორკში და იგზავნება დასაბეჭდად საქართველოში. ყოველკვირეული ჩანართი სპეციალურად მზადდება 24 საათისთვის , ისევე, როგორც ფრანგული ლე მონდისთვის , ესპანური ელ პაისისთვის , გერმანული ზიუდ დოიჩე ცაიტუნგისთვის , ბრიტანული ობსერვერისთვის და ა.შ.

24 საათი 2009 წლის იანვრიდან არის ნიუ-იორკ თაიმსის კორპორატიული პარტნიორი და უფლება აქვს გამოიყენოს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო, ფოტო და გრაფიკული ბაზა.

A weekly international edition of "The New York Times" - "International Weekly" is a collection of the best articles, photos and graphics selected by "The New York Times" information service out of all materials published during the whole week. It is prepeared by "The New York Times" editors and designers, imposed in New York City and sent to Georgia for printing. A weekly insert is specially prepeared for "24 Saati" newspaper as well as for French "Le Monde", Spanish "El Pais", German "Sueddeutsche Zeitung", British "Observer", etc.

From January 2009, "24 Saati" newspaper is a corporate partner of "The New York Times" and enjoys the right to use information, photo and graphic base of "The New York Times".



*ფინეთის უმთავრეს ქალაქში ევროპის ჩემპიონატი გახურებულა. ფიგურლ სრიალში 35 ქვეყნის 178 წარმომადგენელი საკუთარი თავის უკეთ წამოჩენას ცდილობს. მათ შორისაა საქართველოც, რომელიც ჰელსინკში ბექა შანყულაშვილითა და ელენე გედევანიშვილითაა წარმოდენილი. თავადაპირველად ასპარეზზე მოცეკვავეთა დუეტები წარსდგნენ (სავალდებულო პროგრამით), მოგვიანებით მოკლე პროგრამით სპორტული წყვილებიც გამოჩნდნენ, შუალედში კი ევროპის ჩემპიონატის გახსნის საზეიმო ცერემონიალი შედგა.*

**გააგზავნეთ სმს**
**ჯეოსელიდან , მაგთიდან , ბილაინიდან ნომერზე - 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს. ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ იავნანას ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.**

**შემოგვიერთდით, ერთად დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!**

ფონდი იავნანა
გაზეთი 24 საათი

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს ეროვნული ბანკი აცხადებს ტენდერს საავტომობილო საწვავის შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. **შესყიდვის ობიექტია:**

| ლოტი № | დასახელება | რაოდენობა (ლიტრი) |
|---|---|---|
| ლოტი №1 | • საავტომობილო ბენზინი „პრემიუმი“, ოქტანური რიცხვით არანაკლებ „95“ | 60,000.00 |
| | • დიზელის საწვავი 50PPM (ევროდიზელი) | 2,000.00 |
| | • დიზელის საწვავი L-62 | 5,000.00 |

2. **დაფინანსების წყარო:** საქართველოს ეროვნული ბანკის ბიუჯეტი.
3. **საქონლის მიწოდების წესი და ვადები:** მიწოდება განხორციელდება ტალონების სახით, ეტაპობრივად, ერთი წლის განმავლობაში ხელშეკრულების გაფორმებიდან.
შემსყიდველს უფლება აქვს მითითებული ჩამონათვალიდან არ მოითხოვოს გარკვეული ნაწილი ან მოითხოვოს ნაკლები რაოდენობით.
4. სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა პრეტენდენტებზე 2009 წლის 10 თებერვლის 17 საათამდე, მისამართზე: სსიპ „საქართველოს ეროვნული ბანკი“, სათაო ოფისი, ლეონიძის ქ. №3/5, საქართველოს ეროვნული ბანკის კანცელარია.
5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ დახურულ კონვერტებში, ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ორი ასლი), 2009 წლის 11 თებერვლის 15 საათამდე, შემდეგი აღნიშვნით: პრეტენდენტის დასახელება, ტენდერის დასახელება ("საქართველოს ეროვნული ბანკის ტენდერი საავტომობილო საწვავის შესყიდვაზე"), მისამართზე: საქართველოს ეროვნული ბანკის სათაო ოფისი, ლეონიძის ქ. №3/5, საქართველოს ეროვნული ბანკის კანცელარია.
6. დაგვიანებით შემოსულ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებსა და სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს.
7. წარმოდგენილი სატენდერო პაკეტები გაიხსნება 2009 წლის 11 თებერვალს 15 საათზე, მისამართზე: ქ.თბილისი, ლეონიძის ქ. №3/5, საქართველოს ეროვნული ბანკის სათაო ოფისის სხდომათა დარბაზი, II სართული, ოთახი № 208.
8. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**8.1. იურიდიული პირისთვის:**
ა) ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

**8.2 ფიზიკური პირისთვის:**
ა) ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.

**8.3 როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირისთვის:**
ა) რეკვიზიტებს (ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელება. მისამართი. ტელეფონი, ფაქსი. საბანკო რეკვიზიტები. ხელმძღვანელის სახელი და გვარი);
ბ) ინფორმაცია უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ანალოგიური ხასიათისა და მოცულობის მიწოდებების შესახებ, დამკვეთის მითითებით.
გ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სატენდეო წინადადების ფასის 1%–ს ოდენობით.

**შენიშვნა:** არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

9. სატენდერო წინადადების მოქმედების მინიმალური ვადა უნდა იყოს სატენდერო წინადადებების პაკეტების გახსნის დღიდან არანაკლებ 30 დღე. აღნიშნული ასახული უნდა იყოს სატენდერო წინადადებაში.

10. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია. თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

11. გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტირების მექანიზმი საბანკო გარანტიის ფორმით, ხელსეკრულების ფასის 3%–ს ოდენობით.

12. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ, საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე, გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

13. დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეროვნული ბანკი, ქ.თბილისი, ლეონიძის ქ. №3/5, ტელ: 442396, 442111. სატენდერო კომისიის აპარატი. საკონტაქტო პირები: დავით ჭელიძე, ლელა ჭყონია. ტენდერის შესახებ ინფორმაცია ასევე განთავსებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე: www.nbg.gov.ge.

**საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისია**

# პროფესიული მომზადებისა და სერტიფიცირების საერთაშორისო პროგრამა უძრავი ქონების შეფასებაში.

საქართველოს ქონების შემფასებელ ექსპერტთა ინსტიტუტი („სქშეი“), რომელიც არის შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (IVSC) წევრი საქართველოდან, აცხადებს მსურველთა მიღებას უძრავი ქონების შემფასებელთა პროფესიული მომზადებისა და სერტიფიცირების საერთაშორისო პროგრამაზე.

*„სქშეი“-ის შესახებ*

საქართველოს ქონების შემფასებელ ექსპერტთა ინსტიტუტი დაფუძნდა 1999წელს. 2003 წლიდან ინსტიტუტი არის IVSC-ს წევრი საქართველოდან.

IVSC - შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტი არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს მსოფლიოს 50-ზე მეტი ქვეყნის შემფასებელთა ეროვნულ გაერთიანებას (ინსტიტუტს). IVSC-ს უმთავრესი ამოცანაა სხვადასხვა ქვეყნების ეროვნული სტანდარტების ურთიერთშეთანხმება და შეფასების სტანდარტების ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც მისაღები და ეფექტური იქნება საერთაშორისო თანამეგობრობის წევრი ყველა ქვეყნისათვის.

„სქშეი“ არის IVSC-ს პარტნიორი საქართველოში. **2008წლის 13 ივნისს „სქშეი“-მ შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტიდან მიიღო თანხმობა შეფასების საერთაშორისო სტანდარტების ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემისათვის**. 2008 წლის ბოლომდე გათვალისწინებულია თარგმნის დასრულება და სტანდარტების გამოცემა.

## შემფასებელთა მომზადება და სერტიფიცირება

მომზადება (სწავლება)

უძრავი ქონების შემფასებელთა მოსამზადებელი პროგრამა შემუშავებულია შეფასების საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებული ფუნდამენტური კონცეფციებისა და შეფასების ტექნიკის საფუძველზე, და სრულად პასუხობს შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ აღიარებულ მოთხოვნებს შემფასებელთა მოსამზადებელი პროგრამების, პრეტენდენტთა პრაქტიკული გამოცდილებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების შესახებ.

მოსამზადებელი პროგრამა ითვალისწინებს უძრავი ქონების შეფასების საკითხების თეორიულ დაუფლებას და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რაც სერტიფიცირების წარმატებით გავლისა და შემფასებლის სტატუსის მოპოვების საფუძველია.

პროგრამას გაუძღვებიან უძრავი ქონების სფეროს მაღალკვალიფიციური პრაქტიკოსი სპეციალისტები და ექსპერტები, რომლებსაც იმავდროულად გააჩნიათ პედაგოგიური საქმიანობის არა ერთი წლის გამოცდილება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მომზადების ეტაპი მოიცავს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ სიტუაციურ ანალიზს და სავარჯიშოებს.

პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ უძრავი ქონების სფეროში დასაქმებულ, აუდიტორული საქმიანობის მიმდევარ, საბანკო, სადაზღვევო, სამშენებლო კომპანიების თანამშრომლებს, აგრეთვე ნებისმიერ პირს, რომელსაც აქვს სურვილი დაეფლოს შემფასებლის პროფესიას.

**მოსამზადებელი (სწავლების) პროგრამის საფასური შეადგენს 850 ლარს გადასახადების ჩათვლით**.

სერტიფიცირება:

სერტიფიცირების მიზანია კანდიდატთა კვალიფიკაციის შემოწმება და დადასტურება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სერტიფიკატის გაცემით. სერტიფიცირების პროცესი ხორციელდება საერთაშორისო სტანდარტის (ISO/IEK 17024:2006) მოთხოვნათა შესაბამისად შემუშავებული დებულების საფუძველზე, რომელიც წარედგინა ქონების შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტს (IVSC-ს).

სერტიფიცირება წარმოებს ორ ეტაპად და მოიცავს ტესტირებისა (ტესტური გამოცდის ჩაბარების) და პრაქტიკული სამუშაოს შესრულების ეტაპებს.

**სერტიფიცირების საფასური შეადგენს 150 ლარს გადასახადების ჩათვლით.**

სქშეი-ს პარტნიორები:

საქართველოს ქონების შემფასებელ ექსპერტთა ინსტიტუტის მხარდაჭერას ახორციელებენ:

- ქონების შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტი (IVSC);
- საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო, რომელთანაც გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმი;
- საქართველოს დამოუკიდებელ ბუღალტერთა და აუდიტორთა საზოგადოება (ბას), რომელთანაც ინსტიტუტს გაფორმებული აქვს მემორანდუმი პარტნიორობის შესახებ;
- გათვალისწინებულია მოლაპარაკებების დაწყება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შემფასებლის სპეციალობის უნივერსიტეტში შემოსაღებად და შესაბამისი სასწავლო პროგრამის შესამუშავებლად.

P პროგრამის ხანგრძლივობა:

სწავლება დაიწყება 2009 წლის 01 თებერვალს და გაგრძელდება 3 თვე. ლექციები ჩატარდება კვირაში სამი დღე, ქალაქის ცენტრში (საბურთალოზე), საღამოს საათებში (18:00სთ).

დაინტერესებული პირები პროგრამაში მონაწილეობისათვის 2009 წლის 31 იანვრამდე უნდა დაგვიკავშირდნენ მისამართზე:

თბილისი, დ.გამრეკელის (ყოფილი კუტუზოვის) ქ. N19, მე-5 სართული.
ტელ/ფაქსი: (99532) 37-89-09
მობილური: 858 75-45-73
www.asset-ge.org
www.asset.ge
E-mail: asset.ge@mail.ru
asset.ge@yahoo.com

# სსიპ – საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**სსიპ – საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტო აცხადებს ტენდერს ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვის მიზნით:**

| ლოტი | დასახე-ლება | შესყიდვის ობიექტის სავალდებულო ტექნიკური პარამეტრები | რაოდე-ნობა | მიწოდების ადგილი და ვადა |
|---|---|---|---|---|
| 1 | იკროავტ-ობუსი | გრძელბაზიანი, მაღალჭერიანი, ზომებით 5380X1880X2285; 2,7 ლ მოცულობის ბენზინის ძრავა, გადაცემათა 5 სიჩქარიანი მექანიკური კოლოფი | 1 | ქ. თბილისი, ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღის განმავლობაში |
| 2 | მსუბუქი ავტომანქანა | სედანი, 1.800მმ³ V16 4 ცილ. inj. გადაცემათა 5 სიჩქარიანი მექანიკური კოლოფი, საწვავის საშ. ხარჯი max. 7.7ლ, საჭის მართვა 4 მიმართულებით, 6 აირბალიში, ბორტკომპიუტერი, ინფო დისპლეი, ESP, სრული ელ.პაკეტი, ფერი შავი, 4 კარიანი. | 1 | ქ. თბილისი, ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღის განმავლობაში |
| 3 | მსუბუქი ავტომანქანა | სედანი, 1.4 ლ მოცულობის ბენზინის ძრავა, 4. ცილ., გადაცემათა 5 სიჩქარიანი მექანიკური კოლოფი, 4 აირბალიში, ABS+EBD, ცივი ქვეყნების პაკეტი, ფერი ვერცხლისფერი, 4 კარიანი. | 1 | ქ. თბილისი, ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღის განმავლობაში |

და იწვევს ტენდერში მონაწილეობისთვის ყველა დაინტერესებულ პირს. ტენდერის შედეგად გამოვლენილ იქნება ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული.

სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე პრეტენდენტს აქვს სატენდერო დოკუმენტაციის შემსყიდველ ორგანიზაციაში გაცნობის შესაძლებლობა.

200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის ა№200122900; კოდი 220101222; სახაზინო კოდი 300773174) (დანიშნულებაში მითითებული უნდა იყოს სსიპ „საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს" სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2009 წლის 10 თებერვლის 12:00 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, დადიანის ქ. №13.
შესყიდვებში მონაწილეობის მსურველმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქულ კონვერტში ორ ეგზემპლიარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) 2009 წლის 10 თებერვლის 12:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დადიანის ქ. №13.

საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადების გახსნა მოხდება 2009 წლის 10 თებერვალს 12:00 საათზე.

პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირებისათვის:**

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ;
2. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (მოქმედების ვადა არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა).
3. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ (მოქმედების ვადა არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა);
4. ცნობა სასამართლოდან მასზედ, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე (მოქმედების ვადა არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა).

**ფიზიკური პირებისათვის:**

1. ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
2. ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
3. ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკური ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

**როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისთვის** სატენდერო წინადადებას უნდა ახლდეს:

**1.** შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (იურიდიული მისამართი, ტელ/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი)

**ყველა პრედენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს:**

1. ხელმოწერილი სატენდერო წინადადება ერთი დალუქული კონვერტით რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 30 დღეზე ნაკლები (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), და რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრედენტენტისათვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები.
2. სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში

პრედენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს;

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ირაკლი სიმონია. საკონტაქტო ტელ: 895 63 08 63 ან 822 92 36 08, 822 92 38 90, ქ. თბილისი, დადიანის ქ. №13.

სატენდერო კომისია

## სატენდერო განცხადებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

